# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 19 ივლისი 1997 №83 (448) ფასი 50 თეთრი

## ვერ ჩააღწიეს...

ახლახან ესპანეთის ქალაქ სევილიაში გაიმართა ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. ჩემპიონატში სასპარეზოდ ესპანეთს ქართველი სპორტსმენი ვალერი სარავა გაემგზავრა ჩვენი ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტთან რამაზ გურგენიძესთან ერთად, მაგრამ მათ მხოლოდ ფრანკფურტამდე ჩააღწიეს, იქ კი... როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა შოთა ბუაძემ გვითხრა, დაჯავშნული ბილეთი ესპანეთის მიმართულებით აღარ დახვდათ.

ხარჯი ხარჯად, მაგრამ ყველაზე მეტად დასანანი ის არის, რომ სპორტსმენმა, რომელიც ყოველმხრივ იყო მომზადებული, ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო.

„ძალოსნობის ფედერაციის მესვეურებმა და პირადად პრეზიდენტმა ყველა ღონე იხმარეს ესპანეთში ჩასასვლელად. ეს არ მოხერხდა. ვისი ბრალი იყო ეს, მე არ ვიცი, ამაზე თავად რამაზ გურგენიძე გაგცემთ პასუხს" — გვითხრა გენერალურმა მდივანმა. პრეზიდენტის ნახვა ვერ შევძელით მისი თბილისში არყოფნის გამო.

**ერეკლე ქიქილაშვილი**

*P.S. სხვათა შორის, ხვალ ისეთი დღეა, არა ერთსა და ორ სპორტში მოსაქმე ჩვენებურს, მთლად უფროსთაც და მათზე ქვემდგომთაც, ყურები მაინც უნდა წამოუწითლდეთ სირცხვილით, თუ ნამუსი და სამართალია — ზუსტად ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენი ჭკუით საოქროოდ გამზადებული დავით ხახალეიშვილი აუწონავი დაგვრჩა ოლიმპიურ ატლანტაში და აუწონავივე სირცხვილი ვჭამეთ მთელი დუნიის თვალში.*

*ჩვენი ამ საქვეყნოდ შერცხვენის წლისთავზე ზემოთ მონათხრობ ამბავს რომ გაიგებ, გულს შემოგეყრება, აბა, რა იქნება: საიდან ასეთი შეუსმენლობა ამდენი კისრის წატეხვის მერე?!*

## ნემსაძე: ლეჩე თუ ციურიხი?




გაიტანჯა კაცი და ეგაა — საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს, „ტრაბზონსფორიდან" აყრილ გია ნემსაძეს, ჩვენ რომ იტალიაში გვეგონა, თურმე ავსტრიაში აყურყუტებდნენ. მიზეზი? ავსტრიაში იტალიელთა საკონსულოში ნემსაძეზე სავიზო შეტყობინებას დაუგვიანია. გიამ „ლეჩეში" გადარეკა ამბის შესატყობად. იტალიელებს შეუცხადებიათ, შეტყობინება კარგა ხანია გავაგზავნეთო. იტალიის საკონსულოშიც ამ დროისთვის ყველაფერი გაურკვევიათ და ვიზის გაფორმებას წინ აღარაფერი ედგა, რომ არა კურიოზული შემთხვევა — ნემსაძეს იმდენი უმოგზაურია, პასპორტში ბეჭდის ადგილი აღარ დარჩენია (?!). ახლა ამაზე დასჭირვებია უცხო ქვეყანაში სირბილი. ავსტრიაში საქართველოს საკონსულოს მიაკითხა და პასპორტში ახალი ფურცლები დაუმატეს. ამასობაში ოთხი დღეც მიილია და 13 ივლისს გასამგზავრებელი, მილანში მხოლოდ 17 ივლისის საღამოს ჩაფრინდა, იქიდან კი ლეჩეში გაემგზავრა. სხვათა შორის, ავსტრიაში ნემსაძე „მერანის" ფეხბურთელებს უნახავთ, რომლებმაც ერთი კვირის წინ „რიდს" 3:1 მოუგეს. გიას თბილისელთა მეკარე გუბაზ დოლიძისთვის უთქვამს, ჩემი „ლეჩეში" ჩარიცხვა 90 პროცენტით გადაწყვეტილიო. თუმცა, ეს არ ნიშნავს მისი საკითხის საბოლოოდ მოგვარებას, მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

როდესაც ღაჟის დანიელ მენეჯერს, ივან ბენეშს ვერ დაუკავშირდა, გიას უფიქრია, ეტყობა, ბენეში „არსენალში" გადასვლას ვეღარ მოახერხებსო და მეორე ინგლისელ მენეჯერს შეხმიანებია. მისგან გაუგია, შენით იტალიური „ლეჩეა" დაინტერესებულიო. შემდეგ ბენეშიც გამოჩნდა და ამანაც იტალიაში გადასვლის შანსზე ახარა. ნემსაძემ ინგლისელს ჰკითხა, ტყუილად ხომ არ მივყავარ, ჩემი გასინჯვა სურთ თუ პირდაპირ კონტრაქტის პირობებზე უნდა ველაპარაკოო. პასუხად მიუღია — იტალიაში მუზეუმების დასათვალიერებლად არ წაგიყვან, კონტრაქტზე იქნება საუბარიო.

ისიც შევიტყვეთ, რომ ნემსაძეების ოჯახში ამ ერთი კვირის წინ მილანის ერთ-ერთი გუნდის ქართველმა მწვრთნელმა რეზო ჭოხონელიძემ დარეკა. როგორც გაირკვა, იგი გიას მამის, ბატონი ვაჟა ნემსაძის ყოფილი თანაგუნდელია. იტალიელებს უკითხავთ ჭოხონელიძისთვის, ქართველი ხარ და ერთი თქვენებური მოთამაშის ყიდვა გვსურს, გვარად ნემსაძეა და მასზე რაიმე ხომ არ იციო. ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი ფეხბურთელი იტალიაში კარგა ხნის გადახვეწილია, გია ვაჟას შვილი რომ იყო, ისიც არ სცოდნია და ნემსაძეზე ამბის შესატყობად დაურეკია თბილისში.

ახლა იმაზე, რამდენად შესაძლებელია ნემსაძის „ლეჩეში" დარჩენა. თავად გიას უთქვამს, თუ იტალიელთა პირობები არ მომეწონა, იქიდანაც ისე წამოვალ, როგორც ავსტრიიდანო. თურმე ზალცბურგელთა თავკაცებს თავდაპირველი მოლაპარაკება დაურღვევიათ და ავსტრიაში ჩასულს უარესი პირობები შესთავაზეს, თანაც ორწლიან კონტრაქტზე ჩამოუგდეს სიტყვა, ისევე როგორც გოჩა ჯამარაულს. ეს კი ჩვენებურებს არ მოსურვებიათ. მათგან განსხვავებით, „ზალცბურგში" გასასინჯად მყოფ კიდევ ერთ ქართველს ზაზა რევიშვილს დარჩენა უმჯობინებია და ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებაც მისაღებად ჩაუთვლია. თუმცა, ჯერ ზაზას ხელი არ მოუწერია.

მოკლედ, გიას „ლეჩეში" დარჩენა-არდარჩენა უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**P.S.** წუხელ მიხეილ ყაველაშვილმა გვაცნობა, შესაძლოა, ნემსაძე ჩემს ახალ გუნდში, „გრასჰოპერში" აიყვანონო.

**მერაბ გამულაშვილი**

**„მერანის" შერისხული მეკარე გუბაზ დოლიძე ძალიან აღუშფოთებია პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე „მერანის" პრეზიდენტის ნუგზარ ნავაძის მიერ მისი მისამართით ნათქვამ სიტყვებს. გუშინ გუბაზი სწორედ ამაზე გვესაუბრა.**



## გუბაზ დოლიძე: ჩემნაირი ხალხი ნავაძეს არ სჭირდება

— მე არ ვაპირებდი ნავაძესთან საჯარო კამათს. მით უფრო, რომ 18 ივლისს, გუნდიდან გათავისუფლების ცნობის ასაღებად მისულმა რომ ვნახე, თბილად შემხვდა. ისიც ვიფიქრე, მიმხვდარა, დოლიძე გუნდიდან გასაგდები კაცი რომ არ არის-მეთქი, მაგრამ საღამოს მეგობრებმა გაზეთი „7 დღე" მაჩვენეს. იქ ამოვიკითხე მისი ნათქვამი: გუბაზ დოლიძე გუნდიდან არაკაცობის გამო გავაგდეთო. პასუხის გაცემა და სიმართლის თქმა ამან გადამაწყვეტინა.

არა მგონია, ფეხბურთის სამყაროში ვინმე არაკაცად მიცნობდეს. არაკაცური არც „მერანში" ჩამიდენია, არც მოედანზე, არც მის გარეთ. ამაში გუნდელებიც დამემოწმებიან, რომლებიც გულდაწყვეტილი იყვნენ ჩემი წასვლით.

ახლა ნავაძის ზოგიერთ გამონათქვამზე მსურს პასუხის გაცემა. არ მინდა, თემურ მახარაძის დამცველად მიმიჩნიონ — ის საქმის გამკეთებელი მწვრთნელია და არა ჩემი ნათესავი ან ახლობელი. მე მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი და დანარჩენი თქვენ განსაჯეთ. 3 ივლისს „სარბიელში" მონათხრობი ამბის ნაწილი მეც მეკუთვნის (რაც მერანელთა საბერძნეთში მგზავრობას შეეხებოდა) ეს კი მახარაძეს დაბრალდა. იმ წერილში ყველაფერი — სხვისი ნათქვამიც და ჩემიც ასპროცენტიანი სიმართლეა. იყო მხოლოდ ერთი უზუსტობა — სალონიკში საღამოს 8 საათზე კი არა, დაახლოებით ექვსის ნახევარზე ჩავედით.

**— ნავაძემ თქვა, დოლიძე გუნდიდან გავუშვითო.**

— მეგონა, ერთმანეთს მშვიდად დავშორდებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩემზე თქვა, უდისციპლინოაო. გზაზე ავტობუსში კონდიციონერს არ რთავდნენ. წარმოიდგინეთ, სიცხე როგორ შეგვაწუხებდა. ვთქვი, კონდიციონერები ჩართეთ, თორემ დავიხრჩობი-მეთქი. კრებაზე, სადაც მახარაძის გათავისუფლება გვამცნო, წამომაყვედრა, ეს როგორ მოითხოვეო (?!). ფაქტობრივად, მითხრა, რატომ დაგცხაო, წარმოგიდგენიათ?

მე ისიც მბრალდება, თითქოს გვენცაძეს პირველნომრიანი მაისური არ ჩავაცვი, ვეფხიას ვუთხარი „მერანში" ჩემს შემდეგ არ ითამაშოს, მახარაძე კი შემიშინებია — სხვა არავინ ჩაეყენებინა კარში. ამ დროს მე და გვენცაძე დიდი ხნის მეგობრები ვართ. ჩემს მიმართ წამოყენებული ამ ბრალდების შესახებ რომ შეიტყო, იგი პარლამენტში მივიდა ნავაძესთან სიმართლის გასარკვევად. რა თქმა უნდა, ნავაძე ამისთვის ბოდიშს არ მოიხდის, მისგან ასეთ ჯენტლმენურ საქციელს არც მოველი. პირიქით — გვენცაძეს ვთხოვე, „მერანში" მისულიყო და თავისი საქმე არ გაეფუჭებინა.

**— საბერძნეთში გუნდმა არა დაღლილობის, არამედ მწვრთნელის ტაქტიკური შეცდომების გამო წააგოო.**

— წაგების მიზეზებზე სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ და თქვენ, ჟურნალისტებმა და არა ისეთმა პიროვნებამ, რომელმაც მთელი ცხოვრება კომკავშირსა და პარტიულ საქმიანობაში გალია და ფეხბურთთან საერთო არაფერი ჰქონია. მწვრთნელის საქმეს დილეტანტი არ უნდა აფასებდეს. მაგაზე პასუხს მეც ვერ გაგცემთ, ეს ჩემი საქმეც არ არის. თუმცა, მართლაც ძლიერ დავიღალეთ. ასეთი დაღლა არასდროს მიგრძნია. ხუმრობაა, გზაში 50 საათი გავატარეთ.

**— ადრე ამაზე საუბრისას რატომ მითხარი, ჩემი გვარი არ ახსენოო?**

— ნავაძეს „მერანში" ისე აქვს საქმე დაყენებული, ყველას ქვეშევრდომივით გვიყურებს. მაშინ ჩემი გვარი გაზეთში რომ გამოჩენილიყო, იმ წუთში გუნდიდან გამათავისუფლებდნენ. ისე, ჩემი ათვალწუნების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ არასწორად ნათქვამს ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი, რადგან არც ნავაძეს და არც სხვას თავს არ დავუხრი. ასეთი ხალხი ნავაძეს არ სჭირდება, მას მორჩილება უნდა. ჩემი სიტყვები დაიმახსოვრეთ, „მერანიდან" გარიცხულებში მე პირველი და უკანასკნელი არ ვიქნები. ვიცი, ბევრი ფეხბურთელი მას აღარ მოუთმენს.

**მერაბ გამულაშვილი**

## „დინამომ" გეზი იცვალა

გუშინ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ტალინიდან გვაცნობა, რომ ჩვენი ჩემპიონი „კრუზეიდერსთან" თამაშამდე თბილისში აღარ დაბრუნდება და პირდაპირ ესტონეთიდან გაფრინდება ბრიტანეთს. წუხელ „დინამოს" ნარვაში ბოლო საკონტროლო შეხვედრა უნდა გაემართა ადგილობრივ გუნდთან, მანამდე კი თბილისელებმა ესტონეთის ჩემპიონი „ლანტანა" 3:0 დაამარცხეს. გუშინვე შევიტყვეთ, რომ საბოლოოდ გადაწყდა ლევან კობიაშვილის საკითხი — ის „ალანიაში" დარჩება და შესაბამისად, „დინამოს" ჩემპიონთა თასზე ვერ დაეხმარება.

**წუხელ**

**გერმანიის ლიგის თასი**

თბილისის „დინამოს" შესაძლო მეტოქემ ჩემპიონთა თასის მეორე წრეში, ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონმა ლევერკუზენის „ბაიერმა" პენალტებით (5:6) დათმო „კარლსრუესთან" მატჩი. არადა, „ბაიერი" ორჯერ ლიდერობდა ბაინლიხის (5) და კირსტენის (21) გოლებით, მაგრამ რაიხმა (7) და დანდიმ (81) ორჯერვე გააყაიმეს.

## შოთა ჰოლანდიურადაც მოინათლა Shota "Showtime" Arveladze

ეს „შოუ" ხომ არ ასცდა შოთა არველაძეს — თურქეთში იყო და „შოთა-აჩი შოუ" შეთხზეს იქაურმა გაზეთებმა, ახლა ჰოლანდიაშია და იქაც... არადა, ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა „აიაქსის" შემადგენლობაში სოფლის გუნდებთან, და მაინც — Shota "Showtime" Arveladze — ასეა მოხსენიებული ჩვენებური ჰოლანდიის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გადმოცემულ ინფორმაციაში. „აიაქსის" ახლანდელ გუნდზე წერილს მეხუთე გვერდზე იხილავთ, აქ კი გეტყვით, რომ ხუთშაბათს ამსტერდამელებმა მესამე ამხანაგური მატჩი გამართეს და 8:0 მოიგეს, ოღონდ შოთას გარეშე — ჩვენებურს მცირე ტრავმა ჰქონია და ოლსენსაც აღარ გაურისკავს. „აიაქსი" დღესაც თამაშობს, მერე კი ლივერპულს ჩავა ოთხთა ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. 19 აგვისტომდე კი, როცა ჩემპიონატის პირველ მატჩში „ვიტესს" მასპინძლობს, „აიაქსი" კიდევ სამ შეხვედრას გამართავს: 30 ივლისს „სანდერლენდთან", 2 აგვისტოს „ბრიუგესთან" და 15 აგვისტოს შინ ბრაზილიურ „გრემიოსთან".

ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო გიო ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიმაც". ამან გუშინწინ ქართველის გარეშე „ლანკასტერთან" 1:1 ითამაშა. მეორე საწვრთნელ შეხვედრას „სიტი" დღეს ატარებს, თუმცა გიო არც ამ მატჩში ითამაშებს — დანარჩენ ფეხბურთელებზე გრძელი სეზონი გამოგვივიდა ნაკრების გამო და ცოტა დაისვენეო — უთქვამს ფრენკ კლარკს. დღესვე, თამაშის მერე, „სიტი" ათდღიან შეკრებაზე მიემგზავრება შოტლანდიაში. სწორედ იქ დაგეგმილ ხუთ შეხვედრაში დაიწყებს ქინქლაძე ახალი სეზონისთვის მზადებას.

**დღევანდელი „სარბიელი" თორმეტგვერდიანია და ფასიც შესაბამისი აქვს**

UEFA CUP

## დინამო მნ — კოლხეთი

მოლოდეჩნო. საქალაქო სტადიონი. 23 ივლისი

# მინსკი დაცვას ამაგრებს

„კოლხეთთან“ თამაშამდე ექვსი დღით ადრე მინსკის „დინამომ“ ბელარუსის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო მატჩში გროდნოს „ნემანს“ უმასპინძლა და კი გაიმარჯვა, მაგრამ, მოულოდნელად, ნამეტანი გაუჭირდა ამის გაკეთება. სტუმრები 25-ე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც, თუმცა რვა წუთში დოვნარმა გაათანაბრა, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კი დმიტრი პოდრეზმა, წინა თამაშში ჰეთ-თრიქი რომ შეასრულა, გამარჯვებისა შეაგდო. ფოთელთა მეტოქემ ეს შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ევნევიჩი, იასკოვიჩი, ტარლოვსკი, ჟურაველი, შილო, ლუხვიჩი, ჩერნიავსკი (ვოლოდენკოვი 46), მიხაილ მაკოვსკი, პოდრეზი, ვლადიმერ მაკოვსკი (ლაგოდიჩი 67), დოვნარი.

დაინტერესებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ წინა თამაშთან შედარებით მინსკელთა შემადგენლობაში ოდენ ერთი ცვლილება იყო — დაცვაში მაკარენკოს ნაცვლად ტარლოვსკი გამოჩნდა. 23 წლის იგორ ტარლოვსკი ბელარუსის ნაკრების წევრია და აქამდე მინსკისვე „დინამო 93“-ში გამოდიოდა, თუმცა უეფას თასის მატჩებისთვის იგი ჩვეულებრივ „დინამოს“ განკარგულებაში იქნება — მისი უეფაში გაგზავნილ განაცხადში შეყვანა ბოლო წუთებში, მაგრამ მაინც მოესწრო. ტარლოვსკის დებიუტის გარდა „ნემანთან“ შეხვედრა გამორჩეული იმითაც გახლდათ, რომ 66-ე წუთზე „დინამოს“ საუკეთესო გოლეადორმა ვლადიმერ მაკოვსკიმ ხელი დაიშავა და შესაცვლელი შეიქნა. როგორც გუშინ ჩვენმა ბელარუსმა კოლეგებმა გვითხრეს, ჯერჯერობით არავინ იცის, რამდენად სერიოზულია ბომბარდირის ტრავმა, მაგრამ იმედოვნებენ, რომ ის ოთხშაბათისთვის მზად იქნება. აი მცველი ანდრეი ლევრიკი კი, ვინც ამასწინათ მენისკის ოპერაცია გადაიტანა, პირველ შეხვედრაში ნამდვილად ვერ ითამაშებს, თუმცა უკვე შეუდგა ვარჯიშს და ამბობს, რომ საპასუხო მატჩისთვის მზად იქნება.

მოკლედ, ხუთ დღეში მინსკელები „კოლხეთს“ ოდნავ შესუსტებულნი დახვდებიან, თუმცა შენამატიც მხოლოდ იგორ ტარლოვსკით არ ამოიწურება. გუშინ „დინამოში“ ახალი მწვრთნელი მივიდა. არა, ბაიდაჩნი თავის ადგილზე დარჩა. საუბარია მის თანაშემწეზე. მართალია, აქამდე ბაიდაჩნის ორი კაცი ეხმარებოდა (მინსკის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმერ კურნეევი და ყოფილი კიევის დინამოელი ანატოლი ბაგავიჩი), მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და დღეიდან მთავარ მწვრთნელს კიდევ ერთი ასისტენტი ეყოლება — ლევ პლატონოვი, ვინც თავის დროზე მოსკოვის „სპარტაკსა“ და „ასმარალში“ კონსტანტინ ბესკოვს ეხმარებოდა, შარშან კი სმოლენსკის გუნდი რუსეთის მეორე ლიგიდან პირველში აიყვანა.

და კიდევ: ოთხშაბათის მატჩის გამართვა მინსკის „დინამოს“ სტადიონზე არ ხერხდება, რადგან იქ, ჩვენი მთავარი სტადიონისგან განსხვავებით, რეკონსტრუქციაა გაჩაღებული. ამიტომ ფოთელებს „დინამო“ უმასპინძლებს მინსკიდან 65 კილომეტრში მდებარე ქალაქ მოლოდეჩნოში, რომლის საქალაქო სტადიონიც 5 500 მაყურებელს იტევს.

**ბიბა ძოწახიძე**



GUERIN SPORTIVO

ვლადიმირ მაკოვსკის ოთხშაბათს თამაში საეჭოა

# ტორპედო ჩაფულიანდა

**ტორპედო 5:1 სამგურალი**

**ტორპედო:** ასლანაძე (მამარდაშვილი 72), ჩხეტიანი (მაღრაძე 75), თურმანიძე, გიორგი ლომიძე (ჯინჭარაძე 72), ი. ხუჯაძე, მაღლაკელიძე, ვ. გიგიაძე, გეწაძე, ქებაძე (ს. გიგიაძე 80), შენგელია, ვაჩიბერაძე

**სამგურალი:** ნიშნიანიძე (თევზაძე 46), ძაგნიძე, კოლუაშვილი (თევდორაძე 46), ბ. ჯანელიძე, სადილიანი, ფრანგიშვილი, დარსაძე, ი. ხაჭაპურიძე (ლ. ქობულაძე 46), ჯანაშია (ფესტვენიძე 46), დ. ჯანელიძე, ხურცილავა (გოჩა კვარაცხელია 55)

1:0 ვ. გიგიაძე (48), 2:0 შენგელია (65), 3:0 ჩხეტიანი (68), 4:0 შენგელია (70), 4:1 ძაგნიძე (76), 5:1 ვაჩიბერაძე (85)

მეზობელთა გუშინდელ საკონტროლო მატჩს იმ ვნებათა დაცხრომა უსწრებდა, „ტორპედოს“ მოვალე ქუთაისის მერიის სიძაბუნემ რომ გამოიწვია. „ტორპედოს“ აქციების 60 პროცენტის მფლობელი „სიგმა-ბანკის“ მმართველმა და ამავე დროს კლუბის პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ თავად იტვირთა მთელი იმ თანხის გასტუმრება, რაც კლუბს მერიის წილად ფეხბურთელთა წინაშე ევალა. ასე რომ, გუნდს მაისის ჩათვლით კუთვნილი თანხა გაუსტუმრეს და ხასიათიც გამოუკეთეს. ამან ქუთათურთა თამაშზეც იქონია გავლენა და წყალტუბოს „სამგურალთან“, პირველ მატჩში 0:1 რომ დამარცხდნენ, დამაჯერებელი რევანში აიღეს. არადა, პირველ ტაიმში საქმე სხვაგვარად იყო და ეს ნახევარი უგოლოდ გათავდა. ამ თანაბარ და უშელავათო ბრძოლაში სასტარტო შემადგენლობის ორივე მეკარემ კარი მშრალად შეინახა და მატჩის ექვსივე გოლი მათი შემცვლელების პასივშია. სტუმრებმა ამ შეხვედრაში ხუთი ახალწვეული ტორპედოელი — ნიშნიანიძე, სადილიანი, ხაჭაპურიძე და სამტრედიელი ფრანგიშვილი-დარსაძე ათამაშეს, მასპინძლებმა კი კახყოფილი ასლანაძე და „ალგეთში“, „მრეტებსა“ თუ 35 სტუ-ში ნათამაშევი 19 წლის ნახევარმცველი ლევან მაღრაძე გამოსცადეს. თუმცა, უფრო ძველგვარდიელებმა გამოიჩინეს თავი. ყველაზე მეტად შენგელიამ ივარგა, რომელმაც დუბლი გააკეთა და იშვიათი ტრაექტორიით (ხარიხა-ძელის გავლით) ულამაზესი მეორე გოლი გაიტანა.

„ტორპედოს“ რიგებში აღარ უთამა... მა-მეგრელაძე. სტრელცოვის სახელ... ...მატება, მოსკოვში ... „...მოტივის“ თავკაც სიომინს რომ გაასი... ჯინოს.

როგორც ჩანს, „ტორპედო“ ნაცად გა... მთამაშებელთა გარეშე რჩება, რაკი მა... რღიშვილი ტრანსფერზე დააყენა, უმც... როს მეგრელაძეს კი უცხოეთისკენ მი... უწევს გული და მოსკოვს დღეს მიფრი... ნავს. ამას ის ემატება, რომ შეგულე... ბულ ვარიანტთაგან არც ერთმა გაამა... რთლა. ტორპედოელთა სასურველი და... რასელია ისრაელში გადაბარგდა, ნოზა... ძე და ჯიქია კი სათაო თანხაზე შეთა... ნხმდნენ, მაგრამ გადახდის პრინციპზე — ვერა. „ტორპედოს“ პრეზიდენტი თა... ნახმა ყოფილა, თანხის 40 პროცენტი ახლავე გადაიხადოს, დანარჩენის გას... ტუმრებას კი ეტაპობრივად ფიქრობდა, რაც ნოზაძემ იუარა და გუშინ ტომსკში გიორგობიანთან ერთად გაფრინდა. რუ... სეთისკენვე გაუწევია სუხიაშვილს, რომ... ლის შემატების იმედი ჰქონდა „სამგ... ურალს“. სუხიაშვილს წყალტუბოელთა... თვის სიტყვა მიუცია, თუ რუსულ დიმი... ტროვგრადის „ლადას“ და ბელარუსულ მოზირის მ.პ.კ.ც.-ს ვერ მოუურიგდა, თქ... ვენთანვე დავბრუნდებიო.

ბესიკ ჯიქიამ ტელეკომპანია „იბერიონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, გულდაწყვეტილი ვარ, მერია პა... რტნიორობას რომ ვერ ართმევს თავს და ვეცდები, ან ჩვენი წილი გავზარდო, ანაც სხვა პარტნიორი მოვძებნოო. ზე... მოხსენებული თანხა კი, მერიის ნაცვლად გუნდს „სიგმა-ბანკმა“ რომ გაუსტუმრა, „ტორპედოსთვის“ კომუნალურ თუ სხვა გადასახადებში ჩაუთვლიათ. ასე რომ, დრო... ებითი გამოსავალი მოინახა და გუნდი ახალი სეზონისთვის სრულფასოვან მზადებას განაგრძობს. როგორც ჩანს, ჯიქიას დროზე მოუსწრო მაშველმა რგოლმა ვლადიკავკაზიდან, რადგან „ალა... ნიას“ აშვეთიას საფასური უკვე გადა... ხდია — მიხოს ახლა უკვე „ალანი... სთვის“ გააქვს, მაგრამ მშობლიურ გუნდს იქიდანაც არგია.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# არჩვაძის მენეჯერი გაოცებულა

„მერანის“ ყოფილი მცველი ზურაბ არჩვაძე ახლახან საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნდა და თავისი ამბავი მოგვითხრო:

— ბერძენ მენეჯერს — იანის გიორგარასს თურმე პეტერბურგში, „დინამო-2“ — „ზენიტის“ მატჩისას დავუმახსოვრებივარ და შემეხმიანა. უმაღლესი დივიზიონის „ათინაიკოსს“ უნდა გავესინჯე, მაგრამ ვიზის გაფორმება დამიგვიანდა და როცა ათენში ჩავედი, სატრანსფერო სეზონი უკვე დამთავრებულიყო, მეორე ლიგის გუნდებისთვის კი კიდევ ორი კვირა გრძელდებოდა.

უკან დაბრუნებას ისევ იქ დარჩენა ვამჯობინე, ვიფიქრე, ენასაც ვისწავლი და უცხო გარემოსაც შევეჩვევი-მეთქი. ათენის „დოქსა ვერონას“ მენეჯერმა მიმიწვია, თანაც, ათენელებს უმაღლეს დივიზიონში გადასვლა სურდათ და ეს სტიმულს მაძლევდა. რა თქმა უნდა, მეორე დივიზიონში თამაშზე არც მიფიქრია, მაგრამ „დოქსაში“ კარგმა სავარჯიშო პირობებმა და უფრო ძლიერ გუნდში გადასვლის შანსმა მომხიბლა.

ბავშვობიდან ლიბეროობას შეჩვეულს საყრდენ ნახევარმცველად მათამაშებდნენ. სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ამ პოზიციას ალლო ავუღე. „ათინაიკოსი“ კვლავ შემეხმიანა, „აპოლონიც“ დაინტერესდა და ახლა იმედი მაქვს, უმაღლესი დივიზიონის ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთში გადავალ.

აქ ჩამოსულს ბევრმა მისაყვედურა, მეორე დივიზიონში რა გინდოდაო. ცხადია, საქართველოდან პირდაპირ ევროპულ გრანდში არავინ წაგიყვანს. „დოქსაში“ კი, ვიმეორებ, სხვაგან გადასვლის პერსპექტივის გამო დავრჩი. საბერძნეთში მენეჯერები ყველა შეხვედრას ესწრებიან და იმედი მქონდა, მეც შემამჩნევდნენ. იქაურმა პირობებმა დაოსტატებაში ხელი შემიწყო, ვერც კი წარმოვიდგენდი, ამხელა სამუშაოს შესრულება თუ შემეძლო. იქ საქმისადმი სხვაგვარი დამოკიდებულებაც გამომიმუშავდა, აქ კი ეს ძალიან ძნელია, რადგან ნამდვილად პროფესიონალური გუნდი, ალბათ, მხოლოდ „დინამოა“.

სხვათა შორის, მე და ჩემი მენეჯერი გიორგარასი სალონიკში „ირაკლის“ — „მერანის“ შეხვედრას დავესწარით. გაკვირვებული იყო, თქვენ, ეტყობა, მართლა ძლიერ გიჭირთ, ჩემთვის წარმოუდგენელია, საბერძნეთის გუნდს საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდეს და უცხოეთში ავტობუსით გაემგზავროსო. ჩემი მენეჯერი თავად იყო საქართველოში და აქაური ნიჭიერი ახალგაზრდები რომ ნახა, გულდაწყვეტილმა მითხრა, ჩვენ ასეთებს ყურადღებას არ ვაკლებთ, თქვენში კი ელემენტალურ პირობებს ვერ უქმნიანო. თამაშის შემდეგ მანვე შემატყობინა, რომ „ათინაიკოსი“ გოგობერიძითა და სიდამონიძითაც დაინტერესებულა. „პანათინაიკოსში“, როგორც ვიცი, ფაქტობრივად, „ბათუმის“ და საქართველოს ნაკრების მეკარის ნიკა ტოგონიძის გადასვლაც იყო გადაწყვეტილი... „პანათინაიკოსის“ მწვრთნელს შარშან საბერძნეთისა და საქართველოს ნაკრებთა შეხვედრისას მოსწონებია იგი, მაგრამ სეზონის ბოლოს გაათავისუფლეს და გადასვლაც არ მოხერხდა.

როგორც შევიტყვე, ნიკას წაყვანა ხუთეულში მოხვედრილ გუნდსაც სურს, რომელს, ჯერჯერობით ვერ დავაზუსტე.

**მერაბ მამულაშვილი**



# მიშამ ათიანი მოარტყა

მას შემდეგ, რაც მიხეილ ყაველაშვილი ვლადიკავკაზიდან ინგლისს გადაბარგდა და იქაური „მანჩესტერ სიტის“ მაისური მოირგო, დამეთანხმებით, თავიდან ყველა მოლოდინში ვიყავით — არიქა, „სიტიში“ უკვე ორი ქართველია, ერთმანეთს კარგად გაუგებენ და იქნებ ამ წყალწაღებულებს ახლა მაინც ეშველოთ რამეო. მაგრამ ჯერ იყო და ალან ბოლმა აითვალწუნა ყაველა, შემდეგ მისმა შემცვლელებმა, ბოლოს კი კლარკმა არ დააყენა საშველი მიშას ხეირიან თამაშს. სწორედ ამიტომ იყო, ყაველაშვილი ინგლისში რომ აღარ გაჩერდა და ახალი კლუბის მოლოდინში თბილისში ჩამოვიდა. ნათქვამია, ნიჭი თავის გზას არ დაკარგავსო. მიხეილ ყაველაშვილის მაგალითიც ამის დასტურია: შვეიცარიის „გრასჰოპერი“ ხომ ერთ-ერთი სახელოვანი და პოპულარულია იმ გუნდებს შორის, რომლებშიც ქართველები თამაშობენ. წინა „სარბიელში“ გაუწყეთ, ყაველამ „გრასჰოპერთან“ ერთწლიანი კონტრაქტი რომ გააფორმა, გუშინ კი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მიშასთან ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბრე.

— „გრასჰოპერში“ ერთი წლით გამანათხოვრა „სიტიმ“. ჯერჯერობით ასე არიან კლუბები შეთანხმებულნი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შვეიცარიელებმა კონტრაქტის გაგრძელება მოითხოვეს, „სიტის“ სასარგებლოდ მილიონი დოლარის გადახდა მოუწევთ. ყველაფერი ჩემს თამაშზეა დამოკიდებული.

**— შვეიცარიაში მოთამაშე პირველი ქართველი იქნები. „გრასჰოპერთან“ კონტრაქტი ვინ გაგიბერხა?**

— ისევ იმ ხალხმა, ვინც „ალანიადან“ „სიტის“ დამაკავშირა. ჯერ თვითონ მოილაპარაკეს, პირობებზე შეთანხმდნენ და მერე კლუბის აგენტი დამიკავშირდა, რომელმაც თავად ამიხსნა ყველაფერი და ციურიხში ჩასვლა მთხოვა.

**— თბილისში რატომ დაბრუნდი?**

— შვეიცარიაშიც იგივე კანონებია, რაც ინგლისში. ფეხბურთელს იქაც შრომის სამინისტროს ნებართვა სჭირდება. შვეიცარიაში ოთხი დღე ვიყავი, კონტრაქტი გავაფორმე და უსაქმოდ იქ დარჩენას, აბა, რა აზრი ჰქონდა — თამაშით მაინც ვერ ვითამაშებდი, ვარჯიშით კი აქაც მშვენიერად ვვარჯიშობ. საჭირო საბუთებს ერთ კვირაში გაამზადებენ და მეც მაშინ შევუერთდები გუნდს.

**— „გრასჰოპერთან“ ერთად საერთოდ არ გივარჯიშია?**

— არც მივარჯიშია და არც მითამაშია. ისე ვიყავით შეთანხმებულნი, რომ პირდაპირ კონტრაქტის გასაფორმებლად ჩავიდოდი. ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრას ჩემი გუნდი სტუმრად, „სიონთან“ ატარებდა. მანქანით წამიყვანეს, გუნდის თამაშს დავესწარი. შემდეგ კი ხელმძღვანელებთან ვისაუბრე. მითხრეს, რომ კონტრაქტს მეორე დღეს მოვაწერდით ხელს. კლუბის პრეზიდენტი დასასვენებლად ბრძანდებოდა, მარტო მენეჯერი კი ვერაფერს გადაწყვეტდა. მეორე დღეს პრეზიდენტიც ჩამოვიდა და ყველაფერი მოვაგვარეთ.

**— ფეხბურთელებს თუ შეხვდი?**

— არა. „სიონთან“ მატჩის შემდეგ ორი დღე ისვენებდნენ. მე კი აქეთ-იქით მანქანით დამატარებდნენ.

**— შენთვის ათნომრიანი მაისურიც უბოძებიათ.**

— ნომერი ამოსარჩევად იყო, მეც ათიანი მერჩივნა.

**— მუდმივი თამაშით, ალბათ, ფსიქოლოგიურ სტრესს თავს დააღწევ—**

— სტრესში არასდროს ვყოფილვარ. უბრალოდ, განვიცდიდი, ინგლისში რომ არ მათამაშებდნენ. მე ყოველთვის მზად ვიყავი ამისთვის, უიმედოდ არც მაშინ ვყოფილვარ და მით უმეტეს ახლა, როცა შესაძლებლობა მომეცა, ჩემი ძალა ბოლომდე გამოვავლინო.

**— შვეიცარია ისეთი ქვეყანაა, ალბათ, კარგ პირობებზეც შეთანხმდებოდით.**

— მართლაც საოცარი ქვეყანაა. როგორც ვიცი, ევროპაში ყველაზე მაღალი ხელფასები სწორედ შვეიცარიაშია, თუმცა ფასებიც შესაბამისია. რამდენ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს: გაჭირვებული კაცი იქ არ არის, ყველა დასაქმებულია, თავის საქმეს აკეთებს და ცხოვრებითაც უდარდელად ცხოვრობენ. მოკლედ, ყველაფერი მაღალ დონეზე აქვთ. ასეთი ქვეყნის გუნდმა კი, არა მგონია, ფეხბურთელს ცუდი პირობები შესთავაზოს. მით უმეტეს, როცა „გრასჰოპერზეა“ ლაპარაკი.

**— შენს იქ ყოფნაში კიდევ რომელიმე ქართველი ფეხბურთელით ხომ არ დაინტერესებულან?**

— „გრასჰოპერის“ მენეჯერმა მითხრა, ვინმე თუ გვგულება. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე რომ გამოდგებოდესო. ნემსაძე-მეთქი, ვუთხარი და თურმე დაინტერესებულან კიდეც. გუშინ დამირეკეს შვეიცარიიდან, ნემსაძესთან იქნებ როგორმე დაგვაკავშიროო. მისი შეძენა სურთ. ახლა რამენაირად სასწრაფოდ უნდა ვესაუბრო გიორგის და „გრასჰოპერის“ ამბავი ვუთხრა.

საერთოდ კი, ქართველებზე ცოტა იციან. გამახსენეს, „გრასჰოპერი“ „დინამოს“ რომ შეხვდა. პრეზიდენტის მეგობარმა თავისიანებს უთხრა, თბილისში ვყოფილვარ, ძალიან ლამაზი ქალაქია და ხალხიც არაჩვეულებრივიაო. ისე, შვეიცარია ძალიან ჰგავს საქართველოს: მართლაც ულამაზესი ბუნება აქვთ. მანქანით რომ დავდიოდი, სულ არაგვის ხეობა, ბორჯომი, რაჭა მახსენდებოდა.

**— ცოტა ნაკრებზეც ვთქვათ, „ღრეობაზეც“—**

— ვერ გამიგია, ასეთი ამბავი რატომ ატეხეს. თუ ვქეიფობდით, ღრეობა გავმართეთ, ის ხალხი იქ არ იყო? მაშინვე ეთქვათ სათქმელი, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მსგავსი თვითმფრინავში არაფერი მომხდარა. ჩამოდიან აქ და ისე ლაპარაკობენ, თითქოს აგვეკლოს იქაურობა. მიზეზი უბრალოა: ნაკრებმა პოლონელებთან მართლაც საშინლად ითამაშა და მათ საბაბი მიეცათ, ფეხბურთელებზე ჯავრი ეყარათ. თუ ვინმემ კატოვიცეს მარცხი განიცადა, უპირველესად — ფეხბურთელებმა. ბევრს კიდევ ვერ შეუგნია, რა დღეში ვართ, რა დაძაბული ცხოვრება გვაქვს. ამათ რა აქვთ სათქმელი, ისეთ ქვეყნებში თამაშობენო, შეიძლება ზოგიერთმა გაიფიქროს. აბა წარმოიდგინეთ, როგორ გვჭირს, უცხოეთში რომ ვართ, როგორ გვენატრება სამშობლო, მეგობრები, ახლობლები. ზოგიერთს ოჯახის წევრებიც კი მიტოვებული ჰყავს და დღე და ღამე მათზე ფიქრობს. რა, ფეხბურთელმა არ უნდა დაისვენოს? თამაშის მერე თანაგუნდელებთან ერთად ლუდის დალევა ქეიფს და ღრეობას თუ ნიშნავს, კარგით, ბატონო, ყველაფერი გულშემატკივარმა გაარკვიოს. მე ჩემი სათქმელი ვთქვი. ჩვენ რა, ადამიანები არა ვართ? რაც შეეხება პატრიოტობას, ამაზე საუბარიც არ ღირს. უაზრობაა და იმიტომ. მოვიდნენ, შევეჯიბრონ სამშობლოს სიყვარულში, მაშინ კარგად გამოჩნდება, ჩვენ ვართ პატრიოტები თუ ისინი, ვინც ასეთ ჭორებს ავრცელებს.

**კობა ინასარიძე**


## სარეკლამო სააგენტო კოკი და კომპანია

**რეკლამის დამზადება**

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

**კომპიუტერული მომსახურება**

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

**25% ფასდაკლებით!!!**

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56

## რად გინდა, ფაბრიციო ამდენი ფული?

ფაბრიციო რავანელი „მიდლსბროში“ ცოცხალი თავით არ ბრუნდება, გავარდნილ გუნდში არაფერი მესაქმებაო. არადა, ამ ჭაღარა ბიჭმა გასულ სეზონში თავისი ვალი მიდლსბროელთა წინაშე ნამდვილად მოიხადა — 31 გოლი შეაგდო. თავდამსხმელს, აბა, მეტი რა უნდა მოსთხოვო.

ჩაკეტილი წრის გარღვევა „ევერტონმა“ ითავა. ლივერპულის ამ გუნდის ახალი მწვრთნელი ჰოვარდ კენდალი რავანელის გუნდს დაუკავშირდა და 7,5 მილიონ გირვანქად, ანუ 12 მილიონ დოლარად გაურიგდა კიდეც.

კეთილი და პატიოსანი. საქმე ფაბრიციოზეღა მიდგა. იგიც ხუთშაბათს მანჩესტერს ჩაფრინდა, სადაც აეროპორტში თავად კენდალი დახვდა. მან იტალიელი ლივერპულში საკუთარი მანქანით ჩაიყვანა, „გუდისონ პარკის“ სტადიონი და გუნდის საწვრთნელი ბაზა დაათვალიერებინა, შემდეგ კი ცალკე გაიყვანა და პირობებზე ჩამოუგდო სიტყვა. განმარტოვებამდე კენდალმა ჟურნალისტებს უთხრა, ყველაფერს კარგი პირი უჩანს, ეტყობა, რავანელის გავურიგდებითო.

მერე რა მოხდა? რა და კენდალი ისევ ჟურნალისტებთან მივიდა და თავდამსხმელთან საუბრის ის ნაწილი მოუთხრო, რომელზეც იმწუთას ლაპარაკი შეიძლებოდა.

— მოთამაშემ მითხრა, რომ ბედნიერია, ასეთმა კლუბმა რომ ისურვა მისი შეძენა. მას უზომოდ მოსწონს ჩვენი ამბიციური გუნდი და ამის მოსმენა ფრიად სასიამოვნო გახლდათ. ახლა, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. თუ რავანელი იტყვის დიახ, მაშინ ჩათვალეთ, რომ მოლაპარაკება დამთავრებულია.

ფაბრიციო რავანელმა იფიქრა, იფიქრა და...

ის „მიდლსბროში“ ხელფასად კვირაში 28 ათას გირვანქას იღებდა. „ევერტონში“ 40 ათასი მოითხოვა, ოთხი წლის განმავლობაში. ლივერპულში, როგორც ჩანს, ეს თანხა ებევრათ.

რავანელი „ევერტონში“ არ გადავიდა.

# ტაილანდური ამხანაგობა

„მანჩესტერ იუნაიტედს“ შესაძლოა ცოტა გაუმართლა კიდეც, ტაილანდს ამხანაგურ შეხვედრაში 2:0 რომ მოუგო, მაგრამ ბანგკოკის სტადიონზე შეკრებილი 25 ათასი მაყურებლისთვის, როგორც გაირკვა, მატჩის შედეგს საერთოდ არ ჰქონდა მნიშვნელობა. ტაილანდს იუნაიტედომანიამ გადაუარა. ოთხშაბათ დილას, აეროპორტში ათასზე მეტი ადამიანი მივიდა გუნდის დასახვედრად. ფეხბურთელებს ისე ეპყრობოდნენ, გეგონება ისინი პოპ-ვარსკვლავები ყოფილიყვნენ. ქალაქის ცენტრში სასტუმრო, სადაც მანჩესტერელები დაბინავდნენ, ალყაში მოექცა. ყველას უნდოდა ახლოდან დაენახა ფეხბურთელები. ვარჯიშებზე დასასწრებელი ბილეთები 4 ათასმა ქომაგმა იყიდა. გუნდის ავტობუსს ყველა ქუჩაზე ხელს უქნევდნენ და ესალმებოდნენ.

— მე მიყვარს „მანჩესტერი“, განსაკუთრებით როი კინი და ნიკი ბათი, ისინი საუკეთესონი არიან — თქვა 19 წლის კუსანა ონგსაარნმა, ერთ-ერთმა იმ სამი ათასიდან, თამაშის შემდეგ „იუნაიტედის“ ავტობუსს რომ ელოდა ხელის დასაქნევად.

ქვეყანაში, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკლუბო ჟურნალის 18 ათასი ეგზემპლარი იყიდება, ახალგაზრდული გუნდის წევრებსაც გმირებივით ეპყრობიან. ალბათ სტუმრად ასე შინაურულ გარემოში სხვა გუნდი არასდროს ყოფილა. წითელ მაისურებში გამოწყობილი მაყურებელი ტაშს უკრავდა ყველაფერს — კუთხურს, აუტს, გოლს.

ქალები მაყურებლის საგანგებო ნაწილს წარმოადგენდნენ. თამაშის დროს, ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელები სარბენ ბილიკებზე რომ დარბოდნენ, მათი წივილ-კივილი ყურთასმენას ახშობდა.

ავტოგრაფები... 400 წესრიგის მცველი და სამხედრო, თავისი გასაკეთებლის ნაცვლად „იუნაიტედის“ ფეხბურთელებს ავტოგრაფს სთხოვდა.

მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექსს ფერგიუსონი ტაილანდელებს ორ წელიწადში დაბრუნებას შეპირდა, ხოლო რაც შეეხება ისეთ უმნიშვნელო მოვლენას, საფეხბურთო მატჩი რომ ჰქვია, როგორც გითხარით, ნიკი ბათის 66-ე და ტაილანდელი ნატე ტონგსუკაეს 86-ე წუთზე ერთსადაიმავე კარში გატანილი გოლებით 2:0 დასრულდა. დავძენთ, რომ „იუნაიტედი“ ტურნეს უძლიერესი შემადგენლობით არ ატარებს. ტრავმათა გამო ინგლისში დარჩნენ რაიან გიგზი, დევიდ ბექემი და გარი ნევილი. და თუ მათი არყოფნა ტაილანდში კიდევ აიტანეს, შემდეგი მატჩის ქალაქში, ჰონკონგში, განრისხებულმა ხალხმა ლამისაა ბილეთები დააბრუნოს. არადა, გაყიდულია 40 ათასი, შავი ბაზრის ფასმა კი 50 დოლარს მიაღწია.

გაცილებით კლასიკურ გარემოში ჩატარდა „ევერტონის“ და „გლაზგო რეინჯერსის“ შეხვედრა, რომელიც ლივერპულის გუნდმა 3:2 მოიგო. „რეინჯერსის“ შემადგენლობაში სამი იტალიელი თამაშობდა: ლორენცო ამორუზო, მასიმო პორინი და მარკო ნერი.

ნიუ ჯერსიში გამართული ამხანაგური მატჩი „მეტროსტარზსა“ და თურქულ „გალათასარაის“ შორის სტუმართა გამარჯვებით 3:1 დამთავრდა. სამიდან ორი გოლი რუმინელმა ადრიან ილიემ გაიტანა.

შვედური „გიოტებორგისა“ და ინგლისური „ლივერპულის“ გაცილებით საინტერესო შეხვედრა გიოტებორგელებმა მოიგეს — 1:0. გოლი 77-ე წუთზე მარტინსონმა შეაგდო, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ კი ნორვეგიულ „სკეიდთან“ წააგო 2:3.

# კენი დალგლიშის ჩინებული თავსატეხი

**დერი სიტი 0:2 ნიუკასლი**

**გოლი: კროუფორდი (8), ბერდსლი (37)**

დუბლინში გამართული ოთხთა ტურნირი „ნიუკასლ იუნაიტედის“ გამარჯვებით დასრულდა. ამთავითვე ვიტყვით, რომ ჩვენი თანამემამულე თემურ ქეცბაია, რომელმაც წინადღის პირველ შეხვედრაში „ეინდჰოვენის“ წინააღმდეგ შეუცვლელად ითამაშა, მეორე დღეს სასტარტო შემადგენლობაში არ იყო, მაგრამ მწვრთნელმა კენი დალგლიშმა შესვენების შემდეგ მაინც ჩართო საქმეში. საერთოდაც ალსანიშნავია, რომ დალგლიშმა „დერი სიტისთან“ შეხვედრაში ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოსცადა.

ინგლისის პრემიერლიგის ვიცე-ჩემპიონი 37-ე წუთზე უკვე 2:0-ს იგებდა, შემდეგ კი ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მან მასპინძელთა კარში მეტის





მესამე ადგილისთვის მატჩი: სელტიკელ ტომი ბოიდს ჟილ დე ბილდეს შეჩერება ერთობ გასჭირვებია

გატანა აღარ ისურვა: ანგარიში მალე გაიხსნა, გოლი ჯიმ კროუფორდმა გაიტანა, ტაიმის ბოლომდე რვა წუთით ადრე კი ვეტერანმა პიტერ ბერდსლიმ მეორე დაამატა. საგულისხმოა, რომ ნიუკასლელი ჯიმ კროუფორდი წარმოშობით დუბლინიდანაა. მან მშობლიურ ქალაქში ასეთი გოლი გაიტანა: ინგლისელთა შეტევა ირლანდიის პირველობაზე მოთამაშე ჩრდილოირლანდიური გუნდის მცველმა ტომ მოჰანმა ვერ ჩაშალა, ბურთი ასე, 30 მეტრში მდგომ კროუფორდს მიუვიდა, რომელმაც საბოლოო დარტყმა ზუსტად შეასრულა. ამ გოლიდან ოთხი წუთის შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების წევრმა ლაიამ კოილმა პიტერ ჰატონს ბურთი ოსტატურად გადააწოდა, ჰატონმა რატომღაც გარინდულ ნიუკასლელ მცველებს ჩაურბინა, მაგრამ მეკარის, პაველ სრნიჩეკის სიფხიზლისა და რეაქციის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

რაც შეეხება ბერდსლის გოლს, იგი დეს ჰამილტონის ჩაწოდებისა და ლეს ფერდინანდის პასის შემდეგ გავიდა.

„დერი სიტის“ ტაიმის დამთავრებამდე სამოცი წამით ადრე ერთხელაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ კოილის მაკრატელას ისევ სრნიჩეკის ოსტატობა გადაელობა. მეორე ნახევარში კი გუნდებმა თითო მომენტი გაცვალეს: სტივ უოტსონის დარტყმული ირლანდიურმა ძელმა აისხლიტა, გარი ბეკეტის მცდელობა კი ხარიხას გადაცდა.

ამ მატჩის შემდეგ „ნიუკასლის“ მწვრთნელს თავსატეხი გაუჩნდა. 9 აგვისტოს ინგლისის პირველობა იწყება, მისი გუნდი „უიმბლდონს“ ეთამაშება, ხოლო ვინ დაიცავს ვიცე-ჩემპიონთა კარს იმ შეხვედრაში, რთული გადასაწყვეტია. ჩეხმა სრნიჩეკმა „დერი სიტისთან“ ბრწყინვალე შეფასება დაიმსახურა, მაგრამ ოცდაოთხი საათით ადრე არანაკლებ ითამაშა ირლანდიელმა შეი გივენმა, რომელმაც „ეინდჰოვენის“ ფეხბურთელებს რამდენჯერმე დიდებულად გადაუკეტა გზა. დღეს ბირმინგემშია ამხანაგური თამაში „ბირმინგემ სიტისთან“ [illegible] მესამე გოლკიპერს, [illegible] შეამოწმებს.

— სამი კარგი მეკარე [illegible] გასული სეზონის ბოლოს ოთხ თამაშში მეტოქეს ტაბლოზე ნული დაატოვებინა, „დერისთანაც“ ორჯერ ჩინებული ოსტატობა გამოავლინა — თქვა დალგლიშმა, მაგრამ მაისურებზე ნომრების განაწილებისას პირველი ნომერი მაინც გივენს არგუნა. გივენი „ნიუკასლში“ „ბლექბერნიდან“ გადავიდა.

ოთხთა ტურნირზე კი მწვრთნელმა ასე თქვა: — აქ გამარჯვება კარგი საქმე გახლდათ, რადგან ტურნირში მონაწილეობის მიზანი საჭირო ფორმაში შესვლა იყო, რასაც მივაღწიეთ. მოგეხსენებათ, მალე ჩემპიონთა თასის წინასწარი ეტაპის მატჩი გვიწევს, რისთვისაც ვგონებ კარგად ვემზადებით. ჩვენ ორი მშვენიერი ფეხბურთელი გვყავს — ბერდსლი და ფერდინანდი. უკმაყოფილო არც სხვებით ვარ, რადგან 24 საათში, ძლიერ მეტოქეებთან, ორი მატჩის გამართვა კარგ მზადყოფნას ითხოვს.

**ეინდჰოვენი 2:2 (პ. 5:3) სელტიკი**

პირველ შეხვედრაში „დერი სიტისთან“ „სელტიკი“ საცოდავ გუნდად გამოჩნდა, მაგრამ გლაზგოელთა გასახარად მეორე დღეს, „ეინდჰოვენთან“, პენალტებით წაგების მიუხედავად, მათი თამაში ღირსეული იყო. მათ ჟინი და ოსტატობა გამოავლინეს და მე-40 წუთზე უკვე 2:0 იგებდნენ.

ანგარიში 37-ზე გაიხსნა. საგოლე კომბინაცია ტომ მაკკინლიმ და პაოლო დი კანიომ წამოიწყეს, მორტონ ვიგჰორსტმა კი იგი წარმატებით დააგვირგვინა. სამი წუთის შემდეგ დი კანიომ საიმონ დონელის გადააწოდა, დონელიმ ჯეკი მაკნამარას, რომელმაც დაბლა დაარტყა. მეკარე ვატერეუსმა ბურთი თითქოს მოიგერია, მაგრამ იგი ვან დე ნეერდენმა აისხლიტა და უნებლიედ ბადეში შეაგდო.

შესვენების შემდეგ, ორი წუთი რომ გავიდა, ჟილ დე ბილდემ საჯარიმოს კიდიდან დაარტყა ზუსტად და სხვაობა შეამცირა. 51-ზე გლაზგოელთა გერმანელ ნახევარმცველს ანდრეას ტომს მეკარესთან ჰყავდა დასამარცხებელი, მაგრამ მეტისმეტად უზუსტოდ მოიქცა. ასეთი მომენტის გაცუდებით გამოწვეული გულგაცრუება განელებული არ გახლდათ, რომ 53-ზე შოტლანდიელებს დე ბილდეს მეორე გოლმა წყენას წყენა დაუმატა.

შემდეგ იყო თერთმეტმეტრიანები, რომელთაგან ჰოლანდიელებმა ყველა გაიტანეს, „სელტიკმა“ კი ვერა — ჯონ პოლ მაკბრიჯს ვატერეუსმა აუღო.

— „დერისთან“ თამაშის შემდეგ, ერთ დღეში, საგრძნობლად გამოვასწორეთ საქმე, მაგრამ წინ მაინც უამრავი სამუშაო გველის — განაცხადა მატჩის შემდეგ „სელტიკის“ მეორე მწვრთნელმა დევიდ ჰეიმ.

**პაპუნა ძიდია**

# ასეთი სიტუაციაა: ბაჯო ბოლონიაში გადავიდა

— სიტუაცია, დამეთანხმებით, ცოტა ისეთია — თქვა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და თავით ტალღისმაგვარი მოძრაობა შეასრულა. რას ნიშნავს ეს, არავინ უწყის, მაგრამ რაკი ამხელა კაცი ამბობს, ეტყობა, მართლა ეგეთი სიტუაციაა.

რობერტო ბაჯოს ხუთშაბათს „მილანის“ კრებაზე უნდა ეთქვა ბოლო სიტყვა. კლუბმა მას არჩევანის თავისუფლება მისცა, მაგრამ ამ საქმიდან იმ დღეს არაფერი გამოვიდა. თითქოს, ყველაზე მიმზიდველი წინადადება ბოლონიელებისა იყო. ისინი ბაჯოში „მილანს“ 3 მილიონ დოლარს უხდიდნენ. თავად ფეხბურთელს კი ერთწლიან კონტრაქტს უფორმებდნენ, რომლის თანახმადაც მას 1,5 მილიონი დოლარი ერგებოდა, მაგრამ...

— არაფერი შეცვლილა. ჩვენ კვლავ ბაჯოს აგენტის ზარს ველოდებით. ვფიქრობ, რობერტოს ისეთი გუნდი სჭირდება, სადაც ის ორკესტრის დირიჟორის ფუნქციას შეასრულებს. ამიტომაც, „მილანში“ მისი ნიჭი ყოველთვის დაიჩრდილება, არადა, ისეთი მოთამაშეა, აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში რომ უნდა გამოდიოდეს. და მაინც, თუ რობერტო შესაფერის გუნდს ვერ მიაგნებს, ჩვენ მას სიხარულით დავიტოვებთ — განაცხადა გალიანიმ.

— მაშ ასე, ბაჯოს „ბოლონიაში“ გადასვლა არ გამოვიდა. ახლა ფეხბურთელს უთქვამს, ინგლისური „დე-



რბი ქაუნთის“ პირობები კარგად უნდა განვიხილოო. საუბარი იყო კიდევ რომელიღაც ინგლისურ გუნდზე, რომლის ვინაობაც არ დაუსახელებიათ — წერდნენ გაზეთები და სააგენტოები პარასკევ შუაღამემდე.

პარასკევს კი... იტალიელმა ფორვარდმა რობერტო ბაჯომ განაცხადა, რომ „მილანიდან“ სერია A-ს კლუბ „ბოლონიას“ შეუერთდა.

— მე ავირჩიე „ბოლონია“ და ეს არჩევანი დიდ სიამოვნებას მანიჭებს — თქვა ბაჯომ პრეს-კონფერენციაზე — კვირიდან მწვრთნელის განკარგულებაში მიგულეთ.

„როიტერის“ მიერ გავრცელებულ ამ ცნობას მყისვე მეორე მოჰყვა:

„ბოლონიას“ პრეზიდენტმა, ჯუზეპე გაძონი ფრასკარამ, რომელიც აგრეთვე გახლდათ პრეს-კონფერენციაზე, განაცხადა, რომ მისმა გუნდმა რობერტო ბაჯოსთან გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი, მაგრამ ფეხბურთელს ერთი სეზონის შემდეგ შეეძლება დასტოვოს გუნდი.

— მას დიდი თავისუფლება ენიჭება — თქვა ფრასკარამ, რომელმაც დამალა, თუ რამდენი გადაუხადა „მილანს“.

ბაჯომ დასძინა, რომ მან „მილანი“ იმიტომ დასტოვა, რომ არ ათამაშებდნენ, მაშინაც კი, როდესაც კარგ ფორმაში იყო:

„მილანი“ დიდი გუნდია, მინდოდა მისთვის მეტი გამეღო, მაგრამ საშუალება არ მომცეს.

ბაჯოს თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის წინა სეზონში ისეთ გუნდში გადასვლა, როგორიცაა „ბოლონია“, ფრიად სახეირო საქმეა.

— ჩემთვის ყველაფერი კარგად აეწყო და იმედი მაქვს, რომ საფრანგეთშიც ასევე დაგვირგვინდება.

ბაჯოს იტალიის ნაკრებში 46 თამაში აქვს ჩატარებული.

# სანამ ჩემპიონატი დაიწყებოდეს

ბუნდესლიგის ჩემპიონატის დაწყებამდე მიუნხენის „ბაიერნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ ერთმანეთის კაი ბიჭობის შემოწმება ექვსთა ტურნირზე შეუძლიათ. მათ გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს კიდევ ოთხი გუნდი. თან რა გუნდები! ერთი სიტყვით, გერმანელები გასული სეზონის პირველ ექვსეულს აჯიბრებენ ერთმანეთს. ფინანსური მხარეც ჩინებულადაა მოგვარებული: მონაწილენი სულ ცოტა 500 ათას მარკას ანუ 221 ათას დოლარს მოიხვეჭენ. რაც შეეხება ფინალურ შეხვედრას, იგი ლევერკუზენში 26 ივლისს გაიმართება და მოგებული 2,5 მილიონ მარკას მიიღებს, რაც 1,8 მილიონი დოლარის ტოლფასია. ყველაფერი ეს კი ჩემპიონატის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებით ადრე ხდება — ბუნდესლიგა 2 აგვისტოს იწყებს.

ახალ შეჯიბრებას გერმანულად „ლიგაპოკალ“ ჰქვია, რაც ჩვენებურად ლიგის თასს ნიშნავს. ის გერმანელებმა ევროპული ქვეყნებისთვის ტრადიციული სუპერთასის ნაცვლად შემოიღეს. წუხელ, ვიცე ჩემპიონი და ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოს“ შესაძლო მეტოქე ლევერკუზენის „ბაიერი“ გათამაშების პირველ მატჩში მეექვსე ადგილზე გასულ „კარლსრუეს“ შეხვდა (შეხვედრის ანგარიში პირველ გვერდზე), მათ შორის გამარჯვებული 22 ივლისს შეხვდება ბუნდესლიგის ბოლო სეზონში მეოთხე ადგილზე გასულსა და ქვეყნის თასის გათამაშებაში გამარჯვებულ „შტუტგარტს“. ხვალ მესამე გუნდი დორტმუნდის „ბორუსია“ მეხუთეს, „ბოხუმს“ ეთამაშება, მათ შორის გამარჯვებული კი 23-ში „ბაიერნს“ დაუპირისპირდება.

## ავსტრია

მე-2 ტური. გრაცერი — ლუშტენაუ 3:1, ტიროლი — შტურმი 1:4, ლინცერი — რიდი 1:1, რაპიდი — ადმირა 0:0, ზალცბურგი — აუსტრია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| აუსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ადმირა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლუშტენაუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გრაცერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| რიდი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| რაპიდი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ზალცბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ლინცერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ტიროლი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

## შვეიცარია

გადადებული მატჩები. ქსამაქსი — სერვეტი 1:2, არაუ — სიონი 1:1, ლოზანა — ციურიხი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოზანა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 7 |
| ციურიხი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| სიონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| სენტ გალენი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| არაუ | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| სერვეტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კრიენსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| კარუჟი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ლუცერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ბაზელი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ქსამაქსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიის პირველობაზე მეოთხე ტური გაიმართა. „პანარამ“ 4:0 მოუგო „ბრაგანტინოს“, „გოიასმა“ 1:4 წააგო „ფლამენგოსთან“, „ფლუმინენსემ“ და „ვიტორიამ“ ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ჟუვენტუდი — პალმეირასი 2:1, კორინთიანსი — ვასკუ და გამა 2:1, პორტუგეზა — გრემიო 3:0, ამერიკა — უნიაუ 3:1, რესიფე — პარანაენსე 3:1, კრუზეირო — სან პაულუ 0:5, ბაია — კურიტიბა 1:1, კრისიუმა — გუარანი 1:3. ოთხივე გამარჯვებით, ათი გატანილი და ერთადერთი გაშვებული გოლით პირველ ადგილზეა „პარანა“, რომელსაც 6 შვიდქულიანი გუნდი მისდევს. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ახლახანს აღებული სტარტისა, უნდებს ერთნაირი რაოდენობით არ აქვთ ნათამაშევი. მაგალითად, ბოლოს წინა ადგილზე მყოფ „ვასკუ და გამას“ ერთადერთი მატჩი აქვს გამართული. ასევეა „ბოტაფოგო“, რომელიც ბოლოდან მეოთხე ადგილზეა.

**ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კანტონას ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ კაპიტნობა ირლანდიელ როი კინს დაავალა, თუმცა, კარიერაში უამრავჯერ გაფრთხილებულ და გაძევებულ კინს ბოლომდე მაინც ვერ ენდობიან. მას გამოსაცდელი ვადა მისცეს.**

არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა იტალიაში გაფრინდა, თავის კლუბთან, „ფიორენტინასთან“ ურთიერთობის გასარკვევად. ბატისტუტამ თქვა, რომ მისი სურვილია ზუსტად შეიტყოს, სურს თუ არა ფლორენციის გუნდს მასთან მუშაობა. „თუ არა და იქნებ „ბარსელონამ“ ისურვოს“ — განაცხადა გაბრიელმა, რომელიც კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დგას: არგენტინის ეროვნული გუნდის თავკაცმა დანიელ პასარელამ იგი ნაკრებში კვლავ არ მიიწვია. მიუხედავად არმიწვევისა, პასარელამ განაცხადა, ბატისტუტაზე ხელი არ ამიღიაო, თუმცა ფეხბურთელმა მიუგო, შენს გუნდში მიმბრუნებელი ცხოვრებაში არ ვარო.

**ინგლისელი მცველი სტიუარტ პირსი პრემიერლიგაში დაბრუნებასა და ქვეყნის ნაკრებში ადგილის დაბევებას ცდილობს — გავარდნილმა „ნოტინგემ ფორესტმა“ იგი უპირობოდ წარადგინა ტრანსფერზე, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის თანახმად სამი წლით კიდევ ამ კლუბში უნდა იყოს. 35 წლის პირსმა თვლის, რომ „ფორესტში“ თორმეტწლიანი კარიერის შემდეგ ადგილის შეცვლა უპრიანი იქნება.**

შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა მილანის “ინტერიდან“ გერმანულ „კაიზერსლაუტერნში“ გადავიდა. მისი ტრანსფერის ფასი 4,4 მილიონი დოლარია. ბუნდესლიგაში ახალდაბრუნებული „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელი გახლავთ ოტო რეჰაგელი, რომელიც სფორცასთან ორი წლის წინ მიუნხენის „ბაიერნში“ მუშაობდა. მაშინ ჩირიაკო რეჰაგელის საყვარელი შეგირდი იყო.

**ესპანეთის დედაქალაქის „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე გულშემატკივრებს წარუდგინეს „ატლეტიკოს“ ახალი ფეხბურთელი კრისტიან ვიერი, რომელიც ამ კლუბმა „იუვენტუსისგან“ 20 მილიონ დოლარად იყიდა. სტადიონზე ვიერი უფრო მხიარული ჩანდა ვიდრე წინა საღამოს აეროპორტში, სადაც ტელეკამერებით, ჟურნალისტებითა და ქომაგებით გარშემოკრულმა ერთ მომენტში მოთმინებაც კი დაკარგა. იტალიელის საბრძოლო წრთობა, ალბათ, 30 აგვისტოს შედგება ახალი ჩემპიონატის პირველ ტურში, რომელშიც „ატლეტიკო“ ჩემპიონ „რეალს“ ხვდება.**

იტალიურმა „მილანმა“ ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს“ ბრაზილიელ ლეონარდოზე ჩამოუგდო სიტყვა. ეს ცნობა პარიზელთა პრეზიდენტმა მიშელ დენიზომ გაავრცელა. გამორიცხული არაა, რომ „სენ ჟერმენმა“ ლეონარდო მართლაც მიჰყიდოს იტალიელებს, მაგრამ ლეონარდოს თანამემამულე, პარიზელთა გუნდის მწვრთნელი რიკარდო ჯერჯერობით ამის წინააღმდეგია. მას სურს, რომ ლეონარდომ მონაწილეობა მიიღოს ჩემპიონთა თასის წინასწარი ეტაპის შეხვედრებში 13 და 27 აგვისტოს.

**ბრაზილიელი რომარიო, მოგეხსენებათ, ოფიციალურად ესპანური „ვალენსიას“ წევრია, მაგრამ 20 ივლისამდე, ანუ ხვალამდე, დროებით, მშობლიურ „ფლამენგოში“ იყო გათხოვებული. წესითა და რიგით ფეხბურთელი ზეგ ესპანეთში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ მან ჯიუტად განაცხადა, სამშობლოდან ფეხს არ მოვიცვლი, ჩემმა ორმა ვაჟმა აქ უნდა იცხოვროს და განათლებაც აქ უნდა მიიღოსო. „ვალენსიას“ პრეზიდენტმა ფრანსისკო როიხმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, თუ რომარიო არ დაბრუნდება, 18 მილიონ დოლარად ვინმეს მივყიდიო.**

ინგლისური „ნიუკასლის“ თავდამსხმელი ლეს ფერდინანდი დავიდ ჟინოლასავით „ტოტენჰემში“ არ გადავა — განაცხადა ნიუკასლელთა პრეზიდენტმა ჯონ ჰოლმა. მიუხედავად ამისა, გაზეთები იუწყებიან, რომ „ტოტენჰემის“ პრეზიდენტი ალან შუგარი ამისთვის ყველა ღონეს იხმარს. „შუგარს, ეტყობა, ჰგონია, რომ ყველას იყიდის, ვისაც თითს დაადებს — თქვა ჰოლმა — ჩვენ ლესის გაყიდვა არ გვსურს, მორჩა და გათავდა.

**იტალიელი ვალტერ ძენგა, აშშ-ის ლიგის საუკეთესო მეკარედ რომ ითვლება, სამშობლოში დაბრუნებასა და მუხლის ოპერაციის გაკეთებას აპირებს. გასულ სეზონში „ნიუ ინგლანდ რევოლუშენმა“, რომლის კარსაც ძენგა იცავს, მეხუთე ადგილი დაიკავა. 37 წლის გოლკიპერს, საშუალოდ თამაშში 1,24 გაშვებული გოლით, კოლეგათა შორის საუკეთესო შედეგი აქვს.**

ინგლისელმა ექიმმა პატრიკ კოტინგმა განაცხადა, რომ „ტოტენჰემის“ გუნდის ექიმად მუშაობისას სამსახური იმიტომ დაკარგა, რომ იურგენ კლინსმანს ურჩია, თავის მძიმე ტრავმის შემდეგ ფეხბურთისთვის დროებით თავი დაენებებინა. თურმე 1994 წელს, „ტოტენჰემისა“ და „შეფილდ იუნაიტედის“ მატჩის დროს, კლინსმანი და რომელიღაც მოწინააღმდეგე ერთმანეთს თავებით დაჯახებიან. გერმანელ ფეხბურთელს ეპილეფსიური ნიშნები ჰქონია და ექიმს რჩევა უთქვამს, სანამ ნევროლოგს არ ეჩვენები, აღარ იპურთავოო. დოქტორ კოტინგის ასეთ საქციელს ფრიად აღუშფოთებია ლონდონური კლუბის თავმჯდომარე ალან შუგარი და ფიზიოთერაპევტი ტონი ლენაგენი, რომელთაც მისთვის არაკომპეტენტური უწოდებიათ და განრისხებულთ უთქვამთ, კლუბის პოლიტიკასა და კომერციულ საკითხებში ვერ ერკვევიო. ექიმი კოტინგი ახლა სასამართლოში ჩივის, კლუბი კი, ბუნებრივია, ზემოთქმულს უარჰყოფს.

**კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელმა დარიო გომესმა განაცხადა, თუ კვირას ჩემი გუნდი ეკვადორს ვერ დაამარცხებს, გადავდგებიო. ხსენებული თამაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისაა. პრობლემის თავი და თავი ისაა, რომ პრესამ გომესს ცუდ შედეგებში დაუწყო დადანაშაულება, ვიღაცეებმა კი ჩილესთან 1:4 წაგების შემდეგ სიკვდილით დამუქრებაც არ დაიზარეს. „მე შეიძლება კიდევ ერთხელ დავმარცხდე, მაგრამ კოლუმბიელ ხალხს არ შეუძლია ეს“ — თქვა მწვრთნელმა ტელევიზიით გამოსვლისას.**

რუსული ფეხბურთის ასი წლისთავი 18 აგვისტოს აღინიშნება. იმ დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან რუსეთი და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებები. რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმირ როდიონოვმა განაცხადა, რომ ამ მატჩის ჩატარებას ფიფა ორი წლის წინ დათანხმდა, მაგრამ მხარეებმა საბოლოო პირობები ახლა მოილაპარაკეს. დანარჩენი მსოფლიოს გუნდის გაძღოლას დათანხმდა „ბარსელონას“ ყოფილი მწვრთნელი ბობი რობსონი. მან 25 მოთამაშეს გაუგზავნა მიწვევა, მაგრამ მათგან ვინ დათანხმდა, ჯერ ცნობილი არ არის. მიწვეულთა შორის არიან ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), კლაუდიო სუარესი (გვადალახარა), ფრანკ ლებეფი (ჩელსი), ჟანპიერ პაპენი (ბორდო), გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა), ჯანფრანკო ძოლა (ჩელსი), რობერტო ბაჯო (ბოლონია) და იან რაიტი (არსენალი).

**ნიგერიელი ნვანკვო კანუ, რომელმაც გულის ოპერაცია გაიკეთა, ამ დღეებში მილანში დაბრუნდა და განაცხადა, რომ მზადაა „ინტერში“ თამაში განაგრძოს. შეგახსენებთ, რომ შარშან კანუ „ინტერმა“ „აიაქსისგან“ იყიდა, მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ფეხბურთელი ავად იყო. მაშინ ექიმებმა განაცხადეს, თუ ოპერაციას არ გაიკეთებს და თამაშს განაგრძობს, მოკვდებაო. კანუმ ოპერაცია ოჰაიოს შტატში, გასული წლის ნოემბერში გაიკეთა. ახლა „ინტერი“ მოთამაშეს თავიდან ჩაუტარებს სამედიცინო ტესტს.**

ინგლისურმა „ლივერპულმა“ განაცხადა, რომ პოლ ინსი გუნდს მომავალ კვირაში შეუერთდება. ნახევარმცველს ჯერჯერობით ექიმები ამოწმებენ, მილანის „ინტერი“ და „ლივერპული“ კი ტრანსფერის საბოლოო დეტალებს ათანხმებენ. შეგახსენებთ, რომ „ლივერპულმა“ უკვე იყიდა „ქრუს“ ყოფილი მოთამაშე, ჭაბუკი დენი მერფი, მაგრამ იგი და კიდევ ორი ახალგაზრდა — მაიკლ ოუენი და ჯეიმი კარაგერი სკანდინავიაში შეკრებაზე არ წაიყვანა.

**განელმა ტონი იებოამ „ლიდს იუნაიტედისგან“ მიიღო უფლება წავიდეს სადაც უნდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ 1,7 მილიონი დოლარის გადამხდელს იშოვის. ტონი უკვე 31 წლისაა, მაგრამ თვლის, რომ დღესაც მსოფლიოს უძლიერეს ფორვარდთა ათეულშია.**

გერმანელი მწვრთნელი კლაუს შალპნერი ახალი პირველობის ცუდი სტარტის გამო ჩინური „ვანგუარდის“ მწვრთნელობიდან გადადგა. შალპნერი ჩინურ ფეხბურთში უდიდესი ფიგურაა. იგი 90-იანების დასაწყისში ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში. ამ თანამდებობიდან იგი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, აზიის ზონის მეორე ეტაპზე ვერგასვლისთვის გაათავისუფლეს.

**ინგლისური „საუთჰემპტონის“ ვარსკვლავმა მეტიუ ლე ტისიემ გერმანიაში, ამხანაგურ მატჩში ხელი მოიტეხა და ალბათ ოქტომბრამდე ვეღარ ითამაშებს. ის ამხანაგური მატჩი გახლდათ „ანსბახი“ — „საუთჰემპტონი“, რომელიც 1:1 დამთავრდა. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ ლე ტისიემ „საუთჰემპტონთან“ ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

სალვადორში თანამდებობიდან გადადგა ამ ქვეყნის ნაკრების სერბი მწვრთნელი მილოვან ჯორიჩი. გადადგომის მიზეზი ის გახლდათ, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის შეკრებიდან კლუბებში სათამაშოდ გაათავისუფლა ორი მოთამაშე, რაც ჯორიჩმა ვერ აიტანა.



მილოვან ჯორიჩი

**ესპანურმა „ბარსელონამ“ განაცხადა, რომ ფაქტობრივად მოგვარებული აქვს ბრაზილიელი თავდამსხმელის სონი ანდერსონის „მონაკოდან“ გადაბირების საქმე, მადრიდის „რეალი“ კი „ბილბაოში“ გადასული რაფაელ ალკორტას შემცვლელს ეძებს. საამისოდ იგი დაუკავშირდა იტალიელებს, ლაციოელ პაოლო ნეროს და ბოლონიელ სტეფანო ტორიზის.**

ესპანურ „რეალ სოსიედადს“ ფიფამ შეუთვალა, პორტუგალიელი სა პინტუ, სანამ მისი ფედერაციის მიერ მისჯილ 12-თვიან დისკვალიფიკაციას არ მოიხდის, ვერც თქვენთან ითამაშებსო. ესპანური კლუბის პრეზიდენტმა იმედი კი გამოთქვა, რომ ფეხბურთელი გაასაჩივრებს ამ საქმეს, მაგრამ დააყოლა — ფიფას გადაწყვეტილების წინააღმდეგ ვერ წავალო.

# იუშკას დრო წავიდა

CHAMPIONS LEAGUE

ზუსტად ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ მატჩის ბოლო წამებზე სტუმართა საჯარიმოში თამაზ კოსტავა წააქციეს. რა დიდი თარიღიაო, იტყვის მავანი, ვისაც ის თამაში არ ახსოვს. სწორედ ამ წაქცევას მოჰყვა „დინამოს“ სტადიონის ისტორიაში არნახული არეულობანი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საათის მერე ისიც პირადად ედუარდ შევარდნაძის მეცადინეობით, ჩაცხრა. ეს ყველაფერი კი იმან გამოიწვია, რომ რიგელმა მსაჯმა იუშკამ, დრო ზუსტად აქ დამთავრდაო, და ხელი პენალტის ნიშნულის ნაცვლად მოედნის ცენტრისკენ გაიშვირა.

ამის მერე წელიწადი გავიდა და არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე უელსელმა არბიტრმა ბრაზილიელთა მიერ შვედების კარში გატანილი გოლი არ ჩათვალა — დრო მაშინ ამოიწურა, ბრაზილიელების კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი საჯარიმოში რომ ჩაფრინდაო.

არა, ცხადია, დროს მაშინაც ამატებდნენ მსაჯები, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის მამებმა ამ რამდენიმე წლის წინ მაინც თავი დაიზღვიეს და ახალი წესი შემოიღეს — მსაჯი იმდენს დაამატებს სათამაშო დროს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლისო. ჰოდა, მოცალეობის ჟამს ჩვენც დავინტერესდით — დაახლოებით რამდენი წამი ემატება საშუალოდ მატჩისთვის განკუთვნილ 90 წუთს. ცხადია, მატჩსაც გააჩნია. ამიტომ, უპრიანად ჩავთვალეთ, შეგვესწავლა ერთი რომელიმე ტურნირის ყველა მატჩი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში უპირველესად, პირველი ტაიმისა და მეორე ტაიმის დროებია ნაჩვენები, თუმცა, მხოლოდ ამ, ალბათ ბევრისთვის უინტერესო ინფორმაციით რომ არ შემოვფარგლულიყავით, ცხრილის გამრავალფეროვნება გადავწყვიტეთ — მესამე გრაფაში მოცემულია ის დრო, რომელიც მხოლოდ ფეხბურთის თამაშს დაეთმო (ათასგვარი გაჩერებები ამაში არ შედის), ბოლო სვეტში კი ამ „სუფთა“ დროის მასპინძელსა და სტუმარზე განაწილებაა ნაჩვენები.

| | | | |
|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | |
| ოსერი — აიაქსი 0:1 | 46,03 | 48,31 | 60 (24+36) |
| გრასჰოპერი — რეინჯერსი 3:0 | 47,21 | 47,57 | 47 (19+28) |
| აიაქსი — გრასჰოპერი 0:1 | 46,28 | 47,47 | 56 (33+23) |
| რეინჯერსი — ოსერი 1:2 | 46,05 | 46,51 | 57 (33+24) |
| ოსერი — გრასჰოპერი 1:0 | 45,25 | 47,13 | 56 (26+30) |
| აიაქსი — რეინჯერსი 4:1 | 46,52 | 46,18 | 60 (35+25) |
| რეინჯერსი — აიაქსი 0:1 | 45,06 | 47,28 | 64 (27+37) |
| გრასჰოპერი — ოსერი 3:1 | 46,03 | 47,49 | 36 (20+16) |
| აიაქსი — ოსერი 1:2 | 46,22 | 48,09 | 58 (38+20) |
| რეინჯერსი — გრასჰოპერი 2:1 | 46,03 | 45,49 | 52 (27+25) |
| ოსერი —რეინჯერსი 2:1 | 46,25 | 46,09 | 56 (27+29) |
| გრასჰოპერი — აიაქსი 0:1 | 47,11 | 47,17 | 58 (27+31) |
| **B ჯგუფი** | | | |
| ატლეტიკო — სტიაუა 4:0 | 47,29 | 48,32 | 56 (34+22) |
| დორტმუნდი — ვიძევი 2:1 | 48,07 | 47,16 | 62 (35+27) |
| სტიაუა — დორტმუნდი 0:3 | 45,51 | 47,22 | 60 (34+26) |
| ვიძევი — ატლეტიკო 1:4 | 48,13 | 47,11 | 62 (28+34) |
| ატლეტიკო — დორტმუნდი 0:1 | 48,24 | 48,27 | 51 (30+21) |
| სტიაუა — ვიძევი 1:0 | 47,14 | 46,33 | 60 (33+27) |
| დორტმუნდი — ატლეტიკო 1:2 | 46,29 | 47,03 | 59 (33+26) |
| ვიძევი — სტიაუა 2:0 | 47,15 | 47,10 | 71 (42+29) |
| სტიაუა — ატლეტიკო 1:1 | 47,07 | 46,09 | 52 (23+29) |
| ვიძევი — დორტმუნდი 2:2 | 46,07 | 47,08 | 62 (27+35) |
| ატლეტიკო — ვიძევი 1:0 | 45,30 | 47,00 | 53 (30+23) |
| დორტმუნდი — სტიაუა 5:3 | 47,04 | 45,56 | 57 (31+26) |
| **C ჯგუფი** | | | |
| იუვენტუსი — მანჩესტერი 1:0 | 45,53 | 48,04 | 67 (37+30) |
| რაპიდი — ფენერბაჰჩე 1:1 | 46,45 | 47,05 | 68 (34+34) |
| ფენერბაჰჩე — იუვენტუსი 0:1 | 45,15 | 47,17 | 61 (32+29) |
| მანჩესტერი — რაპიდი 2:0 | 45,56 | 46,39 | 64 (34+30) |
| ფენერბაჰჩე — მანჩესტერი 0:2 | 46,54 | 47,08 | 61 (33+28) |
| რაპიდი — იუვენტუსი 1:1 | 45,26 | 46,37 | 57 (26+31) |
| იუვენტუსი — რაპიდი 5:0 | 45,34 | 45,28 | 58 (36+22) |
| მანჩესტერი — ფენერბაჰჩე 0:1 | 46,19 | 47,40 | 66 (38+28) |
| ფენერბაჰჩე — რაპიდი 1:0 | 46,41 | 47,13 | 53 (32+21) |
| მანჩესტერი — იუვენტუსი 0:1 | 46,27 | 48,00 | 63 (34+29) |
| იუვენტუსი — ფენერბაჰჩე 2:0 | 45,35 | 45,24 | 56 (27+29) |
| რაპიდი — მანჩესტერი 0:2 | 45,12 | 46,43 | 54 (23+31) |
| **D ჯგუფი** | | | |
| გიოტებორგი — რუსენბორგი 2:3 | 45,48 | 46,24 | 68 (31+37) |
| მილანი — პორტუ 2:3 | 46,42 | 49,36 | 58 (31+27) |
| პორტუ — გიოტებორგი 2:1 | 45,31 | 47,54 | 51 (31+20) |
| რუსენბორგი — მილანი 1:4 | 46,06 | 45,44 | 66 (32+34) |
| გიოტებორგი — მილანი 2:1 | 45,30 | 47,06 | 75 (32+43) |
| რუსენბორგი — პორტუ 0:1 | 45,59 | 46,23 | 58 (24+34) |
| მილანი — გიოტებორგი 4:2 | 46,25 | 48,26 | 55 (33+22) |
| პორტუ — რუსენბორგი 3:0 | 46,35 | 45,36 | 57 (36+21) |
| პორტუ — მილანი 1:1 | 45,59 | 45,41 | 47 (24+23) |
| რუსენბორგი — გიოტებორგი 1:0 | 45,20 | 46,59 | 56 (36+20) |
| გიოტებორგი — პორტუ 0:2 | 46,09 | 47,20 | 64 (28+36) |
| მილანი — რუსენბორგი 1:2 | 47,02 | 46,24 | 52 (29+33) |

როგორც ხედავთ, ზუსტად 45 წუთში არც ერთი ტაიმი არ დამთავრებულა. ვერც დამთავრდებოდა ახალი წესების თანახმად. ეს კი არა, „რეინჯერსი“ — „აიაქსის“ მსაჯმა, შვედმა ანდერს ფრისკმა რატომ გადაწყვიტა ამ შეხვედრის პირველი ტაიმისთვის ოდენ 6 წამი წაემატებინა, გაუგებარია — ბოლო-ბოლო, ჰოლანდიელებმა ამ ტაიმში გოლი შეაგდეს და ხვევნა-კოცნას 6 წამში ნაღდად ვერ მოასწრებდნენ. თუმცა, როგორც ცხრილიდან ჩანს, ბურთის ნებისმიერ გაჩერებაზე რომ მსაჯმა წამზომი გათიშოს, სულ ცოტა 20 წუთი უნდა დაამატოს.

რაც შეეხება სწორედ ამ წამატებულ დროში მომხდარ ამბებს, მათი ჩამონათვალი ასეთია: პირველი ტაიმის გადაცილებულ დროში ორი გოლი გავიდა — ატლეტიკოელმა ესნაიდერმა შინ „სტიაუას“ მეორე გოლი შეუგდო, მილანელმა დუგარიმ კი „რუსენბორგთან“ შეხვედრაში გააყაიმა. ასევე მილანელმა რობერტო ბაჯომ იხეირა მეორე ტაიმის წამატებულ დროში და „გიოტებორგს“ მეოთხე გოლი გაუტანა. ცხადია, 90-ე წუთის მერე ხშირდება დაწინაურებული გუნდის მიერ გაკეთებული შეცვლების რაოდენობა.

ზემოთმოყვანილ ცხრილში სხვა საინტერესოც ბევრია. მაგალითად, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ბურთის ფლობის ხანგრძლივობით „აიაქსს“ ბადალი არ ჰყავს. თვით წაგებულ მატჩებშიც კი. სულ კი, ჯგუფური ტურნირის ექვს თამაშში, ორი წაგების მიუხედავად, ამსტერდამელთა უპირატესობა ამ კომპონენტში ასეთია — ისინი ჯამში ექვს მოწინააღმდეგეზე საათითა და 4 წუთით მეტს ფლობდნენ ბურთს.

საერთოდ, დაკვირვებული კაცი ბოლო სვეტში ბევრ საინტერესო ფაქტს აღმოაჩენს. თუნდაც ამას: „მილანი“ „გიოტებორგთან“ სტუმრად წაგებულ მატჩში 43 წუთი (სუფთა დრო !) ფლობდა ბურთს, რაც 7 წუთით მეტია, ვიდრე „გრასჰოპერისა“ და „ოსერის“ მატჩში იგივე მაჩვენებელი მთლიანად (!). მართლაც საოცარია — ციურიხის შეხვედრის 94 წუთიდან 58 (!) ბურთი თამაშში არ ყოფილა (!). მოკლედ, ძახილის ნიშნებით რომ ავაჭრელოთ ნაწერი, ცოტაოდენ საფიქრალს მკითხველსაც დავუტოვებთ.

**გიგა კოგახიძე**

# ედუარდ სტრელცოვის ფეხბურთი, სიცოცხლე და სიკვდილი



1986 წლის მაისში მოსკოვში სამსახურებრივი მივლინებით გახლდით. იმხანად ცნობილი ფეხბურთელის ედუარდ სტრელცოვის წიგნი „ვხედავ მინდორს“ უკვე დასტამბული იყო, მაგრამ, როგორც ასეთ წიგნებს სჩვევიათ, მაღაზიის დახლებიდან მალე გაქრა. ვის არ ვკითხე, ვის არ ვთხოვე, გამომცემლობაშიც კი დავრეკე, მაგრამ წიგნი ვერსად ვიშოვე. ვიღაცამ მირჩია, თვითონ სტრელცოვს დაურეკე და სთხოვეო. დავურეკე. ყურმილი თავად ედუარდმა აიღო. ვუთხარი, რომ ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და წიგნი ვთხოვე. სტრელცოვმა თავაზიანად ამიხსნა, რომ ერთადერთი ეკზემპლარი დარჩა, ოჯახისთვის, მაგრამ, ქართველ ფეხბურთის გულშემატკივარს უარი არ ეთქმებაო, დასძინა. მობრძანდით ჩემთან სახლში, დამპატიჟა ედუარდმა და მისამართიც მითხრა.

შინ მარტო დამხვდა. ერთმანეთი გავიცანით. ავტოკალამი აიღო და წიგნს წააწერა: „სახსოვრად ნუგზარ კონსტანტინეს ძეს ედუარდ სტრელცოვისგან, 30 მაისი, 1986 წელი.“ შემდეგ სასადილო ოთახში მიმიპატიჟა. ვიუარე, მაგრამ არ გამივიდა. სახელდახელოდ გაშლილი სუფრას შემოვუსხედით. ედუარდმა შამპანური გახსნა და ჭიქები შეავსო. ჩვენი შეხვედრის და გაცნობის სადღეგრძელო შესვა. ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე... სტრელცოვების ოჯახში დიდხანს დავრჩი, თითქმის შებინდებამდე. ვსაუბრობდით ყველაფერზე და, რაც მთავარია, ფეხბურთზე. მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია მისი დაპატიმრებისა და სასჯელის თაობაზე. მე კი ტაქტი არ მაძლევდა იმის უფლებას, მეკითხა, რატომ დაატუსაღეს იგი 1958 წლის გაზაფხულზე. ყველაფერი ეს მოგვიანებით შევიტყვე, მაგრამ არა სტრელცოვისგან, არამედ გავრილ კაჩალინისგან. თუმცა, ვისგან იყო გამწარებული, მიმანიშნა კიდეც საუბარში.

ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, უფრო სწორად, საუბრის ინიციატივას არ იჩენდა. მით უმეტეს, საკუთარი თავის შესახებ. შევატყვე, საუბარი საერთოდ არ სურდა. სამ-ოთხ საათიანი დიალოგი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გამეგო, რა უჭირდა და ულხინდა მსოფლიოო ფეხბურთის ამ დიდებულ ვარსკვლავს, განუმეორებელს და შეუდარებელს ბრწყინვალე სპორტული კარიერითა და ცხოვრებისეული ბედისწერით.

ვეკითხებოდი, მპასუხობდა. მისი პასუხები გულახდილი იყო. არც ერთი ფაქტი არ შეულამაზებია. ყველაფერს დაწვრილებით მომითხრობდა. სტრელცოვი იმ დღეს უჩვეულოდ გულახდილი იყო. ბევრი რამე ჩავიინიშნე, ბევრიც დავიხსომე. მაშინდელი ცენზურა ამ საუბრის მთლიანად გამოქვეყნების საშუალებას არ იძლეოდა. ნაწილობრივ გამოქვეყნება კი არც მიცდია და არც მსურდა. საუბარში მიშა მესხზეც დავეკითხე.

— მიშა არაადამიანების მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, არ დაილევიან ამ ქვეყნად ფურცევასა და ხრუშჩოვის მსგავსი ვიგინდარები: მათ მე გამამწარეს, მიშა კი მათმა მსგავსებმა.

კვლავ თავი შევიკავე და არ ვკითხე ფურცევასა და ხრუშჩოვის როლზე მისი ცხოვრების ასე აწეწვაში. არაფერი უთქვამს თვითონაც.

მოგვიანებით, 1988 წლის სექტემბერს მოსკოვში, სასტუმრო „მოსკვაში“ გავრილ კაჩალინი მივიპატიჟე და საუბრისას ესაც ვკითხე — სტრელცოვის გახმაურებულ, მაგრამ მაინც ბურუსით მოცულ ისტორიაზე რას იტყვით-მეთქი...

*— სტრელცოვი მაშინდელი მაღალი ეშელონის პარტიული ფუნქციონერების მსხვერპლი გახდა — მითხრა კაჩალინმა — ეს ბოროტება ფურცევამ დაიწყო და ხრუშჩოვიც აიყოლია. ფურცევას სტრელცოვი სიძედ უნდოდა და როცა სასტიკ უარს წააწყდა, ყველაფერი იღონა, რათა ეს უმსგავსო საქმე შეეთითხნა. სტრელცოვს ის გოგო, რომლის გაუპატიურებაც დააბრალეს, ჩვენთან ხშირად მოჰყავდა, საწვრთნელ ბაზაზეც და სტადიონზეც. მას ბევრნი ვიცნობდით. რა ძალადობაზეა ლაპარაკი?! ყველაფერი გზაკრული სცენარის მიხედვით მოაწყვეს. ფურცევამ საქმეში ხრუშჩოვი ჩართო და სტრელცოვი საბოლოოდ გაწირეს. ხალხს არწმუნებდნენ, თითქოს ის გოგო გენერლის თუ ალჩის შვილი იყო... არადა, ტყუილია ეს ყველაფერი. ჩვეულებრივი გოგონა იყო, ჩემი აზრით, უბრალო ოჯახიდან.*

კაჩალინთან ეს ინტერვიუ იმავე წელს გამოვაქვეყნე გაზეთ „ქუთაისში“, შემდეგ ჩემს წიგნშიც („რეტრო“) შევიტანე, მაგრამ სტრელცოვის, და არა მარტო მის შესახებ, მაშინ წიგნსა თუ საგაზეთო წერილში ვერაფერს იტყოდი — 1988 წელს ცენზურა ჯერ კიდევ შეუვალი იყო. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე კი კაჩალინმა სტრელცოვის შესახებ უამბო ჟურნალისტ იური იურისს:

*„ვინ არის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ჩვენში და საზღვარგარეთ?“ — ვკითხე ლეგენდარულ მწვრთნელს.*

*— ჩვენთან იაშინი და სტრელცოვი. საზღვარგარეთ პელე და დისტეფანო. ბრმა შემთხვევა რომ არა, რისთვისაც სტრელცოვი დაისაჯა, იგი პელეს გაუტოლდებოდა. თავად განსაჯეთ: ექვს წლიანი პატიმრობა მოიხადა, მაგრამ იმხელა ტალანტი იყო, კვლავ ლიდერი და კვლავ სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა. იგი უნიკუმი იყო. სტრელცოვის მსგავსები 50 წელიწადში ერთხელ იბადებიან.*

ედუარდ სტრელცოვის მეუღლის, რაისა სტრელცოვას მოგონებიდან: *„ედიკმა მიამბო, რომ 57-ში თუ 58-ის დასაწყისში იგი გამოიძახეს საკავშირო კულტურის სამინისტროში ფურცევასთან. იმხანად გუნდი საწვრთნელი მატჩისთვის საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ემზადებოდა. მან დაიწყო ფურცევასთან შეხვედრისთვის მზადება. გადაიკითხა ყველა გაზეთი, და ისწავლა პრეზიდიუმის წევრთა სახელები, საგულდაგულოდ ეცნობოდა საერთაშორისო ვითარებას, დგებოდა ადრე, უსმენდა რადიოს, ემზადებოდა, რათა არ ჩაჭრილიყო ყოვლისშემძლე გამომცდელის წინაშე. დათქმულ დღეს იგი მივიდა ფურცევასთან. ის მიიწვიეს კაბინეტში, შევიდა, მიესალმა. ფურცევამ შესთავაზა, ახლოს მისულიყო. თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.*

*— აი, როგორი ყოფილხართ ჩვენი ცნობილი ფეხბურთელი — ღიმილით უთქვამს ფურცევას. სტრელცოვი დუმდა და არ იცოდა, რა ეპასუხა. — მე თქვენთან წინადადება მაქვს, ედუარდ ანატოლის ძევ — გამომცდელად წარმოთქვა ფურცევამ — მსურს, ჩემი ქალიშვილი თქვენი მეუღლე გახდეს. მან მითხრა, რომ მას თქვენი სიმპათია აქვს, თქვენ რას იტყოდით?*

*ედუარდი ყველაფერს მოელოდა, მაგრამ იმას კი არა, თუ მინისტრის კაბინეტში მის ქორწინებაზე იქნებოდა საუბარი... მისთვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო.*

*— იცით... მე...*

*სტრელცოვი პასუხობდა დაძაბულად, ცდილობდა დაერწმუნებინა ფურცევა, რომ ასეთი საკითხები კაბინეტში არ წყდება.*

*ფურცევას სახე მოექცა. ფეხზე წამოდგა და თქვა: „მე კი ვფიქრობდი, რომ თქვენ ჩემს ქალიშვილთან კარგ წყვილს შექმნიდით. დაფიქრდით, როგორც საჭიროა.“*

გავრილ კაჩალინის მოგონებიდან:

*„სტრელცოვი ძალიან მოკრძალებული ადამიანი იყო. არასოდეს უცდია, გამორჩეული ყოფილიყო, ვერასოდეს შეატყობდით, რომ ის ლიდერია „ტორპედოში“ და ნაკრებში. იცოდა, რომ გამოჩენილი ფეხბურთელი იყო, მაგრამ არასოდეს გვაგრძნობინებდათ, რომ ის ვარსკვლავია, თქვენ კი — არაფერი. საფეხბურთო მოედანზე ის პირველ რიგში ტალანტი იყო. მოედანზე არ ჩერდებოდა, და თუ იდგა, მხოლოდ მწვრთნელთა დავალებით. მას ჰქონდა მოქმედების თავისი დიაპაზონი და თუ როგორ იმოქმედებდა, ეს მისი საქმე იყო — ჩვენ აქ სტრელცოვს ხელს არ ვუშლიდით. თამაშის შეგრძნება უმაღლესი ხარისხისა ჰქონდა, ამასთან, ურტყამდა ზუსტად და საშინელი ძალით.“*

მოწმის, მიხეილ ოგონკოვის დაკითხვის ოქმიდან:

*„1958 წლის 24 მაისს საღამოს სტრელცოვმა შინ დამირეკა, გადავწყვიტეთ, ერთად მივსულიყავით ვაგზალთან ატელიეში კოსტუმების გასასინჯად. მეორე დღეს 9 საათზე უკვე ატელიეში ვიყავი. იქ შევხვდი სტრელცოვს, იქვე იყვნენ იაშინი და კუზნეცოვი. კოსტუმების გასინჯვის შემდეგ საკუთარი მანქანით სტრელცოვთან ერთად წავედით პუშკინის მოედანზე, იქ ჩვენ ტატუშინი გველოდა: ქალაქგარეთ ვაპირებდით გასვლას დასასვენებლად. ტატუშინის მანქანაში იჯდა ჩემთვის უცნობი ყმაწვილი სახელად ედიკი და ორი გოგონა. ედიკმა შემოგვთავაზა მე, ტატუშინსა და სტრელცოვს, აგრეთვე ინასა და ირას, რომლებიც მე არ ვიცნობდი, წავყოლოდით მას აგარაკზე. წავიღეთ ღვინო და დასაყოლებელი. მივედით აგარაკზე დღის სამ საათზე. შემდეგ წავედით იქვე, წყალსაცავთან. დავლიეთ, ფრენბურთი წავითამაშეთ. გამობრუნებულები შევჩერდით პუშკინოში, სადაც ტატუშინმა დაგვტოვა, შემდეგ კი მოიყვანა კიდევ ორი გოგონა — ტამარა და მარინა, რომლებიც მანამდე არ მენახა. წყალსაცავთან დავრჩით საღმოს 9 საათამდე. შემდეგ კვლავ ედიკის დაჩაზე დავბრუნდით. კვლავ ვითამაშეთ ფრენბურთი და ჩოგბურთი. მაგიდას ღამის 12 საათზე მივუსხედით.“*

ამ დღიდან დაიწყო ედუარდ სტრელცოვის დიდი და მძიმე ცხოვრებისეული ტრაგედია. შვედეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების მაგიერ ედუარდი მილიციაში გაამწესეს. მაშინ იგი 21 წლისაც არ იყო. შვედეთში გამგზავრებამდე ოთხი დღე რჩებოდა. საბჭოთა კავშირის ნაკრები ოგონკოვის, ტატუშინის და სტრელცოვის გარეშე გაემგზავრა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მთელი ძალით და სიმუხთლით ამოქმედდა უსამართლობისა და შურისძიების მანქანა. ვერავინ შეძლო, აღდგომოდა სისასტიკის მექანიზმს — ვერაფერი გააწყვეს ვერც მეგობრებმა, ვერც მწვრთნელებმა.

სტრელცოვს სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა ის ცინიზმი და ლვარძლი, მილიციელებმა მის მიმართ რომ გამოამჟღავნეს დაკავების შემდეგ. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ისინი კმაყოფილებას ვერ მალავდნენ მისი ხელში ჩაგდების გამო. სასწრაფოდ შეადგინეს საქმე და როგორც მას უთხრეს, ფურცევას გაუგზავნეს.

სტრელცოვის სიამაყემ და თავმოყვარეობამ აქაც იჩინა თავი: თუ თქვენი აზრით დამნაშავე ვარ — ჩამსვით — განაცხადა მან. ისიც შესთავაზეს, „დაზარალებული“ ცოლად შეირთეო, მაგრამ გადაჭრით იუარა. არადა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სასტიკად დასჯიდნენ.

სტრელცოვი გაასამართლეს და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. „მე თავს არ ვიმართლებ და, სხვათა შორის, არც მაშინ მიმართლებია თავი, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდნენ ეკარნახათ ჩემთვის გამართლების სხვადასხვა გზები. მე მოვიხადე სასჯელი და ყველაფრისგან განვთავისუფლდი“ — დაწერს მოგვიანებით სტრელცოვი თავის წიგნში და 1986 წლის მაისში, ჩვენი შეხვედრისას, იგივეს გაიმეორებს.

ახლა კი ჟურნალისტ იგორ ბარიშევს მოვუსმინოთ:

*„სასამართლო საქმე რომ წავიკითხე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ედუარდ სტრელცოვს შემთხვა პროზაიკული, ცხოვრებისეული ისტორია. გამოვაქვეყნო იგი დაწვრილებით? ამის მორალური უფლება არ მაქვს... მე აღმოვაჩინე დოკუმენტებში ჩაკრული ფურცელი, რა თქმა უნდა, არ გავამხელ იმ ქალის გვარს, ვინც ამ დოკუმენტზე აწერს ხელს: „გთხოვთ, შეწყვიტოთ ე. ა. სტრელცოვის საქმე, რადგან მე მას ვპატიობ.“ ხელის მოწერა... 30.05.1958 წ. თუ გავითვალისწინებთ დაზარალებულის ამ თხოვნას, სასამართლოს შეეძლო მიეღო საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება. მაგრამ მოულოდნელად საქმე უფრო დიდი გაქანებით წარიმართა.“*

სტრელცოვი ვაჟკაცურად შეხვდა განაჩენს. მისჯილი 12 წლიდან 6 საპატიმრო კოლონიებში გაატარა. კეთილსინდისიერი ქცევის გამო იგი ვადაზე ადრე გაანთავისუფლეს. ედუარდ სტრელცოვი კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს, 1965 წელს კი დიდ ფეხბურთს — ის კვლავ ჩაირიცხა მოსკოვის „ტორპედოს“ შემადგენლობაში და იმ წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა. მისი მეგობრისა და თანაგუნდელის ვალენტინ ივანოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ შეიძლება ადამიანი სუნთქვას გადაეჩვიოს, ან თევზს წყალში ცურვა დაავიწყდეს...

ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, ის კი მინდორზე ზეადამიანი იყო — ესეც ვალენტინ ივანოვის სიტყვებია. სტრელცოვი კვლავ შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში, კვლავ დაიწყეს გულშემატკივრებმა სტრელცოვის სანახავადსიარული. სულ ამ დიდმა ფეხბურთელმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე 1953-58 და 1965-70 წლებში 222 მატჩი ითამაშა და 100 გოლი გაიტანა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1955-58 და 1966-68 წლებში 39 მატჩი ჩაატარა და 25 გოლი მიითვალა. იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1965), ვიცე-ჩემპიონი (1957), მესამე პრიზიორი (1968), თასის მფლობელი (1968), მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ედუარდ სტრელცოვი სპორტულმა ჟურნალისტებმა ორჯერ (1967 და 1968 წლებში) დაასახელეს საბჭოთა კავშირის უძლიერეს ფეხბურთელად.

— მე ის ადამიანი ვარ, ვისაც ადრეულ, ახალგაზრდულ ასაკში შემთხვა უბედურება. მე არა ვარ სკანდალური ქრონიკის გმირი — დაწერს მოგვიანებით სტრელცოვი. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს და ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ედუარდ სტრელცოვს, უკვე ვეტერანს, ფეხბურთიდან წასულს, ადამიანს, რომელსაც დიდი და მძიმე ცხოვრებისეული და საფეხბურთო ბრძოლები გადაეტანა, არ შეიძლებოდა მის თვალებში, მის სახეზე არ ამოეკითხა დიდი ნაღველი და წყენა, რომელიც მას ასე უსამართლოდ არგუნეს.

უკვე მოგახსენეთ, რომ მასთან, მისსავე ბინაში 3-4 საათი დავყავი. ადამიანისთვის ეს დრო საკმარისია საიმისოდ, რომ იგრძნო, რა აწუხებს შენს წინ მჯდომს, თანაც, როცა ღვინოსაც სვამთ. შემდეგში ქუთაისიდან და მოსკოვში ჩასულიც არაერთხელ შევხმიანებივარ ტელეფონით და ბევრიც გვისაუბრია. შეხვედრით კი აღარასოდეს შევხვედრივარ. 1990 წელს ედუარდ სტრელცოვი გარდაიცვალა. ამბობენ, ლევ იაშინის გარდაცვალების გამო „დინამოზე“ კაშირადან ჩამოსულ სტრელცოვს, საპატიო ყარაულში რომ იდგა, სახეზე საშინელი, ცვილის ფერი ედოო. ორი თვის შემდეგ კი ჟურნალისტ ალექსანდრ ნილინისთვის უთქვამს, იაშინის ქვრივს რომ მოვუახლოვდი, ეჭვი შემეპარა, მიცნობს კი ვალია, ისე კი, უნდა მიცნოს. მერე ღიმილით ესაც დაუმატებია: „შევხედე თუ არა ლევს კუბოში, გავიფიქრე — შემდეგი ალბათ მე ვარ.“

სამწუხაროდ, სტრელცოვი მართალი აღმოჩნდა — იგი მალე გარდაიცვალა, 53 წლისა. წელს, 21 ივლისს, ედუარდ სტრელცოვს სამოცი წელი შეუსრულდებოდა. ზემოთ ნახსენები ჟურნალისტი ალექსანდრ ნილინი, რომელიც სტრელცოვის წიგნის „ვხედავ მინდორს“ ლიტერატურული ჩანაწერებისა და კომენტარების ავტორია, წერს:

*„შენ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, ცოტახნით ადრე, ვიდრე ვაგანკოვის სასაფლაოზე განისვენებდი, უბოროტოდ, გულწრფელად გაკვირვებულმა თითქოს ყველას გვკითხე: ...რისთვის?“*

ჩემი მხრივ, ამას დავუმატებდი:

— ვის და რატომ დასჭირდა ზვარაკად ედუარდ სტრელცოვის ფეხბურთი, სიცოცხლე, ტანჯვა და სიკვდილი? ვის და რატომ?

**ნუგზარ მჭედლიშვილი,**
**ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის გენერალური დირექტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი**

## მეოთხე აღარ უნდა განმეორდეს

ჰოლანდიური ფეხბურთის მორიგე ამსტერდამის „აიაქსი“ ოდითგანვე ადგილობრივ ტალანტთა აღზრდითაა სახელმოხვეჭილი, მაგრამ ერთ თვეში ტრადიციონალისტები, რომლებიც მწვრთნელის ლუის ვან გაალისა და წამყვან მოთამაშეთა დიდი ჯგუფის გუნდიდან წასვლას უკვე შეეგუენ, გაოგნდებიან: 19 აგვისტოს, ახალი ჩემპიონატის პირველ დღეს, ქომაგებს შარშანდელზე ხანდაზმული გუნდის, დანიელი მწვრთნელისა და უცხოელ ფეხბურთელთა არნახული რაოდენობის მისალმება მოუწევთ. ევროპის სამხრეთ ქვეყნებისა და ინგლისში გულშემატკივრები კოსმოპოლიტურ შემადგენლობათა მხარდაჭერას უკვე მიეჩვივნენ, ამსტერდამში კი წარმატება მათსავე აღზრდილ ფეხბურთელებს მოჰქონდათ.

აიაქსური თეთრ-წითელი მაისური უცხოელ ვარსკვლავთათვის სრულიად უცხო, ბუნებრივია, არც აქამდე იყო. მაგალითად, გასულ სეზონში ნიგერიელი ტოჯანი ბაბანგიდა და ფინელი იარი ლიტმანენი რეგულარულად გამოდიოდნენ ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ახლა საზღვარგარეთელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ამ ზაფხულზე ნაყიდი ათი ფეხბურთელიდან ჰოლანდიელი მხოლოდ სამია. სხვანი არიან კოსტარიკელი, ქართველი (შოთა არველაძე), ნიგერიელი, პოლონელი, სამხრეთ აფრიკელი და ორი დანიელი. მათ, შესაძლოა, კიდევ ერთი დაემატოს, რადგან „ატლეტიკო მინეიროში“ დროებით გაშვებული ბრაზილიელი მცველი მარსიო სანტუში ამსტერდამში ბრუნდება.

„აიაქსის“ ახალწვეულებს რთული მისია აკისრიათ, მათ კლუბის მიერ გაცემულ მოთამაშეთა ადგილი აქვთ შესავსები. პატრიკ კლუივერტი, ვინსტონ ბოგარდი, მარკ ოვერმარსი და არნოლდ სხოლტენი წლეულს შეუერთდნენ ერთი წლის წინ წასულ კლარენს ზეედორფს, მიხაელ რაიციგერსა და ედგარ დავიდსს. ოვერმარსი, რომელმაც 1995 წელს ამსტერდამელთა მიერ ჩემპიონთა თასის მოპოვებაში უდიდესი როლი ითამაშა, ლონდონის „არსენალში“ გადავიდა, კლუივერტი და ბოგარდი „მილანში“ წავიდნენ, სხოლტენმა კი იაპონიას მიაშურა.

„აიაქსი“ აღიარებს, რომ ბოსმანურ ცვლილებებს, ანუ კონტრაქტგალეულ მოთამაშეთა გუნდიდან თავისუფალ წასვლას სხარტად ვერ აუღო ალღო. „დანაკლისს ახალგაზრდული გუნდიდან ვერ ვინაზღაურებთ და ამიტომ ბევრი ფეხბურთელის ყიდვა გვიხდება“ — ამბობს კლუბის ხაზინადარი არი ვან ოსი — „სამაგიეროდ, ახლა ყველა მოთამაშეს ხანგრძლივი ხელშეკრულება დავუდეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავლის შენება შეგვიძლია დავიწყოთ“.

„აიაქსის“ ყველაზე დიდი შენაძენი 33 წლის მიქაელ ლაუდრუპია. ახალმა მწვრთნელმა, დანიის ნაკრების ყოფილმა წევრმა მორტენ ოლსენმა, რომლის თანამდებობაზე დანიშვნამ ყველა ერთობ გააოცა, განაცხადა, რომ ახალმოსულებს ჯერ კიდევ მართებთ თავიანთი ნიჭისა და უნარის დამტკიცება. მწვრთნელმა მათ გუნდში ადგილის მოპოვებისკენ მოუწოდა და უთხრა, ჩემს გუნდს ძირითადი შემადგენლობის უეჭველი წევრები არ ჰყავსო.

მორტონ ოლსენი სრულყოფილების მოყვარულ კაცადაა ცნობილი, მაგრამ მისი სამწვრთნელო კარიერა ფეხბურთელობასთან შედარებით ფერმკრთალია. დანიაში „ბრონდბიუს“ ედგა სათავეში, შემდეგ კი გერმანულ „კიოლნს“ წვრთნიდა, საიდანაც ოთხი წლის შემდეგ დაითხოვეს.

ფინანსურად „აიაქსს“ ულხინს. ახალმა სტადიონმა და ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გასვლამ მის ხაზინას გვარიანად შემატა ფული. გასულ სეზონში კლუბის შემოსავალი სარეკორდო გახლდათ — 39,5 მილიონი დოლარი, ახალი სეზონისგან კი გაცილებით მეტს ელიან. ვარაუდობენ, რომ 70 მილიონი გულდენი ანუ თითქმის იმდენი, რაც ზემოთ მთლიან შემოსავლად ვახსენეთ, მარტო ბილეთების გაყიდვით შეუვათ. სავარაუდოდ, 44 ათასი მხოლოდ აბონემენტი გაიყიდება.

რაც შეეხება გეგმებს, ოლსენის თქმით, კონკრეტულ მიზანს „აიაქსში“ არავინ ისახავს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბოლო შედეგი, ჰოლანდიის ჩემპიონატის მეოთხე ადგილი, აღარ უნდა განმეორდეს:

— „აიაქსი“ ყოველთვის პირველობას ცდილობს, მაგრამ რაიმეს მოსაგებად კაცს იღბალიც გჭირდება... მთავარია, როგორ ვითამაშებთ. ჩვენ აქ ხალხის შესაქცევად ვართ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# «და მე ავტირდი»...

*ანდრეას მიოლერმა თავის მრავალრიცხოვან ჯილდოებს წლეულს ჩემპიონთა თასიც შემატა. შემატა და „შპორტ-ბილდის" ფურცლებზე ქადაგად დაჰარდა. როგორც სჩვევია, ჯერ კრიტიკას მოჰყვა, შემდეგ კი მომავლის გეგმებზე თავისი აზრი გამოთქვა...*

**ანდრეას მიოლერი**

დაიბადა: 1967 წლის 2 სექტემბერს მაინის ფრანკფურტში.
სიმაღლე: 179 სმ. წონა: 74 კგ.
ზოდიაქოს ნიშანი: ქალწული
თმის ფერი: ყავისფერი. თვალების ფერი: მოლურჯო-მონაცრისფრო.
დაამთავრა საშუალო სკოლა
პროფესია: საქონელმცოდნე ეკონომისტი.
მეუღლე: 28 წლის მიხაელა
შვილები: ვალენტინა და კრისტინა
მანქანა: „მერსედესი" და „ფიატ-პუნტო"
ჰობი: ჩოგბურთი და ვიდეოფილმები
კარიერა: ფრანკფურტის „შვარც-ვაისი" (1974-1981), ფრანკფურტის „აინტრახტი" (1981-1987), დორტმუნდის „ბორუსია" (1987-1990), ფრანკფურტის „აინტრახტი" (1990-1992), ტურინის „იუვენტუსი" (1992-1994), 1994 წლიდან დორტმუნდის „ბორუსიაშია".
ნაკრებში პირველი მატჩი 1988 წლის 21 სექტემბერს დიუსელდორფში ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ (1:0 მოიგო გერმანიამ).
გამოირჩევა სისწრაფით, მოედნის ხედვით, ძლიერი და ზუსტი დარტყმით.
არ უყვარს დაცვაში თამაში.
ჩვევა: მატჩის დაწყებამდე ათჯერ იხსნის და იკრავს თასმებს.
ყველა დრის საუკეთესო ფეხბურთელად ფრანც ბეკენბაუერი მიაჩნია.



ჟრუანტელი — ეს ხომ უზომო სიამოვნებაა. ის ხერხემლიდან იწყება, თითების წვერებამდე აღწევს და სხეულს ჟრჟოლას ჰგვრის. ხელები უნებურად აღიმართება ჩაბნელებული ზეცისკენ და შენ ბავშვივით ღრიალებ, თვალებიდან კი ღაპაღუპით მოგდის ცრემლები.

არასოდეს დამავიწყდება დორტმუნდის „ბორუსიის" მიერ ევროპის ჩემპიონთა თასის მოგება და ის შეგრძნება, მაშინ რომ განვიცადე. გამარჯვებულთათვის განკუთვნილ ფიცარნაგზე ვიდექი და ხელთ თასი მეპყრა, ირგვლივ „ბორუსიის" გულშემატკივართა შავ-ყვითელი ზღვა ღელავდა, ფოტოაპარატების სინათლე კი თვალს მჭრიდა. ოფლში ვიწურებოდი და უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი.

ახლა, ერთი კვირის შემდეგ, დაკვირვებით ვათვალიერებ თასს. ის დაკაწრულია და ზოგიერთ ადგილას დაჭეჭყილი. მაგრამ ყველაზე უმშვენიერესი რამაა, რაზეც კი შეიძლება იოცნებოს პროფესიონალმა ფეხბურთელმა. უკანა მხარეს ვკითხულობ — „აიაქსი" ამსტერდამი და ტურინის „იუვენტუსი". ქვემოთ ჩვენი გუნდის სახელსაც ამოტვიფრავენ.

მახსენდება 1990 წელი, როცა გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. გუნდში ყველაზე ახალგაზრდა — 22 წლისა ვიყავი. მსოფლიოს თასით რომ დამინახა, ჩვენი ნაკრების იმჟამინდელმა თავკაცმა ფრანც ბეკენბაუერმა თავი გააქნია და თქვა: „ასეთი პატარა და უკვე ამხელა თასით".

შემდეგ კაიზერმა ჭკუაც დამარიგა. „ანდი, — მითხრა მან, — ნურასოდეს მოგწყინდება და დაგეზარება ჯილდოების მოპოვება. შენ ხომ თავად ნახე რამხელა ბედნიერებაა თასის აღმართვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდები დიდი ფეხბურთელი".

ივლისის იმ ცხელი დღის შემდეგ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ჯილდო მოვიგე: 1989 წლის გერმანიის თასის მფლობელმა 1990-ში მსოფლიოს თასის სიტკბო ვიგემე, 1993 წელს უეფას თასი მოვიპოვე, 1995 და 1996 წლებში გერმანიის ჩემპიონი გავხდი, 1996-ში — ევროპის. ახლა კი ჩემპიონთა ლიგაშიც ვიმარჯვე.

მატჩის დასრულამდე რამდენიმე წუთით ადრე შეცვლა მოვითხოვე. ჩვენს გულშემატკივრებს მინდორზე კაპიტნის, მიხაელ ცორკის ხილვა სურდათ, თანაც ორივე ფეხი, მუხლი და საერთოდ, ყველაფერი მტკიოდა. ჩვენი სტადიონის ინფორმატორის, ნორბერტ დიკელის გვერდით ჩამოვჯექი, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ავხედე და ღმერთს ვთხოვე, აღარაფერი შეეცვალა მოედანზე. მე და დიკელი ერთმანეთს ვუყურებდით და ცრემლები გვდიოდა, ცრემლები, რომლებისაც არ მრცხვენოდა და არც არასოდეს შემრცხვება.

საოცრად დაძაბული სეზონის შემდეგ ჩვენ ამ მატჩს შევალიეთ მთელი ძალა და უდიდესი ტრიუმფით კლუბის სახელს დიდება შევმატეთ.

მე ყოველთვის და ყველაფერში როდი ვეთანხმებოდი ჩვენს მწვრთნელს ოტმარ ჰიცფელდს. მიზეზი ჩვენს შორის მომხდარი განხეთქილებისა ფრაიბურგში დანიშნული თერთმეტმეტრიანი იყო. რიდლე ნამდვილად საჯარიმოში წააქციეს და მსაჯიც სამართლიანი იყო, მეტოქეთა მწვრთნელი ვოლფგერ ფინკე კი მას არ დაეთანხმა. მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე ჰიცფელდმა თერთმეტმეტრიანის სამართლიანობაზე საუბარს თავი აარიდა და დიპლომატიურით ალაპარაკდა. ამან გამაბრაზა. ჩვენ, მოთამაშეებმა, ვიცით, რომ მწვრთნელს არ სურს მტრები მოიმრავლოს, მაგრამ გუნდს და რიდლეს მხარში უნდა დაუდგეს ხოლმე.

ჰიცფელდი საკმაოდ დიდ თავისუფლებას აძლევდა ფეხბურთელებს, რაც თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ ეს თავხედობაში არ უნდა გადაიზარდოს. პაულუ სოუზამ პირადი მწვრთნელი ისურვა და მიიღო კიდეც, ჟულიო სეზარი გუნდის საერთო პურობას არ ესწრებოდა ხოლმე. ასეთი რამ აღარ უნდა მოხდეს, თუ ჩვენ გერმანიის ჩემპიონობა გვინდა.

მანჩესტერში გამარჯვებისა და ფინალში გასვლის შემდეგ მე გუნდის პრეზიდენტთან მივედი და ვუთხარი: „ფინალისთვის ახალი მაისურები გვჭირდება". როცა „ბორუსიამ" 1989 წელს გერმანიის თასი მოიპოვა, ფეხბურთელებს ფინალში ახალი ფორმა ეცვათ.

ჩვენმა სპონსორმა „ნაიკმა" უმალ საგაისო ფორმები გადმოგვცა. ჩემს 10-ნომრიან მაისურს საპატიო ადგილი უნდა რგებოდა ჩემს ბინაში. მაგრამ ის მომპარეს! მომპარეს გასახდელიდან!

დანაშაული იმ დროს მოხდა, როცა მშობლებს ტელეფონით ვესაუბრებოდი ფრანკფურტში. კარადისკენ მივტრიალდი და იქ ჩემი მაისურა ველარ დავინახე. საინტერესოა, ვის აქვს ახლა იგი...

გული დამწყდა და აუზს მივაშურე, სადაც პაულუ სოუზა თავისი წყალქვეშა ვიდეოკამერით ყვინთავდა. ჩემს გვერდით გუნდის ლიბერო მათიას ზამერი ტივტივებდა, შამპუნის ბოთლებით გარემოცული.

მე და მათიასი განსხვავებული ხასიათის ადამიანები ვართ. ფინალური სასტვენის შემდეგ კოლერისა და კლოსისკენ გავიქეცი და მინდორზე გავიშოტე. ეს, ალბათ, არ უნდა მექნა, რადგან ზედახორა შევქმენი. ამ არეულობაში მარჯვენა მუხლი უხერხულად მომყვა და ახლა შესაძლოა მენისკის ოპერაციის გაკეთება დამჭირდეს. ღლაბუცისგან მენისკი ავიკიდე, ეს ხომ დაუჯერებელია!

მათიას ზამერი კი არსად ჩანდა, ის ფოტოებზეც სადღაც უკანაა გადაკარგული. როცა საპატიო წრეს ვარტყამდით, გასახდელში გაუჩინარდა.

წლევანდელი ჩემი თამაში ყველამ ახლებურად უნდა გაანალიზოს. მატჩების შემდეგ [illegible] ჩემი [illegible], მე [illegible] გუნდის წარმატებისთვის.

[illegible] ჰიცფელდმა მითხრა: „ანდი, მე შემიძლია ჩანაწერზე განახო, როგორ უმოძრაოდ დგახარ და ორთაბრძოლას თავს არიდებ — თამაშის განმავლობაში მინიმუმ ექვსჯერ". მე ვუპასუხე, შემიძლია მინიმუმ ექვსჯერ განახო ისეთი მომენტი, როცა მეტოქის შეტევა ჩავშალე-მეთქი.

გუნდში დაძაბული ვითარება სუფევდა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვიყავი — ფინალში არ დავმარცხდებოდით.

ახლა ევროპაში პირველები ვართ. ყველაზე მაღალ საფეხურზე ვდგავართ, აქედან ჩამოვარდნა კი ძალიან ადვილია. ჩვენ თავი უნდა შევიმაგროთ. მაგრამ როგორ?

გუნდი გადავახალისოთ? რომელიმე ვარსკვლავი მოვიწვიოთ? არა, ჩვენ ვარსკვლავი არ გვჭირდება, ასეთები, ჩემი აზრით, არც არსებობენ, ალბათ, მხოლოდ რონალდო, მაგრამ მისი მოხელთება არ შეგვიძლია...

ჩვენ იმდენად ძლიერები ვართ, რომ კვლავ ჯილდოსთვის უნდა ვიბრძოლოთ. „ბორუსიას" შეუძლია ფული დაზოგოს.

ჟულიო სეზარი კვლავ მწყობრში დგება, პაულუ სოუზასაც შეუძლია ასპარეზობა, რენე შნაიდერს ისეთი საშინელი სეზონი აღარ ექნება, როგორც შარშან. ჰაიკო ჰერლიხისგან უფრო მეტს ველით, შესანიშნავი ახალგაზრდებიც გვყავს — ლარს რიკენი და ვლადიმირ ბუტი. შტეფან ფროინდის საბრძოლო ჟინი და უნარი კი სამაგალითოა. როცა იგი მოედანზეა, მე მშვიდად ვარ, ვიცი, რომ ჩემს ზურგს უკან გაუვალი კედელია. თუ ყველაფერი კარგად წაგვივიდა, 90-იანი წლების დორტმუნდი ისეთივე ლეგენდა იქნება, როგორიც 70-იან წლებში მიუნხენის „ბაიერნი" იყო.

უშეცდომო თამაში? ასეთი რამ, ჩემი აზრით, არ არსებობს — ფეხბურთი მარტივი თამაშია, რომელშიც შეუცდომელი არავინაა. ვთქვათ, მატჩში სამი გოლი გაიტანე, მეოთხე რეალური შანსი კი ვერ გამოიყენე. შენ ყველა გაქებს, უმაღლეს ნიშანსაც გიწერენ, მაგრამ ხომ შეცდი...

ამიტომაც ვაფასებ ჩოგბურთელ შტეფი გრაფს. იგი ყოველთვის ცდილობს, იდეალურად ითამაშოს და ამ იდეალურობის მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებს.

მეც ამ ძიებაში ვარ, ერთი-ორჯერ მიზანთან ახლოსაც ვიყავი. ხანდახან მესიზმრება, რომ უნაკლოდ ვთამაშობ, ვთამაშობ მომავლის ფეხბურთს და ეს ჩემი გამოსამშვიდობებელი მატჩია!...

# მე დორტმუნდელი ბიჭი ვარ



**1997 წლის 28 მაისი. მიუნხენი. ჩემპიონთა თასის ფინალი: „დორტმუნდი" — „იუვენტუსი" 3:1. ლარს რიკენს მესამე გოლი გააქვს**

**ლარს რიკენი**

დაიბადა 1976 წლის 10 ივლისს დორტმუნდში
სიმაღლე: 178 სმ. წონა: 72 კგ.
სკოლა 2,4 ატესტატით დაამთავრა, ახლა უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე დაუსწრებლად სწავლობს.
ჰყავს 25 წლის სტუდენტი მეგობარი ტანია.
საფეხბურთო კარიერა: „ევინგ-ლინდენჰორსტი" (1982-1986), დორტმუნდის „აინტრახტი" (1986-1990). 1992 წლიდან დორტმუნდის „ბორუსიაშია", რომელთან კონტრაქტი 1999 წელს უმთავრდება.

*ლარს რიკენმა ჩემპიონთა თასის ფინალში ბურთთან პირველივე შეხებით დაუსვა წერტილი მატჩს. მანამდე კი მანჩესტერში მისმა გოლმა „ბორუსია" ფინალში გაიყვანა. რიკენს, როგორც ფეხბურთელს, ყველა გულშემატკივარი იცნობს, მის პირად ცხოვრებაში გარკვევა, მისი შეხედულებებისა და ჩვევების გამომზეურება კი ჟურნალმა „შპორტ-ბილდმა" ითავა.*

მიღწევები: 1992 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა 16 წლამდელთა შორის, 1995 და 1996 წლებში გერმანიის ჩემპიონი იყო, 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელია. ბუნდესლიგაში 75 მატჩი ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა. ევროპის თასებზე ნათამაშევ 14 მატჩში 8 გოლს ითვლის. ყველაზე მეტად ნახევარდაცვაში თამაში უყვარს.

ჩემპიონთა თასზე გატანილი გოლის შემდგომი წამები: „ვერც კი ვიხსენებ, რა მოხდა, უცებ თანაგუნდელთა ზედახორაში მოვყევი და გონება წამერთვა".

თასის გადაცემა: „მეგონა, კინოთეატრში ვიყავი და ფილმს ვუყურებდი. არ მჯეროდა, რომ მომხდარი სინამდვილე იყო".

ერთი დღის შემდეგ: „ვარჯიშის დროს ჩინებულ გუნებაზე ვიყავი, უზომო თვითკმაყოფილებას განვიცდიდი. ყველაფერი ერთ აზრს მკარნახობდა — ჩვენ სენსაცია მოვახდინეთ". ბაზაზე ოთახის მეწილე ზამერზე: „მათიასი ჩემთვის იდეალი არ არის, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ვფიქრობ, მე საკუთარი გზა უნდა მოვნახო. სამაგიეროდ, ზამერს გამოცდილება აქვს, რაც მე ჯერ მაკლია, ის უცხოეთში თამაშობდა და ევროპის ჩემპიონიც გახდა. ვცდილობ, რაც კარგია მასში, ყველაფერი შევითვისო. ჩვენ განსხვავებული გემოვნება და შეხედულება გვაქვს, როცა საქმე მუსიკაზე მიდგება, მაგრამ ეს პრობლემებს არ გვიქმნის. შევთანხმდით, რომ ის კლასიკურ მუსიკას ხმამაღლა არ ჩართავს, მე კი ჰევი-მეტალით არ გამოვაყრუებ".

რიკენი საუკეთესო მეგობარზე: „მას ჰანეს სმიტი ჰქვია და ჰევი-მეტალის ჯგუფ „ფანტომს ოფ ფიუჩერზში" მღერის. მე მისი სიცოცხლისუნარიანობა მხიბლავს. იგი პირწავარდნილი ლოთი იყო, დღეში, სულ ცოტა, ორ ბოთლ ვისკის სვამდა, მაგრამ ძლიერი ნებისყოფის წყალობით შეძლო ლოთობისთვის თავი დაენებებინა. მან კაფე „ბანანე" გახსნა, სადაც ყოფილი, ანაც ის ბაზუსის მოყვარულნი იკრიბებიან, რომელთაც ამ მავნე ჩვევისგან თავის დაღწევა სურთ. ასევე დააფუძნა საკონტაქტო ბიურო ნაკლებად ცნობილი მუსიკოსებისა და ჯგუფებისთვის".

საყვარელი ადგილი დორტმუნდში: „ყველაზე მეტად კაფე „ბანანეში" მიყვარს დროსტარება. იქ მე ჩვეულებრივი ადამიანი — ლარს რიკენი ვარ".

მომღერალი რიკენი: „ფანტომს ოფ ფიუჩერზთან" ერთად ჩავწერე ერთი სიმღერა, რომელიც ამ ჯგუფის კომპაქტ-დისკში შევიდა. ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა, მეტს ალბათ აღარ ვიმღერებ, ყოველ შემთხვევაში, პროფესიულ დონეზე მაინც".

კარიერისტული კრედო: „კრიტიკა დიდი მდინარეა. მის დინებას არ უნდა მიჰყვე. ნაპირზე უნდა იდგე და ყურადღებით ადევნო თვალი, რა მოაქვს კრიტიკის ნაკადს". ეს ბერთოლდ ბრეხტის სიტყვებია, მისი შემოქმედების ცოდნა კი ადასტურებს, რომ რიკენი ერთობ გატაცებულია მშობლიური ლიტერატურით.

პოლიტიკა: 18 წლის ვიყავი, როცა ტელეგადაცემაში მიმიწვიეს პოლიტიკურ თემაზე უნდა მემსჯელა, მაგრამ რადგან პოლიტიკა დიდად არ მაინტერესებს, დისკუსიაში ვერ ჩავები".

იუმორი: როცა საქმე მაისურის ნომრების ამორჩევაზე მიდგა, ლარს რიკენმა განაცხადა, პირველი ნომერი მსურსო.

სამოსი: „საკლუბო სამოსი საშინლად მბოჭავს, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე მის ჩაცმას როგორმე გავუძლებ".

სიგარეტი და ალკოჰოლი: „მე ესენი საშინლად არ მიყვარს, თუმცა, ჩემპიონთა თასის მოპოვების შემდეგ ორ-სამ კათხა ლუდს მაინც გავხელით".

ლარს რიკენი ლარს რიკენზე: „მედიამ ცაში ამიყვანა, „ევროპის უდიდესი ტალანტი" და ამგვარი სისულელეები მიწოდა. ყოველდღე ვხედავ იტალიის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს. მათ გვერდით არაფერი ვარ, მათ დონეს ჯერ კიდევ უნდა მივაღწიო".

ჩვევა: ავტოგრაფის შემდეგ, ამერიკელი მობურთალეებისა და კალათბურთელების დარად, თავისი მაისურის ნომერს — 18-ს წერს ხოლმე.

პოპულარობა: „ეს არცთუ სასიამოვნო რამაა. ამაში შონ დანდისა და მეჰმედ შოლის მაგალითმაც დამარწმუნა. მათ პირად პრობლემებზე გაზეთები წერდნენ. ასეთ რამეს საკუთარ თავს არ ვუსურვებდი".

ეროვნული ნაკრები: „ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგტსი ამბობს, დღეს რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მივემგზავრებოდე, 22 ფეხბურთელში აუცილებლად ჩავრთავდი ლარს რიკენსო. ეს მე ძლიერ მახარებს, მაგრამ როგორც მარსელ რაიფმა დაწერა, ნიჭი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სამომავლო იმედი. ამიტომ მწვრთნელის ნათქვამი მხოლოდ სტიმულს მანიჭებს, ეს არის და ეს".

მუდმივად დორტმუნდში? „სხვას არავის მივუწვევივარ. მე დორტმუნდელი ბიჭი ვარ, აქ დიდ წარმატებას მივაღწიე. ამიტომ ჩემს გადაბირებას არავინ ცდილობს, ალბათ ფიქრობენ, აქედან წამსვლელი არსად არისო. მე ალბათ დისკოთეკაზე მყოფ მომხიბვლელ მანდილოსანს ვგავარ, რომელსაც არავინ იწვევს საცეკვაოდ იმის შიშით, უარი არ მიიღოს".

ოცნების ქვეყანა: ამერიკის შეერთებული შტატები. მეგობარ ტანიასთან ერთად რიკენმა ერთკვირიანი არდადეგები მოიწყო ფლორიდაზე.

მანქანა: ყოველი 10 000 კილომეტრის გავლის შემდეგ მანქანას იცვლის. ახლა „ჰონდა-აკორდი" ჰყავს, მაგრამ: „ის ჩემთვის ძალიან დიდია. მე პატარა სპორტული მანქანები უფრო მომწონს, ამიტომ მალაზიას „ჰონდა-პრელუდია" დავუკვეთე. მოტოციკლზე ჯირითიც მიყვარს, მყავს შავი ფერის „კავასაკი".

საცხოვრებელი: „დიდი ხანი არაა, რაც მარტო ვცხოვრობ. მაქვს პატარა ბინა, განსაკუთრებული იქ არაფერია. მხოლოდ ჩემი კედლის კარადით ვამაყობ. ის თავად ავაწყე".

ოჯახი: „ბევრ ადამიანს შეგნება აკლია. ჩემზე, ალბათ, ამბობენ, მუშათა ღარიბი ოჯახიდან გამოსული გამდიდრებული ბიჭიაო. სისულელეა! ძალიანაც ნორმალური ოჯახიდან ვარ, იქ ყველა ფეხბურთის გულშემატკივარია. მეც ფეხბურთისა და დორტმუნდის „ბორუსიის" სიყვარულით გავიზარდე".

საჭმელი: „მას მერე, რაც მარტო ვცხოვრობ, კულინარიაში დავეოსტატდი. გადასარევად ვამზადებ კერძებს, ოღონდ კარგად თუ ცუდად, ამაზე სხვებმა იმსჯელონ".

**გვერდი მოამზადა**
**ერეკლე ძიძილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ქალაქის გუნდია „ბელშინა“? რომელ ადგილზე გავიდა თავის ჩემპიონატში „არარატი“? ეს „ჰაიდუკი“ ის „ჰაიდუკია“? — ამას და სხვა ბევრსაც ხშირად გვეკითხებიან ჩვენი მკითხველები, ზოგი — ტელეფონით, ზოგიც — წერილობით. ჰოდა, მათი ცნობისმოყვარეობა სრულად რომ დავაკმაყოფილოთ, დღეს ევროპის იმ ქვეყანათა ეროვნული ჩემპიონატების საბოლოო ცხრილებს გთავაზობთ, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩვენს გაზეთში სრულად ვერაა ხოლმე წარმოდგენილი. თან, ოთხ დღეში იწყება ევროთასების ახალი გათამაშებებიც, სადაც გუნდები სწორედ ქვემოთმოყვანილ ჩემპიონატებში წარმატებული თამაშის წყალობით მოხვდნენ.

## ბულგარეთი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა (სოფია) | 30 | 22 | 5 | 3 | 65:19 | 71 |
| ნეფტოხიმიკი | 30 | 20 | 7 | 3 | 70:20 | 67 |
| სლავია (სოფია) | 30 | 17 | 6 | 7 | 61:23 | 57 |
| ლევსკი (სოფია) | 30 | 14 | 11 | 5 | 58:30 | 53 |
| ბოტევი (პლოვდივი) | 30 | 14 | 3 | 13 | 40:41 | 45 |
| მინიორი (პერნიკი) | 30 | 12 | 8 | 10 | 28:35 | 44 |
| ლოკომოტივი (სოფია) | 30 | 13 | 4 | 13 | 59:47 | 43 |
| ლევსკი (კიუსტენდილი) | 30 | 13 | 3 | 14 | 51:52 | 42 |
| სპარტაკი (ვარნა) | 30 | 13 | 3 | 14 | 40:41 | 42 |
| ლოკომოტ. (პლოვდივი) | 30 | 12 | 5 | 13 | 38:41 | 41 |
| დობრუჯა (დობრიჩი) | 30 | 11 | 6 | 13 | 44:47 | 39 |
| სპარტაკი (პლევენი) | 30 | 12 | 3 | 15 | 35:46 | 39 |
| ეტარი | 30 | 10 | 5 | 15 | 37:53 | 35 |
| მარიცა (პლოვდივი) | 30 | 8 | 8 | 14 | 38:45 | 32 |
| მონტანა | 30 | 8 | 4 | 18 | 32:54 | 28 |
| რაკოვსკი (რუსე) | 30 | 0 | 1 | 29 | 8:110 | 1 |

საუკეთესო ბომბარდირი

ნიკოლა პრამატაროვი (სლავია) 26

თასის ფინალი

ცსკა — ლევსკი (სოფია) 3:1

## ლუქსემბურგი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟენეს ეში | 22 | 17 | 5 | 0 | 56:11 | 56 |
| გრევენმახერი | 22 | 15 | 5 | 2 | 56:20 | 50 |
| უნიონი | 22 | 10 | 8 | 4 | 44:23 | 38 |
| ავენირი | 22 | 11 | 5 | 6 | 45:27 | 38 |
| ვილც 71 | 22 | 11 | 3 | 8 | 32:40 | 36 |
| სპორტინგ მერციგი | 22 | 8 | 8 | 6 | 45:39 | 32 |
| ჰობშაიდი | 22 | 7 | 5 | 10 | 23:42 | 26 |
| სპორა | 22 | 6 | 5 | 11 | 33:40 | 23 |
| დუდელანჟი | 22 | 6 | 4 | 12 | 27:43 | 22 |
| რუმელანჟი | 22 | 5 | 3 | 14 | 33:59 | 18 |
| როდანჟ 91 | 22 | 4 | 4 | 14 | 25:42 | 16 |
| არისი | 22 | 2 | 5 | 15 | 22:55 | 11 |

საუკეთესო ბომბარდირები:

ფრანკო იოვინო (ვილც 71) 19

მიხაილ ზარიცკი (სპორტინგი) 19

თასის ფინალი

ჟენეს ეში — უნიონი 2:0

## ჩრ. ირლანდია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეიდერსი | 28 | 12 | 10 | 6 | 38:26 | 46 |
| კოლრეინი | 28 | 10 | 13 | 5 | 37:31 | 43 |
| გლენტორანი | 28 | 10 | 11 | 7 | 36:30 | 41 |
| ლინფილდი | 28 | 10 | 8 | 10 | 35:33 | 38 |
| პორტადაუნი | 28 | 10 | 8 | 10 | 33:31 | 38 |
| გლენავონი | 28 | 8 | 11 | 9 | 35:34 | 35 |
| კლიფტონვილი | 28 | 7 | 9 | 12 | 22:35 | 30 |
| არდსი | 28 | 5 | 10 | 13 | 33:49 | 25 |

საუკეთესო ბომბარდირი

გარი ჰაილუკი (პორტადაუნი) 16

თასის ფინალი

გლენავონი — კლიფტონვილი 1:0

## უნგრეთი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ (ბუდაპეშტი) | 34 | 26 | 7 | 1 | 86:25 | 85 |
| უიპეშტი (ბუდაპეშტი) | 34 | 23 | 7 | 4 | 75:35 | 76 |
| ფერენცვაროში | 34 | 22 | 8 | 4 | 69:37 | 74 |
| ვაშაში (ბუდაპეშტი) | 34 | 20 | 6 | 8 | 50:31 | 66 |
| დებრეცენი | 34 | 14 | 10 | 10 | 55:38 | 52 |
| ბვსც (ბუდაპეშტი) | 34 | 14 | 7 | 13 | 43:36 | 49 |
| კიშპესტ-ჰონვედი | 34 | 12 | 9 | 13 | 42:44 | 45 |
| ვიდეოტონი | 34 | 10 | 12 | 12 | 45:44 | 42 |
| დიორი ეტო | 34 | 10 | 12 | 12 | 44:51 | 42 |
| ჰალადაში (სომბათჰეი) | 34 | 10 | 10 | 14 | 39:42 | 40 |
| ვაც სამსუნგი | 34 | 10 | 10 | 14 | 40:47 | 40 |
| შიოფოკი | 34 | 10 | 10 | 14 | 36:53 | 40 |
| ზალაეგერსეგი | 34 | 11 | 7 | 16 | 34:51 | 40 |
| ბეკეშჩაბა | 34 | 10 | 6 | 18 | 37:62 | 36 |
| კეჩკემეტი | 34 | 8 | 11 | 15 | 45:55 | 35 |
| შტადლერი | 34 | 7 | 7 | 20 | 27:50 | 28 |
| ჩეპელი (ბუდაპეშტი) | 34 | 5 | 10 | 19 | 43:70 | 25 |
| პეჩი | 34 | 6 | 7 | 21 | 29:68 | 25 |

საუკეთესო ბომბარდირი

ბელა ილეში (მტკ) 23

თასის ფინალი

მტკ — ბვსც 6:0, 2:0

## იუგოსლავია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი (ბელგრადი) | 33 | 26 | 6 | 1 | 88:17 | 84 |
| ცრვენა ზვეზდა | 33 | 25 | 3 | 5 | 77:30 | 78 |
| ვოივოდინა (ნოვი სადი) | 33 | 15 | 8 | 10 | 49:35 | 53 |
| ჰაიდუკი (კულა) | 33 | 12 | 8 | 13 | 34:37 | 44 |
| პროლეტერი | 33 | 12 | 6 | 15 | 48:49 | 42 |
| ზემუნი | 33 | 10 | 11 | 12 | 40:37 | 41 |
| ჩუკარიჩკი (ბელგრადი) | 33 | 11 | 8 | 14 | 35:46 | 41 |
| მლადოსტი (ლუჩანი) | 33 | 12 | 5 | 16 | 45:59 | 41 |
| რადი (ბელგრადი) | 33 | 10 | 10 | 13 | 33:38 | 40 |
| ბუდუჩნოსტი | 33 | 11 | 6 | 16 | 26:44 | 39 |
| ბეჩეი | 33 | 11 | 5 | 17 | 34:48 | 38 |
| ბორაცი (ჩაჩაკი) | 33 | 4 | 2 | 27 | 22:91 | 14 |

საუკეთესო ბომბარდირი

ზორან იოვიჩიჩი (ცრვენა ზვეზდა) 21

თასის ფინალი

ვოივოდინა — ცრვენა ზვეზდა 0:0, 0:1

## ნორვეგია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 26 | 18 | 5 | 3 | 82:26 | 59 |
| ლილესტრიომი | 26 | 13 | 7 | 6 | 54:33 | 46 |
| ვიკინგი (სტავანგერი) | 26 | 12 | 7 | 7 | 50:32 | 43 |
| ბრანი (მინდე) | 26 | 11 | 9 | 6 | 64:50 | 42 |
| ტრომსო | 26 | 11 | 8 | 7 | 46:41 | 41 |
| სტაბეკი (ბეკესტუა) | 26 | 9 | 9 | 8 | 47:45 | 36 |
| კონგსვინგერი | 26 | 10 | 6 | 10 | 38:48 | 36 |
| მოლდე | 26 | 9 | 6 | 11 | 45:38 | 33 |
| სკეიდი (ოსლო) | 26 | 10 | 2 | 14 | 33:59 | 32 |
| ბოდო გლიმტი | 26 | 9 | 4 | 13 | 44:49 | 31 |
| სტრომსგოდსეტი | 26 | 8 | 5 | 13 | 40:59 | 29 |
| მოსი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:47 | 29 |
| ვოლერენგენი (ოსლო) | 26 | 6 | 9 | 11 | 30:40 | 27 |
| სტარტი | 26 | 5 | 3 | 18 | 37:41 | 18 |

საუკეთესო ბომბარდირი

ჰარალდ ბრატბაკი (როზენბორგი) 28

თასის ფინალი

ტრომსო — ბოდო გლიმტი 2:1

## მალტა

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა ვალეტა | 27 | 21 | 4 | 2 | 80:22 | 67 |
| ბირკირკარა | 27 | 18 | 6 | 3 | 46:21 | 60 |
| ფლორიანა | 27 | 16 | 5 | 6 | 56:28 | 53 |
| სლიემა უონდერერზი | 27 | 14 | 4 | 9 | 58:30 | 46 |
| ჰამრუნ სპარტანსი | 27 | 12 | 3 | 12 | 46:40 | 39 |
| ჰიბერნიანსი | 27 | 10 | 7 | 10 | 39:38 | 37 |
| პიეტა ჰოთსპური | 27 | 11 | 3 | 13 | 35:41 | 36 |
| ნაქსარ ლაიონზი | 27 | 5 | 7 | 15 | 18:45 | 22 |
| რაბათ აიაქსი | 27 | 5 | 3 | 19 | 32:73 | 18 |
| ლიჟა ატლეტიკი | 27 | 2 | 0 | 25 | 22:94 | 6 |

საუკეთესო ბომბარდირი

დანილო დონჩიჩი (ლა ვალეტა) 32

თასის ფინალი

ლა ვალეტა — ჰიბერნიანსი 2:1

## სლოვენია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორ ბრანიკი | 36 | 21 | 8 | 7 | 71:34 | 71 |
| პრიმორიე (აიდოვშჩინა) | 36 | 19 | 9 | 8 | 64:25 | 66 |
| გორიცა | 36 | 18 | 11 | 7 | 52:33 | 65 |
| პუბლიკუმი (ცელიე) | 36 | 12 | 11 | 13 | 55:61 | 47 |
| კოროტანი (პრევალიე) | 36 | 12 | 9 | 15 | 32:39 | 45 |
| ოლიმპია (ლიუბლიანა) | 36 | 11 | 12 | 13 | 54:52 | 45 |
| მურა (მურსკა სობოტა) | 36 | 9 | 16 | 11 | 36:45 | 43 |
| რუდარი (ველენიე) | 36 | 10 | 12 | 14 | 43:53 | 42 |
| ბელტინცი | 36 | 7 | 11 | 18 | 37:69 | 32 |
| კოპერი | 36 | 8 | 7 | 21 | 28:61 | 31 |

საუკეთესო ბომბარდირი

ფაიკ კამბეროვიჩი (პუბლიკუმი) 21

თასის ფინალი

პრიმორიე — მარიბორი 0:0, 0:3

## ლატვია

1996 სეზონის საბოლოო ცხრილი

ფინალური ეტაპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო (რიგა) | 28 | 23 | 4 | 1 | 98:12 | 73 |
| დაუგავა (რიგა) | 28 | 18 | 7 | 3 | 61:18 | 61 |
| დინაბურგი | 28 | 13 | 8 | 7 | 53:31 | 47 |
| უნივერსიტატე (რიგა) | 28 | 11 | 6 | 11 | 37:45 | 39 |
| ბალტიკა | 28 | 11 | 5 | 12 | 32:44 | 38 |
| სტარტსი (ბროცენი) | 28 | 6 | 5 | 17 | 26:69 | 23 |
| **გასავარდნთა ფინალური ეტაპი** | | | | | | |
| ლოკომოტივე | 30 | 10 | 9 | 11 | 38:45 | 39 |
| ვაიროგსი (რეზეკნე) | 30 | 9 | 6 | 15 | 37:54 | 33 |
| სკონტო მეტალსი (რიგა) | 30 | 7 | 6 | 17 | 25:53 | 27 |
| ოურნიეკსი (რიგა) | 30 | 4 | 8 | 18 | 25:61 | 20 |

თასის ფინალი

სკონტო — დინაბურგი 2:1

## ჩეხეთი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა (პრაღა) | 30 | 19 | 8 | 3 | 61:20 | 65 |
| სლავია (პრაღა) | 30 | 18 | 7 | 5 | 59:24 | 61 |
| იაბლონეცი | 30 | 17 | 5 | 8 | 40:29 | 56 |
| ბობი (ბრნო) | 30 | 14 | 10 | 6 | 44:35 | 52 |
| სლოვანი (ლიბერეცი) | 30 | 12 | 10 | 8 | 33:30 | 46 |
| ჩესკე ბუდეიოვიცე | 30 | 11 | 11 | 8 | 38:40 | 44 |
| პეტრა (დრნოვიცე) | 30 | 12 | 7 | 11 | 53:44 | 43 |
| სიგმა (ოლომოუცი) | 30 | 10 | 10 | 10 | 36:30 | 40 |
| კაუჩუკი (ოპავა) | 30 | 10 | 10 | 10 | 34:35 | 40 |
| ბანიკი (ოსტრავა) | 30 | 8 | 13 | 9 | 33:35 | 37 |
| ვიქტორია (პლზენი) | 30 | 7 | 11 | 12 | 33:37 | 32 |
| ვიქტორია (ჟიჟკოვი) | 30 | 6 | 11 | 13 | 17:33 | 29 |
| ტეპლიცე | 30 | 6 | 10 | 14 | 21:37 | 28 |
| ჰრადეც კრალოვე | 30 | 5 | 13 | 12 | 22:39 | 28 |
| კარვინა (ნოვე მესტო) | 30 | 6 | 7 | 17 | 25:50 | 25 |
| ბოჰემიანსი (პრაღა) | 30 | 4 | 7 | 19 | 22:53 | 19 |

საუკეთესო ბომბარდირი

ჰორსტ სიგლი (სპარტა) 19

თასის ფინალი

სლავია — დუკლა 1:0

## ირლანდია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დერი სიტი | 33 | 19 | 10 | 4 | 58:27 | 67 |
| ბოჰემიანსი (დუბლინი) | 33 | 16 | 9 | 8 | 43:32 | 57 |
| შელბურნი (დუბლინი) | 33 | 15 | 9 | 9 | 52:36 | 54 |
| კორკ სიტი | 33 | 15 | 9 | 9 | 38:24 | 54 |
| სენტ პატრიკი | 33 | 13 | 14 | 6 | 45:33 | 53 |
| სლაიგო როვერსი | 33 | 12 | 11 | 10 | 43:43 | 47 |
| შემროკ როვერსი | 33 | 10 | 13 | 10 | 43:46 | 43 |
| უკდ (დუბლინი) | 33 | 12 | 7 | 14 | 34:39 | 43 |
| ფინ ჰარპსი | 33 | 10 | 9 | 14 | 41:43 | 39 |
| დანდალკი | 33 | 9 | 9 | 15 | 32:50 | 36 |
| ბრეი უონდერერსი | 33 | 5 | 8 | 20 | 30:59 | 23 |
| ჰოუმ ფარმი | 33 | 3 | 10 | 20 | 26:53 | 19 |

საუკეთესო ბომბარდირები

ტონი კუზინსი (შემროკ როვერსი) 16

სტივ ჯოგიგანი (შელბურნი) 16

თასის ფინალი

შელბურნი — დერი სიტი 2:0

## ბელარუსი

1996 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მპკც (მოზირი) | 30 | 24 | 4 | 2 | 64:17 | 76 |
| დინამო (მინსკი) | 30 | 23 | 6 | 1 | 83:20 | 75 |
| ბელშინა (ბობრუისკი) | 30 | 20 | 3 | 7 | 66:32 | 63 |
| დინამო 93 (მინსკი) | 30 | 17 | 5 | 8 | 44:30 | 56 |
| ლოკომოტივი 96 | 30 | 13 | 10 | 7 | 48:27 | 49 |
| ატაკა აურა (მინსკი) | 30 | 13 | 5 | 12 | 31:41 | 44 |
| ნაფტანი | 30 | 13 | 4 | 13 | 43:52 | 43 |
| მოლოდეჩნო | 30 | 11 | 8 | 11 | 42:33 | 41 |
| დნეპრი (მოგილიოვი) | 30 | 11 | 6 | 13 | 33:36 | 39 |
| დინამო (ბრესტი) | 30 | 7 | 11 | 12 | 39:43 | 32 |
| ტორპედო (მინსკი) | 30 | 7 | 8 | 15 | 32:53 | 29 |
| შახტიორი | 30 | 8 | 5 | 17 | 29:50 | 29 |
| ნემანი (გროდნო) | 30 | 7 | 8 | 15 | 25:48 | 29 |
| ტორპედო (მოგილიოვი) | 30 | 7 | 6 | 17 | 27:64 | 27 |
| ობუვშჩიკი (ლიდა) | 30 | 6 | 6 | 18 | 25:43 | 24 |
| ვედრიჩი (რეჩიცა) | 30 | 4 | 3 | 23 | 14:56 | 15 |

საუკეთესო ბომბარდირი

ანდრეი ხლებოსოლოვი (ბელშინა) 34

თასის ფინალი

ბელშინა — დინამო 93 2:0

## შვედეთი

1996 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 26 | 17 | 5 | 4 | 61:23 | 56 |
| მალმიო | 26 | 13 | 7 | 6 | 33:26 | 46 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 13 | 5 | 8 | 39:26 | 44 |
| აიკ (სტოკჰოლმი) | 26 | 12 | 7 | 7 | 36:23 | 43 |
| ორებრო | 26 | 13 | 3 | 10 | 34:29 | 42 |
| ოსტერი | 26 | 10 | 6 | 10 | 37:39 | 36 |
| ჰალმშტადი | 26 | 9 | 8 | 9 | 34:37 | 35 |
| ნორჩიოპინგი | 26 | 9 | 7 | 10 | 31:29 | 34 |
| დეგერფორსი | 26 | 9 | 7 | 10 | 34:41 | 34 |
| ორგრიტე | 26 | 8 | 7 | 11 | 27:30 | 31 |
| უმეო | 26 | 8 | 6 | 12 | 35:45 | 30 |
| ტრელებორგი | 26 | 9 | 3 | 14 | 33:48 | 30 |
| იურგორდენი | 26 | 8 | 3 | 15 | 28:43 | 27 |
| ოდევოლდი (უდევალა) | 26 | 5 | 4 | 17 | 20:43 | 19 |

საუკეთესო ბომბარდირი

ანდრეას ანდერსონი (გიოტებორგი) 19

თასის ფინალი

აიკ — ელფსბორგი 2:1

## ისლანდია

1996 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკრანესი | 18 | 13 | 1 | 4 | 46:19 | 40 |
| რეიკიავიკი | 18 | 11 | 4 | 3 | 38:16 | 37 |
| ლეიფტური | 18 | 8 | 5 | 5 | 33:28 | 29 |
| ვესტმანაეიარი | 18 | 8 | 1 | 9 | 29:32 | 25 |
| ვალიური (რეიკიავიკი) | 18 | 7 | 3 | 8 | 23:25 | 24 |
| სტიარნანი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:32 | 23 |
| გრინდავიკი | 18 | 5 | 4 | 9 | 23:34 | 19 |
| კეფლავიკი | 18 | 4 | 7 | 7 | 16:28 | 19 |
| ფილკირი (რეიკიავიკი) | 18 | 5 | 3 | 10 | 26:30 | 18 |
| ბრეიდაბლიკი | 18 | 3 | 7 | 8 | 19:34 | 16 |

თასის ფინალი

აკრანესი — ვესტმანაეიარი 2:1

## ფარერები

1996 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გოტუ | 18 | 12 | 3 | 3 | 52:14 | 39 |
| კლაქსვიკარი | 18 | 11 | 6 | 1 | 47:16 | 39 |
| ჰავნარი (ტორსჰავნი) | 18 | 10 | 2 | 6 | 47:29 | 32 |
| ბ 36 (ტორსჰავნი) | 18 | 9 | 5 | 4 | 34:21 | 32 |
| სუმბა (ვაგური) | 18 | 7 | 3 | 8 | 19:25 | 24 |
| ფულაფიორდური | 18 | 6 | 5 | 7 | 26:32 | 23 |
| ბ 68 (ტოფტირი) | 18 | 5 | 3 | 10 | 23:34 | 18 |
| ბ 71 (სანდური) | 18 | 4 | 6 | 8 | 20:40 | 18 |
| ვაგარი (მიდვაგური) | 18 | 4 | 1 | 13 | 20:47 | 13 |
| ტვოროიური | 18 | 3 | 4 | 11 | 21:51 | 13 |

საუკეთესო ბომბარდირი

კურტ მიორკიორე (კლაქსვიკარი) 20

თასის ფინალი

გოტუ — ჰავნარი 5:3

## უკრაინა

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (კიევი) | 30 | 23 | 4 | 3 | 69:20 | 73 |
| შახტიორი (დონეცკი) | 30 | 19 | 5 | 6 | 72:26 | 62 |
| ვორსკლა (პოლტავა) | 30 | 17 | 7 | 6 | 50:26 | 58 |
| დნეპრი | 30 | 14 | 13 | 3 | 48:19 | 55 |
| კარპატი (ლვოვი) | 30 | 15 | 7 | 8 | 36:23 | 52 |
| ტავრია (სიმფეროპოლი) | 30 | 13 | 5 | 12 | 36:46 | 44 |
| ჩერნომორეცი (ოდესა) | 30 | 12 | 6 | 12 | 36:31 | 42 |
| მეტალურგი | 30 | 12 | 5 | 13 | 48:44 | 41 |
| ნივა (ტერნოპოლი) | 30 | 11 | 6 | 13 | 34:37 | 39 |
| ზირკა-ნიბასი | 30 | 11 | 3 | 16 | 31:55 | 36 |
| ცსკა (კიევი) | 30 | 9 | 8 | 13 | 33:35 | 35 |
| კრივბასი | 30 | 9 | 6 | 15 | 24:48 | 33 |
| პრიკარპატიე | 30 | 8 | 7 | 15 | 33:49 | 31 |
| ტორპედო (ზაპოროჟიე) | 30 | 8 | 5 | 17 | 25:56 | 29 |
| კრემენი (კრემენჩუგი) | 30 | 7 | 3 | 20 | 28:57 | 24 |
| ნივა (ვინიცა) | 30 | 4 | 6 | 20 | 19:48 | 18 |

საუკეთესო ბომბარდირი

ოლეგ მატვეევი (შახტიორი) 21

თასის ფინალი

შახტიორი — დნეპრი 1:0

## დანია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 33 | 20 | 8 | 5 | 64:39 | 68 |
| ვაილე | 33 | 14 | 12 | 7 | 57:38 | 54 |
| ორჰუსი | 33 | 14 | 10 | 9 | 75:51 | 52 |
| ჰერფოლგე | 33 | 15 | 7 | 11 | 46:42 | 52 |
| ოლბორგი | 33 | 12 | 11 | 10 | 46:40 | 47 |
| სილკებორგი | 33 | 10 | 15 | 8 | 51:55 | 45 |
| ოდენსე | 33 | 11 | 8 | 14 | 59:61 | 41 |
| კოპენჰაგენი | 33 | 10 | 11 | 12 | 35:43 | 41 |
| ლუნგბიუ | 33 | 10 | 10 | 13 | 50:61 | 40 |
| აკადემიკი | 33 | 8 | 12 | 13 | 56:62 | 36 |
| ვიბორგი | 33 | 6 | 11 | 16 | 31:58 | 29 |
| ჰვიდოვრე | 33 | 5 | 11 | 17 | 39:59 | 26 |

საუკეთესო ბომბარდირი

მიკლოშ მოლნარი (ლუნგბიუ) 25

თასის ფინალი

კოპენჰაგენი — იკასტი 2:0

## კვიპროსი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანორთოსისი | 26 | 20 | 5 | 1 | 58:14 | 65 |
| აპოლონი (ლიმასოლი) | 26 | 16 | 4 | 6 | 43:22 | 52 |
| ომონია (ნიქოზია) | 26 | 14 | 4 | 8 | 39:30 | 46 |
| ეპა (ლარნაკა) | 26 | 11 | 8 | 7 | 49:37 | 41 |
| აპოელი (ნიქოზია) | 26 | 12 | 4 | 10 | 57:43 | 40 |
| ეთნიკოსი | 26 | 11 | 4 | 11 | 48:36 | 37 |
| პარალიმნი | 26 | 9 | 8 | 9 | 49:49 | 35 |
| ნეა სალამინა | 26 | 8 | 10 | 8 | 42:36 | 34 |
| ანაგენისისი | 26 | 9 | 5 | 12 | 27:42 | 32 |
| აპოპ (პაფოსი) | 26 | 9 | 4 | 13 | 29:44 | 31 |
| ალკი (ლარნაკა) | 26 | 8 | 6 | 12 | 41:49 | 30 |
| არისი (ლიმასოლი) | 26 | 7 | 7 | 12 | 33:41 | 28 |
| ოლიმპიაკოსი (ნიქოზია) | 26 | 8 | 3 | 15 | 28:47 | 27 |
| აპეპ (ლიმასოლი) | 26 | 3 | 2 | 21 | 22:75 | 11 |

თასის ფინალი

აპოელი — ომონია 2:0

## მაკედონია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სილექსი (კრატოვო) | 26 | 19 | 5 | 2 | 81:23 | 62 |
| პობედა (პრილეპი) | 26 | 17 | 3 | 6 | 55:26 | 54 |
| სლოგა იუგომაგნატი | 26 | 13 | 7 | 6 | 41:25 | 46 |
| ვარდარი (სკოპიე) | 26 | 11 | 10 | 5 | 32:13 | 43 |
| სასა (კამენიცა) | 26 | 10 | 7 | 9 | 36:30 | 37 |
| ბრეგალნიცა | 26 | 10 | 5 | 11 | 30:33 | 35 |
| მაკედონია (სკოპიე) | 26 | 10 | 4 | 12 | 38:30 | 34 |
| ბალკანი (სკოპიე) | 26 | 8 | 9 | 9 | 30:26 | 33 |
| პელისტერი (ბიტოლა) | 26 | 9 | 6 | 11 | 37:36 | 33 |
| ბელაშიცა (სტრუმიცა) | 26 | 9 | 6 | 11 | 33:43 | 33 |
| ტიკვეში (კავადარჩი) | 26 | 8 | 8 | 10 | 33:39 | 32 |
| ცემენტარნიცა | 26 | 8 | 5 | 13 | 32:38 | 29 |
| შკენდია | 26 | 8 | 5 | 13 | 27:48 | 29 |
| რუდარი | 26 | 1 | 2 | 33 | 16:111 | 5 |

თასის ფინალი

სილექსი — სლოგა 4:1

## სომხეთი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიუნიკი (ერევანი) | 22 | 19 | 2 | 1 | 67:9 | 59 |
| არარატი (ერევანი) | 22 | 17 | 1 | 4 | 54:18 | 52 |
| ერევანი | 22 | 16 | 2 | 4 | 58:24 | 50 |
| შირაკი (გიუმრი) | 22 | 15 | 2 | 5 | 57:11 | 47 |
| ცემენტი (არტაშატი) | 22 | 13 | 3 | 6 | 49:26 | 42 |
| ვანი (ერევანი) | 22 | 11 | 1 | 10 | 41:34 | 34 |
| კოტაიკი (აბოვიანი) | 22 | 8 | 4 | 10 | 41:27 | 28 |
| ყარაბაღი (ერევანი) | 22 | 7 | 4 | 11 | 23:29 | 25 |
| ომენმენი (ერევანი) | 22 | 7 | 1 | 14 | 30:59 | 22 |
| არაბკირი (ერევანი) | 22 | 4 | 0 | 18 | 20:89 | 12 |
| ზანგეზური (გორისი) | 22 | 2 | 3 | 17 | 9:77 | 9 |
| ცსკა (ერევანი) | 22 | 1 | 1 | 20 | 10:56 | 4 |

თასის ფინალი

არარატი — პიუნიკი 1:0

## ხორვატია

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კროაცია (ზაგრები) | 30 | 26 | 3 | 1 | 90:28 | 81 |
| ჰაიდუკი (სპლიტი) | 30 | 18 | 6 | 6 | 53:22 | 60 |
| დრაგოვოლიაცი | 30 | 13 | 10 | 7 | 51:37 | 49 |
| რიეკა | 30 | 13 | 7 | 10 | 44:31 | 46 |
| ზაგრები | 30 | 13 | 6 | 11 | 43:39 | 45 |
| ვარტექსი (ვარაჟდინი) | 30 | 12 | 6 | 12 | 34:35 | 42 |
| შიბენიკი | 30 | 11 | 8 | 11 | 35:30 | 41 |
| ოსიეკი | 30 | 12 | 5 | 13 | 40:38 | 41 |
| მლადოსტ 127 | 30 | 10 | 10 | 10 | 37:36 | 40 |
| ზადარკომერცი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:45 | 40 |
| სეგესტა (სისაკი) | 30 | 9 | 12 | 9 | 35:34 | 39 |
| მარსონია | 30 | 11 | 5 | 14 | 37:50 | 38 |
| ციბალია (ვინკოვცი) | 30 | 11 | 0 | 19 | 35:56 | 33 |
| ორიენტი (რიეკა) | 30 | 5 | 11 | 14 | 28:53 | 26 |
| ისტრა (პულა) | 30 | 6 | 7 | 17 | 25:54 | 25 |
| ინკერი (ზაპრეშიჩი) | 30 | 6 | 3 | 21 | 22:65 | 21 |

თასის ფინალი

კროაცია — ზაგრები 2:1

## სლოვაკეთი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოშიცე | 30 | 21 | 7 | 2 | 61:19 | 70 |
| სპარტაკი (ტრნავა) | 30 | 21 | 6 | 3 | 66:24 | 69 |
| სლოვანი (ბრატისლავა) | 30 | 15 | 5 | 10 | 49:33 | 50 |
| ინტერი (ბრატისლავა) | 30 | 13 | 9 | 8 | 38:35 | 48 |
| დუკლა (ბ. ბისტრიცა) | 30 | 13 | 5 | 12 | 48:37 | 44 |
| ტატრანი (პრეშოვი) | 30 | 12 | 7 | 11 | 37:38 | 43 |
| ბარდეიოვი | 30 | 11 | 7 | 12 | 34:36 | 40 |
| პეტრიმექსი (პრივიძა) | 30 | 10 | 7 | 13 | 41:43 | 37 |
| ჟილინა | 30 | 11 | 4 | 15 | 30:34 | 37 |
| ლოკომოტივი (კოშიცე) | 30 | 8 | 13 | 9 | 27:31 | 37 |
| ხემლონი (ჰუმენე) | 30 | 11 | 3 | 16 | 34:44 | 36 |
| რიმავსკა სობოტა | 30 | 11 | 3 | 16 | 31:46 | 36 |
| არტმედია (ბრატისლავა) | 30 | 9 | 8 | 13 | 29:49 | 35 |
| დუნაისკა სტრედა | 30 | 9 | 7 | 14 | 29:45 | 34 |
| კერამეტალი | 30 | 8 | 8 | 14 | 28:43 | 32 |
| ნიტრა | 30 | 5 | 5 | 20 | 22:48 | 20 |

თასის ფინალი

სლოვანი — ტატრანი 1:0

## ფინეთი

1996 სეზონის საბოლოო ცხრილი

ფინალური ეტაპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იარო (იაკობსტადი) | 22 | 11 | 4 | 7 | 29:17 | 37 |
| ჯაზი (პორი) | 22 | 10 | 7 | 5 | 40:29 | 37 |
| ტურკუ | 22 | 11 | 4 | 7 | 31:29 | 37 |
| ფინპა (ჰელსინკი) | 22 | 9 | 8 | 5 | 27:20 | 35 |
| ინტერი (ტურკუ) | 22 | 10 | 5 | 7 | 24:20 | 35 |
| მიუპა (ანიალანკოსკი) | 22 | 10 | 3 | 9 | 39:32 | 33 |
| ვპს (ვაასა) | 22 | 8 | 5 | 9 | 22:20 | 29 |
| ჰიკ (ჰელსინკი) | 22 | 8 | 4 | 10 | 26:30 | 28 |
| როვანიემი | 22 | 7 | 6 | 9 | 22:23 | 27 |
| ილვესი (ტამპერე) | 22 | 7 | 6 | 9 | 22:30 | 27 |
| ჰაკა (ვალკეაკოსკი) | 22 | 6 | 6 | 10 | 28:34 | 24 |
| მიკელინი | 22 | 4 | 4 | 14 | 12:38 | 16 |
| **ფინალური ეტაპი** | | | | | | |
| ჯაზი | 27 | 13 | 8 | 6 | 47:33 | 47 |
| მიუპა | 27 | 14 | 3 | 10 | 48:38 | 45 |
| ტურკუ | 27 | 13 | 5 | 9 | 40:35 | 44 |
| ფინპა | 27 | 11 | 9 | 7 | 32:25 | 42 |
| იარო | 27 | 11 | 6 | 10 | 34:25 | 39 |
| ინტერი | 27 | 11 | 6 | 10 | 28:30 | 39 |
| **გასავარდნთა ფინალური ეტაპი** | | | | | | |
| ვპს | 27 | 12 | 5 | 10 | 33:25 | 41 |
| როვანიემი | 27 | 11 | 6 | 10 | 35:29 | 39 |
| ჰიკ | 27 | 11 | 5 | 11 | 36:37 | 38 |
| ილვესი | 27 | 8 | 6 | 13 | 26:43 | 30 |
| ჰაკა | 27 | 7 | 6 | 14 | 35:42 | 27 |
| მიკელინი | 27 | 5 | 5 | 17 | 18:50 | 20 |

საუკეთესო ბომბარდირი

ლუის ანტონიო (ჯაზი) 17

თასის ფინალი

ჰიკ — ტურკუ 0:0 (პ 4:3)

## უელსი

1996-97 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბერი თაუნი | 40 | 33 | 6 | 1 | 129:26 | 105 |
| ინტერი (კარდიფი) | 40 | 26 | 6 | 8 | 80:32 | 84 |
| ებიუ ველი | 40 | 23 | 9 | 8 | 87:40 | 78 |
| კერნარფონ თაუნი | 40 | 23 | 9 | 8 | 81:58 | 78 |
| ნიუტონი | 40 | 22 | 5 | 13 | 74:49 | 71 |
| ლანსანტფრეიდი | 40 | 19 | 12 | 9 | 78:54 | 69 |
| ქონვი იუნაიტედი | 40 | 20 | 8 | 12 | 66:44 | 68 |
| ბანგორ სიტი | 40 | 20 | 5 | 15 | 82:62 | 65 |
| ქვიმბრან თაუნი | 40 | 19 | 8 | 13 | 71:61 | 65 |
| პორთმადოგი | 40 | 18 | 8 | 14 | 64:60 | 62 |
| კონაჰს ქუი | 40 | 16 | 9 | 15 | 62:64 | 57 |
| ქამეს ბეი | 40 | 13 | 10 | 17 | 62:72 | 49 |
| ებერისტვისი | 40 | 13 | 8 | 19 | 67:82 | 47 |
| კერსუსი | 40 | 11 | 9 | 20 | 53:77 | 42 |
| ფლინტ თაუნი | 40 | 11 | 8 | 21 | 53:76 | 41 |
| კარმარსენ თაუნი | 40 | 11 | 7 | 22 | 48:79 | 40 |
| ველშპული | 40 | 10 | 9 | 21 | 50:80 | 39 |
| ტონ პენტრე | 40 | 12 | 3 | 25 | 59:99 | 39 |
| რილი | 40 | 10 | 8 | 22 | 51:71 | 38 |
| ჰალივილ თაუნი | 40 | 7 | 8 | 25 | 52:81 | 29 |
| ბრაიტონ ფერი | 40 | 5 | 1 | 34 | 39:129 | 16 |

საუკეთესო ბომბარდირი

ტონი ბირდი (ბერი თაუნი) 45

თასის ფინალი

ბერი თაუნი — ქვიმბრან თაუნი 2:1

# ზღაპარი ღირსების გრძნობაზე

პატარა ქალაქის უმაღლესლიგელობით ქართველებს კაცი ვერ გაგვაკვირვებს — ჩვენი არ იყო ლანჩხუთის „გურია“, სამასმილიონიანი ქვეყნის უმაღლეს ლიგაში რომ გამოდიოდა? მართალია, მეტი რომ არ ვთქვათ, მთლიანად ძირძველი ლანჩხუთელებით არ ყოფილა დაკომპლექტებული, თანაც, არც ვარსკვლავები მოუწყვეტია თუგინდ კრემლის თავიდან, მაგრამ მაინც. რაც კარგები ვართ, რა თქმა უნდა, ქართველები ვართ, მაგრამ რაღაც ამგვარი სხვა ქვეყნებშიც ხდება ხოლმე — მაგალითად, ბელგიის 50-ათასიან მუსკრონში.

ყველაფერი ათიოდე წლის წინ დაიწყო. მაშ ასე, იყო და არა იყო რა, იყო მუსკრონის მერი — პიერ დეტრმერი. ერთ-ერთი საქმიანი მოგზაურობის დროს იგი მავან ესპანელს შეხვდა და ამაოდ ცდილობდა მისთვის აეხსნა, სად მდებარეობდა მისი მშობლიური ქალაქი. ესპანელს უკითხავს, ბევერენის ახლოს ხომ არა ხართ, მანდ ევროთასების თამაშებზე ვარ ნამყოფიო. დეტრმერისთვის ვაშლი არავის ჩაურტყამს თავში, მაგრამ გენიალურმა იდეამ მაინც შეაწუხა — ფეხბურთს შეეძლო არაფრით გამორჩეული მისი ქალაქი ყველასთვის ცნობილად ექცია.



პატარა მუსკრონის პატარა სარბიელი

მუსკრონის „ექსელსიორი“ მაშინ ქვეყნის მე-3 ლიგაში ასპარეზობდა და დიდი საფეხბურთო მიღწევებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა. მერის წამოწყებას გუნდის გაძლიერების შესახებ სხვებმაც დაუჭირეს მხარი და აღმასვლაც დაიწყო, თუმცა, 93-94 და 94-95 წლებში უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი ფინალური მატჩები „ექსელსიორმა“ დათმო. მაშინ მუსკრონელებმა დასახმარებლად ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტს ჟორჟ ლეეკენსს მიმართეს. დიდი თანხები გუნდს არ გააჩნდა, ამიტომ ახალ მთავარ მწვრთნელს არსებულის მაქსიმალურად გამოყენება სთხოვეს. კონტრაქტი 5 წლით დაიდო, რომელთაგან პირველ ორში „ექსელსიორს“ უმაღლეს ლიგაში გადასვლა უნდა მოეხერხებინა.

ლეეკენსმა საქმეს საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი და 95-96 წლების სეზონში გუნდი კვლავ ზემო ლიგაში გადასასვლელ ფინალამდე მიიყვანა. მესამე მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა: მუსკრონმა მეზობელ „კურტრეს“ 2:1 მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან აგებდა. მეტოქეთა რიგებში თავი ლოკონდა მპენზამ გამოიჩინა. წარმატება ქალაქის მერიის შენობასთან დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს და ახალი სეზონისთვის მზადებაც დაიწყეს. „ექსელსიორის“ წლიური ბიუჯეტი სულ 80 მილიონ ბელგიურ ფრანკს (2,5 მილიონი დოლარი) შეადგენდა და ვეა-რონალდოების გადმობირებაზე ქალაქს არც უოცნებია. ლეეკენსს მეზობელი ქალაქის გუნდის თავდამსხმელები — შავკანიანი ძმები ლოკონდა და მბო მპენზები მოეწონა და თავისთან გადმოიყვანა. კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო შენაძენიც და მუსკრონში დიდი ამბებისთვის მოემზადნენ.

ახალი ჩემპიონატი დაიწყო და უცნობმა გუნდმა ზედიზედ დაამარცხა სახელოვანი და გამოცდილი მეტოქეები. ყველას ეგონა, რომ ახალგამომცხვარი ლიდერი სწრაფად ჩაყვინთავდა სატურნირო ცხრილში, მაგრამ ჩემპიონატის ნახევარზე მეტი გავიდა და ახალბედები სულაც არ აპირებდნენ პოზიციების დათმობას. მუსკრონის ფენომენზეც სწორედ მაშინ დაიწყეს სერიოზული ლაპარაკი.

უჩვეულო შედეგების მისაღწევად ლეეკენსს რევოლუციური არაფერი გაუკეთებია. გუნდი კლასიკური 4+4+2 სისტემით თამაშობს, უბრალოდ, მეტ ყურადღებას და ძალას ახმარენ მეტოქისთვის ბურთისართმევას. თავდასხმაში ყველაფერს იმპროვიზაციაზე აგებენ. მოკლედ, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ბელგიისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა.

რაც შეეხება გუნდის შემადგენლობას, ადგილობრივი მოთამაშეებით ვერც მუსკრონში დაიკვეხნიან. მთავარ მწვრთნელს „ექსელსიორში“ მოჰყვა ადრე თავდამსხმელი, ახლა კი ლიბეროს ფუნქციის შემსრულებელი სერბი გორან ვიდოვიჩი, რომელსაც ხუთწლიანი კონტრაქტი დაუდეს. ვიდოვიჩის ჩათვლით გუნდში ოთხი ექს-იუგოსლაველი მოთამაშეა: ხუთი სერბი და ერთი ხორვატი. ზოგიერთი მათგანის აღმოჩენაში „ექსელსიორის“ სელექციონერს ვილი ფერჰუსტს კოლუმბზე ნაკლები ჯაფა არ დასდგომია: ხორვატი დამირ ლესაკი ისრაელში გამოძებნა, ნენად ნონკოვიჩი კი სულაც სამხრეთ კორეაში. გუნდის ყოჩები ნიჭიერი ზაირული წარმოშობის თავდამსხმელი ძმები მპენზები არიან. მბო ცენტრფორვარდია, ლოკონდა კი უკან დახეული თავდამსხმელი. ნახევარდაცვის ბურჯად გუნდის კაპიტანი ფრანგი დომინიკ ლემუანი ითვლება.

„ექსელსიორის“ წარმატება სპორტის ფარგლებს კარგა ხანია გასცდა. „ქალაქში, რომელსაც ძალიან დაეტყო მსუბუქი მრეწველობის კრიზისი, ფეხბურთი ხალხს აძლევს იშვიათ შესაძლებლობას, ერთად იზეიმონ, ის მათ საკუთარი ღირსების გრძნობას აღუდგენს, რაც უმუშევრობისა და ფინანსური სირთულეების გამო ბევრს დაკარგული აქვს“ — ამბობს „მოლენბეკის“ ყოფილი მოთამაშე ჟილბერ ლიბონი, „ექსელსიორის“ გულშემატკივართა პირველი კლუბის დამაარსებელი. თავიანთი გუნდის წარმატებით მუსკრონში რევანშს იღებენ ბრიუსელზე, ბრიუგეზე და მეზობელ ფლანდრიის სხვა დიდ ქალაქებზე. „ექსელსიორი“ არა მარტო თავასი მშობლიური ქალაქის, არამედ მთელი რეგიონის სიმბოლოდ იქცა და მას უკვე მრავალრიცხოვან ფანთა არმია ჰყავს ქვეყანაში. შეიქმნა გუნდის გულშემატკივართა 22 კლუბი, მათ შორის ერთი საფრანგეთში. ისინი ფეხბურთელებს გასვლით თამაშებზე დაჰყვებიან და მხარდაჭერის გარეშე არსად ტოვებენ. „ანდერლეხტთან“ მატჩზე ბრიუსელისკენ გულშემატკივართა 54 ავტობუსი გაემართა, რაც ბელგიისთვის სარეკორდო რაოდენობა ყოფილა.




თანაც ამდენ ხალხს მრავლისგან ნაგვემი „ასტრიდის“ სტადიონისთვის ერთი ფრანკის ზარალიც კი არ მიუყენებია, რისთვისაც მუსკრონში მადლობის წერილიც კი გააგზავნეს.

აი, საკუთარი ასპარეზი კი „ექსელსიორს“ მაინცდამაინც არ უვარგა. „კანონიერად“ წოდებული მომხიბლავი პატარა სტადიონი 9000 კაცს იტევს და თითოეულ მატჩზე პირთამდე ივსება. თუმცა, ჯერჯერობით უეფას სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და ევროთასებზე თამაში გუნდს შეიძლება სადმე სხვაგან მოუწიოს. შარშან აქ ერთი ტრიბუნა მიუმატეს და განსაახლებელი სამუშაოები კვლავაც მიმდინარეობს, მაგრამ დროულად მოესწრება თუ არა, ჯერ გაურკვეველია.

„საქმე ისაა, რომ წარმატება ძალზე დიდი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ კლუბმა ნორმალური ზრდის პროცესი გააგრძელოს. ჩვენ ვცდილობთ ეფექტური საშუალებები გამოვძებნოთ, რათა გუნდი საკუთარი წინსვლის მსხვერპლი არ გახდეს“ — აღიარებს გუნდის ერთ-ერთი თავკაცი ფილიპ ვერბეკი, თან სასწრაფოდ დასძენს: „არ გეგონოთ, რომ იმაზე, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, არ ვოცნებობდით, მაგრამ ყველაფერი გათვალისწინებულზე გაცილებით სწრაფად მოხდა. ჩვენ დიდი კლუბების შემდგომ ადგილების დაკავებას ველოდით, რათა ევროთასებზე გამოსვლის უფლება მოგვეპოვებინა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას სულაც არ ვაპირებდით.“

როგორც იტყვიან, ყველაფერი მეტისმეტად კარგად მიდიოდა საიმისოდ, რომ ასევე გაგრძელებულიყო. ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების წარუმატებელ გამოსვლათა გამოსასწორებლად სწორედ მუსკრონის მწვრთნელი და სულისჩამდგმელი აირჩია. ჟორჟ ლეეკენსმა ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ვილფრედ ვან მოერი შეცვალა და პატარა სასწაული იქაც მოახდინა: ბელგია თვის შესარჩევ ჯგუფში უკვე მყარად ინარჩუნებს მეორე ადგილს და გაისად მეზობელ საფრანგეთში მოხვედრის დიდი შანსი აქვს. ლეეკენსმა არც ექსელსიორელები დაივიწყა და ზოგიერთს თავის ახალ გუნდშიც მიუჩინა ადგილი. მუსკრონში მთავარი მწვრთენლის წასვლაზე გული ძალიან კი დასწყდათ, მაგრამ ამაში თავიანთ დამსახურების აღიარებაც დაინახეს, თანაც ისიც ახსოვდათ, რომ ორ წელზე მეტხანს ლეეკენსი არც ერთ კლუბში არ გაჩერებულა.

მთავარი მწვრთნელის პოსტი მისმა თანაშემწემ უილ ვანდენბრუკმა გადაიბარა. ერთი ხანობა ინერციით გუნდი კიდევ მიიწევდა წინ, მაგრამ მერე და მერე შედეგებმა იკლო და მუსკრონელებს ბელგიური ფეხბურთის გიგანტებმა — „ლიერსმა“ და „ბრიუგემ“ გაუსწრეს. რა თქმა უნდა, ახალბედა გუნდისთვის მესამე ადგილიც სახარბიელო შედეგია და მუსკრონის მერიის შენობასთან წინანდელზე დიდი ღრეობაც მოეწყო, მაგრამ ოქროს ხომ მაინც სულ სხვა გემო აქვს...

**გიგა ძოგახიძე**

# მპენზათა გაქცევა

ლოკონდა და მბო მპენზები „ექსელსიორის“ ყველაზე პოპულარული მოთამაშეები იყვნენ. ისინი ადგილობრივ გულშემატკივართა კერპებად იქცნენ და ნამცეცა ქალაქიც სწორედ მათზე ამყარებდა დიდ იმედებს ევროთასებზე გამოსვლებში. ბელგიის ჩემონატის ბოლოსწინა ტურში რეზო არველაძის „მეხელენისთვის“ გატანილი 4 გოლიდან ორი ლოკონდას ანგარიშზე იყო და ერთიც მბოსი. სრულიად მოულოდნელად, უკანასნელი მატჩის წინ გუნდის ხელმძღვანელობამ მათგან უარი მიიღო „კანონირის“ სტადიონზე თამაშზე. ძმებმა ლიეჟის „სტანდარდთან“ მოაწერეს ხელი კონტრაქტს, ისე, რომ მუსკრონის კლუბს არც შეთანხმებიან. ამისი შესაძ-



ლებლობა მპენზებს ბელგიის გაურკვეველმა საფეხბურთო კანონებმა და გაქნილმა ადვოკატმა ჟან ლუკ მისონმა მისცა. მისონი ის კაცია, ბოსმანს რომ იცავდა როველუციურ პროცესზე, ფეხბურთელების გათავისუფლება და კლუბების გულისწყრომა რომ მოყვა.

საქმე ისაა, რომ მუსკრონის მწვრთნელმა ჟორჟ ლეეკენსმა ძმები ტრანსფერების პერიოდში გადმოიყვანა თავის გუნდში. კონტრაქტი ერთი წლით ქირაობას ითვალისწინებდა სულ 50 ათასამდე დოლარის ღირებულებისა იყო. 1997 წლის 30 ივნისს, ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ფეხბურთელები თავის ძველ გუნდს — „კურტრეს“ უნდა დაბრუნებოდნენ. ამ კლუბის ხელმძღვანელებმა კი ძმები კონტრაქტის დადების მაგივრად, სატრანსფერო სიაში შეიყვანეს, რითაც ამათ ავტომატურად მიანიჭეს მოყვარულის სტატუსი. მპენზებს 50 ათასზე ნაკლებ ფასად ნებისმიერ გუნდში გადასვლის უფლება მიეცათ. სრული თავისუფლების მისაღწევად მისონმა კიდევ ერთი ძველი წესი გამოიყენა. მან „ექსელსიორს“ 1978 წლის კანონზე დაფუძნებული ურთიერთობის გაწყვეტის წერილი გაუგზავნა. იგი უფლებას აძლევს მოთამაშეებს ცალმხრივად გაწყვიტონ თავის ძველ გუნდთან კონტრაქტი, თუ 6 თვის ჰონორარს გადაუხდიან.

მუსკრონელები მიხვდნენ, რომ უკაპიკოდ კარგავდნენ თავიანთ საუკეთესო ფეხბურთელებს, მაგრამ ნაგვიანევად. მათ ძმებთან 5-წლიანი კონტრაქტზე ჰქონდათ ხელი მოწერილი, მაგრამ მისი ფედერაციისთვის წარდგენა მერ[illegible]ლა გაახსენდათ და იქ უარი მიიღეს. არადა, ქალაქის მერი ჟან პიერ დეტრმერი [illegible] იქადოდა, მპენზებს არანაირ [illegible] არ გაუყიდით [illegible] წავართმევენ [illegible] წაართმევს კიდეც.

მპენზებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო. 65 ევროპული გუნდის წარმომადგენელმა გამოთქვა მათი შეძენის სურვილი. თამაშს კი ძმების მამა არსენი ეწეოდა. კოლოსალური თანხებით დაბნეული უფროსი მპენზა ხან ერთ კლუბს აძლევდა თანხმობას, ხან მეორეს, აურზაური ძმების გარშემო კი არ წყდებოდა. „სულაც არ მინდა, ფეხბურთმა მიმსხვერპლოს“ — ამბობს როზალი, ოჯახის დედა — „ცოტა ხნის წინ იტალიაში გავემგზავრეთ, დასვენებას ვაპირებდით. გენუაში ჩავედით თუ არა, ჟურნალისტების ჯარი მოგვვარდა და ასეა ყოველთვის, ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ გვაძლევენ. მოგვეცით ცხოვრების შესაძლებლობა! ჩემი შვილები მუდმივად ზეწოლის ქვეშ გრძნობენ თავს. რითი დავიმსახურეთ ეს?!“

„სტანდარდთან“ მოლაპარაკებები სამი კვირა გრძელდებოდა სრულიად საიდუმლო ვითარებაში. მპენზებმა ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი, მაგრამ თუ ასევე კარგად გააგრძელებენ თამაშს, იქ მხოლოდ 2 წელს დარჩებიან და მერე „ლაციოში“ გადავლენ, რომლის პატრონიც „სტანდარდის“ კომერციული პარტნიორია. ასე რომ, გაბურდული საქმე ახალი კლუბისა და ახლგაზრდა ტალანტებისათვის ბედნიერად დასრულდა, თუმცა უთანხმოებანი სრულად ჯერაც არ მოგვარებულა — მუსკრონში სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ. „სტანდარდი“ ახლა მათთან აწარმოებს მოლაპარაკებას მისაღები ანაზღაურების შესახებ და „ექსელსიორსაც“ რაღა დარჩენია, თანხმობის გარდა. რას იზამ... მგელი უნდა იყო, მგელი.

**გაიოზ ბერიძე**



ლოკონდა მპენზა — აღიარებული დრიბლიორი

# ყველას თავისი გასჭირვებია



ბუნდესლიგის იტალიელი მწვრთნელები ტრაპატონი და სკალა

*ეტყობა, ბუნდესლიგაში უცხოელი მწვრთნელების მომრავლებამ აალელვა ჩვენი კოლეგები „შპორტ-ბილდიდან“. „მართლაც ასე ცუდები არიან გერმანელი მწვრთნელები, რომ მშობლიურ კლუბებში აღარ იწვევენ?“ — წუხან ჟურნალისტები.*

ბუნდესლიგა გერმანელი მწვრთნელების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ ფაქტია: ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნს“ იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი წვრთნის, ჩემპიონთა თასის გამარჯვებულ დორტმუნდის „ბორუსიას“ — მისი თანამემამულე ნევიო სკალა, უეფას თასის მფლობელ „შალკე 04“-ს კი — ჰოლანდიელი ჰუუბ სტევენსი.

ისეთ ძლიერ კლუბებს, როგორიც ლევერკუზენის „ბაიერი“ და „შტუტგარტია“, გერმანელი მწვრთნელები რომ შემორჩა, ნამდვილად შემთხვევითობაა, რადგან ორივე კლუბის თავკაცობას უცხოელის, კერძოდ, სკალას გადმობირება სურდა.

ტუნწმა შვაბებმა მოიმიზეზეს, იტალიელი მაღალ ანაზღაურებას ითხოვსო. შტუტგარტელთა მენეჯერმა მანფრედ შეფერმა ასკონაში საუბრის შემდეგ განაცხადა: „თანხები საოცრად დიდია, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ იტალიელები გასამრჯელოს არ ჯერდებიან და დამატებითი საპრემიო ფულიც სურთ“. ასე იქცა მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ლიოვი მთავარ მწვრთნელად, დამხმარედ კი შვეიცარიაში მოღვაწე ავსტრიელი როლფ ფრინგერი იახლა.

ლევერკუზენელთა მენეჯერ რაინერ კალმუნდს, უბრალოდ, შეეშინდა: „სკალა იტალიელია და ამიტომ მომთხოვნიცაა. იტალიელი ფეხბურთელები პროფესიონალები არიან. გერმანელები ნაკლებად. რაიმე უხერხული სიტუაცია რომ არ შეიქმნას, არჩევანი კრისტოფ დაუმზე შევაჩერეთ“.

დორტმუნდის „ბორუსიაში“ სულ სხვა ვითარებაა. შვიდი წამყვანი ფეხბურთელი იტალიაში თამაშობდა — სოუზა, ჟულიო სეზარი, კოლერი, როიტერი, მიოლერი, რიდლე, ზამერი. მულდერს, დე კოკს, ვან ჰოოგდალემსა და ბელგიელ ვილმოტსაც არ გაუჭირდებათ „შალკეში“ ჰოლანდიურ ყაიდაზე მორგება. მიუნხენის „ბაიერნში“ ტრაპატონის დაბრუნებით ფეხბურთელებმა ერთობ გაიხარეს, რადგან ოტო რეჰაგელის ერთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მონოტონური ცხრაცხრაზე თამაში ყველას ყელში ამოუვიდა. საინტერესო იდეებით სავსე იტალიელი მწვრთნელის ენობრივი პრობლემა ფეხბურთელებმა გულთან ახლოს მიიტანეს და ყველანაირად შეუწყვეს ხელი.

ბუნდესლიგაში ახალმა ნიავმა დაბერა, რომელმაც გერმანელებს თავსატეხი გაუჩინა. ჯერ კიდევ შარშან თქვა ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა, უცხოელი მწვრთნელები ბუნდესლიგაში განსხვავებულ სტილსა და იდეებს დანერგავენო. ფოგტსს მხოლოდ ეს როდი აღელვებს, მისი აზრით, უცხოელთა მომრავლება ახალგაზრდა გერმანელი მწვრთნელების ზრდას შეაფერხებს, ამიტომაც შეიპირა ვეტერანი ფეხბურთელები მათეუსი, ბრემე, მიოლერი, ზამერი, ბუხვალდი და ტონი იმაში, რომ ისინი 1999 წელს დაჩქარებული მეთოდით გაივლიან კურსებს და ორთვენახევარში ბუნდესლიგის მწვრთნელის მოწმობას აიღებენ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ესენი, 700 ლიცენზირებული მწვრთნელივით, უმუშევარნი არ დარჩებიან და ტოტო-ლოტოს მაღაზიის ზედამხედველად ან ბენზინგასამართ სადგურზე მომსახურე პერსონალად არ მოგვევლინებიან. არც ფიჯისა და ნეპალში გადაიხვეწებიან გერმანელი ბიჭების ნაცვლად რომ გადამთიელებს ასწავლონ ფეხბურთის თამაში.

„როცა ტრაპატონის ან სკალას დარი დიდი მწვრთნელები ჩვენთან ჩამოდიან, უდავოდ მისასალმებელია. აი, ცუდი ის იქნებოდა, გერმანიაში სხვა ქვეყნის მწვრთნელები მხოლოდ იმიტომ მიეწვიათ, რომ უცხოელები არიან“ — თვლის გერმანიის ფეხბურთის მასწავლებელთა კავშირის პრეზიდენტი კლაუს როილგენი.

გულს იძლა გვიმშვიდებს, რომ გერმანელი მწვრთნელები მთლად წყალწაღებულნი არ არიან — იუპ ჰაინკესი მადრიდის „რეალს“ უდგას სათავეში, თუმცა საკითხავია, შეძლებს კი ჰაინკესი წარმატების მიღწევას? გერმანელ მწვრთნელებს ხომ საოცრად არ უმართლებდათ უცხოურ კლუბებში.

**ჯაბა ჩართოლანი**

# ოთხი ქართველი დიდი ძალაა

შარშან, სხვა სპორტსმენების დარად, ჩვენს ხელბურთშიც გაჩნდნენ ლეგიონერები და ხუთმა მათგანმა სეზონი უცხოეთში გაატარა. მათგან ოთხი ერთ გუნდში — მაკედონიის ქალაქ სკოპიეს „ვარდარ-ვატროსტალნაში" ასპარეზობდა. ახლახან ერთი მათგანი ირაკლი კეკელიძე თბილისს დაბრუნდა და სწორედ მას ვესაუბრეთ:



ირაკლი კეკელიძე ჩვეულ ამპლუაში: წამიც და გოლია!

**— რა დონისაა მაკედონიური ხელბურთი?**

— საკმაოდ მაღალი. მაკედონია ხომ იუგოსლავიის ნაწილი იყო, იუგები კი რა დონის ხელბურთს თამაშობენ, ყველას კარგად მოეხსენება. მაკედონიის გუნდები სისტემატურად გამოდიან ევროთასებზე: 95-ში „პელისტერი" თასების თასის ნახევარფინალში გავიდა და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა გერმანიის „ლემგოსთან". 96-ში „მლადოსტი" მეოთხედფინალამდე მივიდა იმავე თასზე. მოკლედ, მაკედონიის გუნდები სისტემატურად ხვდებიან ევროპის საუკეთესოებში.

**— ჩემპიონატში რამდენი გუნდი გამოდის?**

— ჩემპიონატში 8 გუნდია. ჩვენმა გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

**— სამაგიეროდ, თასი აიღეთ...**

— გუნდის ხელმძღვანელობამ ან ოთხეულში მოხვედრა დაგვისახა მიზნად, ან თასის აღება. მოკლედ, ევროტურნირებში აუცილებლად უნდა მოვხვედრილიყავით. მეოთხე ადგილს ვერ შევწვდით და მთელი ძალები მაკედონიის თასის მოგებას მოვახმარეთ. ნახევარფინალში „პელისტერს" 26:22 მოვუგეთ, ფინალში კი ჩემპიონი „იაფა" 24:18 დავამარცხეთ.

**— ფინალის ანგარიშიდან ჩანს, არ გაგჭირვებიათ.**

— მთლად ასეც არ იყო. რაც უნდა იყოს, ჩემპიონს ვეთამაშეთ, მაგრამ თავიდანვე უპირატესობა ჩვენი იყო და ბოლომდეც შევინარჩუნეთ.

**— თქვენ როგორ ითამაშეთ?**

— თავად განსაჯეთ — ფინალში 24 გოლიდან 23 ჩვენ — ოთხმა ქართველმა გავიტანეთ.

**— ჩანს, „ვატროსტალნაში" ლიდერები ხართ.**

— ასეც არის. შარშანდელ შემოდგომას გუნდში ტიტე კალანდაძე და გარი თურქია რომ მივიდნენ, უმალ ლიდერებად იქცნენ. იანვარში მათ მე და ალეკო ბოყოჩაძე შევუერთდით და ოთხივე ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდით. სამწუხაროდ, ჩემპიონატში ოთხივე ერთად ვერ გამოვდით, რადგან, როცა მე და ბოყოჩაძე ჩავედით, თურქია ფინელებთან საქართველოს ნაკრების შეხვედრისას მიღებული მძიმე ტრავმის გამო არ თამაშობდა. თასზე კი ყველამ ვითამაშეთ.

**— გარი ბოლომდე გამოჯანმრთელდა თუ...**

— თამაშებმა დაგვანახა, რომ ასეა. მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალიც მან შშვენივრად ითამაშა.

**— რამდენად პოპულარულია ხელბურთი მაკედონიაში, მაყურებელი თუ გყავთ საკმაო?**

— თამაშები ყოველ შაბათს იმართება და 3-4 ათასი მაყურებელი ყოველთვის ესწრება, ნაკრებისა და საერთაშორისო საკლუბო მატჩებზე კი 8-10 ათასამდე მოდიან. „ვატროსტალნას" ხელმძღვანელობას გულშემატკივრების გარკვეულ ჯგუფთან კონტრაქტი აქვს დადებული — კლუბი მათ ფულს უხდის და ეს გულშემატკივრები გუნდის ყველა თამაშს ესწრებიან შინ თუ გარეთ.

**— ასეთი შესაძლებლობები გააჩნია კლუბს?**

— „ვატროსტალნას" პატრონი რამდენიმე ქარხანას ფლობს, ამიტომ საკმაოდ შეძლებული კლუბია. როცა გუნდი შეიძინა, ადრინდელ ერთ სახელს მეორეც მიუმატა და ამიტომაც ეწოდება კლუბს „ვარდარ-ვატროსტალნა".

**— ბუნებრივია, პირობებიც კარგი გექნებოდათ?**

— ნორმალური. ორჯერადი ვარჯიში დღეში და ორჯერადი კვება კლუბის ხარჯზე. საცხოვრებლადაც თვითონ შემოგვთავაზეს რამდენიმე ბინა, რომლებშიც ორ-ორს უნდა გვეცხოვრა. ტიტე და ალიკო ერთ ბინაში იყვნენ, მე და გარი მეორეში. ხელფასი 500 დოლარი გვქონდა, თითოეულ მოგებულ მატჩზე პრემიებსაც გვაძლევდნენ.

**— საპრემიო თანხა როგორია?**

— გააჩნია. ლიდერთან მოგება მეტი ღირდა, აუტსაიდერებთან ნაკლები, შინ ნაკლები, გასვლაზე მეტი და ასე შემდეგ. საპრემიო თანხა მთლიანად გუნდს ეძლევა და მერე მწვრთნელები ანაწილებენ.

**— რა პრინციპით ხელმძღვანელობს მწვრთნელი პრემიების განაწილებისას?**

— ყოველ თამაშში გვეწერებოდა შეფასება 1-დან 5 ბალამდე. სწორედ ამის მიხედვით ნაწილდება საპრემიო თანხა. თასზე ერთი საერთო, რა თქმა უნდა, უფრო დიდი პრემია მოგვცეს გამარჯვებისთვის.

**— თქვენ ოთხივენი ერთ გუნდში იყავით და ამიტომ არ გაგიჭირდებოდათ უცხოობაში.**

— ასეც იყო — ოთხი ხომ მთელი კომპანიაა. ვფიქრობ, მარტო რომ ვყოფილიყავი, მართლა გამიჭირდებოდა.

**— გუნდის ლიდერები თქვენ იყავით, თასის ფინალში 24-დან 23 გოლიც გაიტანეთ, დანარჩენი რა დონის მოთამაშეები იყვნენ?**

— სამი მაკედონიის ეროვნული გუნდის წევრია, ორიც ახალგაზრდულის.

**— მიუხედავად ამისა, ძირითადში კონკურენტები არ გყავდათ?**

— საქმე ისაა, რომ ჩვენ ძალზე შეთამაშებული ვართ, რამდენი ხანია, ერთად ვამოვდივართ, თანაც, რომ ვთქვათ, ნაკრების წევრები არიან-მეთქი, ნაკრებში ხომ ერთდროულად 20 ხელბურთელია, ვინ უკეთესი, ვინ უარესი.

**— თქვენი კონტრაქტი რამდენწლიანია?**

— მე უკვე წამოვედი. საამისოდ გარკვეული მიზეზი მქონდა. ტიტემ, ალეკომ და გარიმ კიდევ ერთი წლით გააგრძელეს კონტრაქტი. გაისად ხომ „ვარდარ-ვატროსტალნა" ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამოვა.

**— რა მოგცათ მაკედონიაში გატარებულმა სეზონმა?**

— დიდი პრაქტიკა იყო. ვერ ვიტყვი, რომ აქ ნაკლებად ვვარჯიშობდი, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა იქ გაცილებით დიდი მივიღე — იქ ხომ ყოველ შაბათს ვთამაშობდით.

თან უფრო დამოუკიდებელნიც გავხდით. ჩვენთან ვარჯიშები მწვრთნელის თვალყურით ტარდება, იქ კი დამოუკიდებელი ხარ, მწვრთნელისთვის მთავარი ისაა, თამაშის დღეს იყო ფორმაში, როგორ მოემზადები, ეს შენი საქმეა. არ იქნები ფორმაში და ძირითადში ადგილს დაკარგავ.

**— საქართველოს ნაკრებმა წელს რამდენჯერმე კარგად ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ნაკრების კლასი ამაღლდა?**

— რა თქმა უნდა. საკმაო გამოცდილება შევიძინეთ. თანაც შარშან ერთბაშად ხუთნი გავხდით ლეგიონერები.

**— კიდევ თუ მიდიან ბიჭები?**

— ეს ამ ზაფხულს გადაწყდება. ჯერჯერობით ლეგიონერად სამი დარჩა — კალანდაძე, ბოყოჩაძე და თურქია, რადგან ჩემს გარდა ლევან გელაშვილიც დაბრუნდა საბერძნეთიდან — კონტრაქტი დაუმთავრდა.

**— ახლა რას აპირებთ?**

— არის შანსი, რომ სხვა ქვეყანაში, შესაძლოა, პოლონეთში ვითამაშო. თუ არ გამოვა, წელს სტუ-შევარდენში დავრჩები, მერე კი ვნახოთ.

**— ჩვენს ნაკრებს თუ აქვს შესაძლებლობა რომ კიდევ მოუმატოს თამაშს?**

— რა თქმა უნდა, აქვს. თუ ჩვენს ახალგაზრდა ხელბურთელებსაც მიეცათ გამოცდილების მიღების საშუალება, ნაკრები გაცილებით ძლიერი გვეყოლება.

**ილია მხეიძე**



# ქორწილი ბატუტზე

*მას შემდეგ, რაც საქართველოში ცხოვრება აირია და ქვეყანაში სიდუხჭირემ მოიკიდა ფეხი, მრავალმა ცნობილმა ჩვენებურმა სპორტსმენმა უშველა თავს და უცხოეთის ქვეყნებს შეეხიზნა. ზოგმა იქაურ სპორტკლუბებთან კონტრაქტი გააფორმა, ზოგმა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაც არ ითაკილა და გვარ-სახელიც კი შეიცვალა. ქართველი ბატუტისტი, მსოფლიოს ჩემპიონი და თასის მფლობელი ანა დოლონაძეც უცხოეთში, კერძოდ გერმანიაში აღმოჩნდა, ოღონდ ისე, რომ არც თავის ქვეყანას გაქცევია და არც გერმანულ სატანვარჯიშო კლუბების ძებნა დაუწყია. ყველაფერი 1995 წელს დაიწყო: საქართველოს ბატუტისტთა ნაკრები გერმანიის გავლით საფრანგეთს გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატზე სასპარეზოდ, მაგრამ გერმანიაში ჩასულ ქართულ დელეგაციას ცუდი ამბავი დახვდა: ტრანსპორტის მუშაკები გაფიცულიყვნენ და საფრანგეთში წასვლა პრობლემად ქცეულიყო. ჩვენები გერმანელ კოლეგებს დაუკავშირდნენ, დახმარება სთხოვეს, მხსნელად კი გერმანელი ბატუტისტი, იმჟამად ბატუტისტთა კლუბის თანამშრომელი აქსელ ლინკენდაი მოევლინათ. აქსელმა საკუთარი ავტომობილით ჩაიყვანა საფრანგეთში ჩვენებური სპორტსმენები და უკან დაბრუნებულთაც გაუწია მეგზურობა. სწორედ ამ მგზავრობისას გაიცნო და მოეწონა აქსელს ანა დოლონაძე — საქართველოს ბატუტისტთა ნაკრების წევრი. ცნობილი ამბავია — ერთი პროფესიის ადამიანები მალე პოულობენ საერთო ენას. აქსელსა და ანასაც არ გასჭირვებიათ დაახლოება, მალე ეს სიყვარულში გადაიზარდა და ამ ზამთარს ქართულ-გერმანული ოჯახიც შექმნეს. ქორწილი გერმანიაში, ქალაქ ჰანოვერში გადაიხადეს, სადაც იმხანად ცხოვრობდნენ, მაგრამ ანამ დაიჟინა, ჯვარი უთუოდ ჩემს მშობლიურ ქალაქში, მცხეთაში უნდა დავიწეროთო. ბუნებით დამყოლი და მეუღლის მოსიყვარულე აქსელმა არ გაწბილა მეუღლე და თავის დედასთან და გერმანელ მეგობრებთან ერთად საქართველოს ეწვია. ვიდრე ანა საქორწილო სამზადისში იყო, მცირე დრო გამონახა და მეუღლესთან ერთად ჩვენთან სასაუბროდ მოიცალა.*

**— ანა, წელიწადნახევარია გერმანიაში ცხოვრობ, რას საქმიანობ ჰანოვერში?**

— ჩემი მეუღლე ბატუტისტია, გერმანიაში საკმაოდ ნორმალურ სპორტსმენად ითვლება, კარგად იცის სპორტის ფასი და მეც ყოველნაირად მეხმარება, რომ სისტემატურად ვივარჯიშო. ჰანოვერში იქაურ ტანვარჯიშულ კლუბში ვვარჯიშობდი, ზოგჯერ კი შეჯიბრებებიც იმართებოდა.

**— რაც საქართველოდან წახვედი, დიდ შეჯიბრებაზე არ გამოსულხარ?**

— არა, იქ მარტო საკლუბო ჩემპიონატები იმართება, სხვადასხვა ქალაქის კლუბები ეჯიბრებიან ერთმანეთს. მეც ჰანოვერის კლუბ „ტუს ფარენვალდის" სახელით გამოვდიოდი.

**— აქსელიც ამ კლუბში ასპარეზობდა?**

— კი, აქსელიც „ტუს ფარენვალდის" წევრია, ოღონდ სულ ორიოდე ტურნირში მონაწილეობდა.

**— ერთად თუ გამოსულხართ შეჯიბრებებზე?**

— ერთხელ ვცადეთ ბედი, შერეულ წყვილებში აქსელი მიწვევდა პარტნიორობას, მაგრამ წაიქცა და მეექვსე ადგილზე ძლივს გამოვედით.

ანას პასუხი აქსელმა გააპროტესტა — მართალია, წავიქეცი, მაგრამ შენც ხომ წაიბორძიკე, მარტო მე რომ მაბრალებო, „შეუტია" მეუღლეს და მერე დასძინა, ეგ ხუმრობით, თორემ ისე ანას დონის სპორტსმენს როგორ შევედრებიო.

**— ანა, კლუბში გამოსვლისას თუ გიხდიდნენ რამეს?**

— არა, ხელფასი და სხვა ანაზღაურება არ მქონია. ბატუტზე ხტომა ოლიმპიური სახეობა რომ არ არის, გერმანელები მაინცდამაინც არ აფასებენ ბატუტისტებს . მე რომ გერმანიის მოქალაქე ვიყო, რა თქმა უნდა, ხელფასი მექნებოდა. როგორც აქ, იქაც არ არის კომერციული ტურნირები. ჰანოვერის კლუბში ვარჯიში და მცირე ტურნირებში ასპარეზობა მხოლოდ ფორმის შენარჩუნებაში მეხმარებოდა.

**— რატომ, გეხმარებოდა, ახლა აღარ დაგეხმარება?**

— საქმე ისაა, რომ მე და აქსელმა საცხოვრებელი გამოვიცვალეთ, ზალცგიტერში გადავედით. ეს პატარა ქალაქია და არც ისე შორია ჰანოვერიდან.

**— ზალცგიტერში თუ შეძლებ ვარჯიშის გაგრძელებას?**

— ზალცგიტერში უკეთესი პირობები მექნება. ჰანოვერში მწვრთნელი არა მყავდა, თან იქაურ რეჟიმს ვერ შევეგუე — საღამოს 8 საათზე ვვარჯიშობდი, მე კი პატარა ბავშვი მყავს. მიჭირდა საოჯახო საქმისა და სპორტის შეთავსება. ზალცგიტერში კი მწვრთნელი მეყოლება, ვარჯიშიც 4 საათზე იწყება, კლუბიც ჰანოვერისას არაფრით ჩამოუვარდება, მას „თეგეოთ ზალცგიტერი" ჰქვია.

**— გამოდის, რომ აქსელმა შენი გულისთვის დატოვა ჰანოვერი.**

— კი არ გამოდის, ასეა. მე რომ ვარჯიშისა და ფორმის შენარჩუნების უკეთესი პირობები მქონოდა, ზალცგიტერში იმიტომ წავედით.

**— ზალცგიტერში ვინ იქნება შენი მწვრთნელი?**

— მწვრთნელი ქალია — უტა ლაქსენი. მართალია, ჩემს თბილისელ მწვრთნელს ზაურ სულაშვილს ვერ შეედრება, მაგრამ თავს ვიმშვიდებ, რომ ზაურ მასწავლებლისგან ნასწავლისა და მონდომების წყალობით ჩემსას მივაღწევ.

**— ანა, მოდი, დროებით გერმანულ ამბებს შევეშვათ და ქართულზე ვისაუბროთ. მით უმეტეს, შენ საქართველოს ნაკრების წევრი ხარ და, როგორც ვიცი, კიდევ კარგა ხანს აპირებ მისი სახელით ასპარეზობას. არადა, შენი დარი ბატუტისტები გერმანიაში არც ისე ბევრია. საქართველოს ნაკრებში რომელ ტურნირზე აპირებ ასპარეზობას?**

— ეინდჰოვენში, ევროპის ჩემპიონატზე დიდი სურვილი მაქვს, რუსიკო ხოფერიასთან ერთად ვიასპარეზო სინქრონულ ხტომებში. ვნახოთ, თუ ჩვენები მოახერხებენ ჩამოსვლას, მე ჰოლანდიაში დავხვდები და ეჭვი არ მეპარება, უეჭველად არ დავრჩებით მე და რუსიკო. ჰოლანდიამდე კი ფინეთში მსოფლიოს თამაშები გაიმართება, სადაც პლანეტის 24 საუკეთესო ბატუტისტი მოიყრის თავს. სამწუხაროდ, ამ თამაშებში მონაწილეობაზე მთელმა ქართულმა დელეგაციამ განაცხადა უარი და, ბუნებრივია, ბატუტისტებსაც გზა გადაეღობათ ლახტისკენ. მაგრამ აქსელის მეჯვარე და ჩვენი ოჯახის მეგობარი რალფ რაინჰოლდი დამაფინანსებს და, ალბათ, ნებას დამრთავენ, ფინეთში მარტომ ვიასპარეზო. ფიჟ-ის გენერალური მდივანი ანდრეას გოუზზიულერი არ არის ამის წინააღმდეგი, დანარჩენ პრობლემებს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები მომიგვარებენ და ფინეთში, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელით ვიასპარეზებ ინდივიდუალურ ხტომებში.

**— თუ ასე, დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად, გუნდის გარეშე შეგიძლია ტურნირებში გამოსვლა, მსოფლიოს თასის ეტაპებზე რატომ არ წახვედი?**

— მაშინ საშინაო პრობლემები მქონდა, მე და აქსელს ხელი არ გვქონდა მოწერილი, ამ საქმით ვიყავით დაკავებულნი და ამიტომ ვერ მოვახერხე სხვაგან წასვლა. თუმცა, მე და რუსიკომ ერთ ეტაპზე ხომ ვიასპარეზეთ და არცთუ ურიგოდ.

**— უცხო ენის პრობლემა როგორ დასძლიე?**

— პირველი სამი თვე მიჭირდა, შემდეგ, სხვა რა გზა მქონდა, ავლაპარაკდი გერმანულად.

**— რაკი ოჯახის დიასახლისი შენ ხარ, ბუნებრივია, საოჯახო სამზარეულოსაც განაგებ. აქსელს თუ მოსწონს შენი ნახელავი ქართული კერძები?**

— უნდა მოეწონოს, მეტი რა გზაა. ხინკალი და ხორციანი ლვეზელი უყვარს, მაგრამ რაც მისი ცოლი გავხდი, სულ იმას წუწუნებს, ბევრს ვჭამ და ვსუქდებიო. რაკი ბევრს ჭამს, ესე იგი, მოსწონს. ახლაც, თბილისში წამოსვლამდე მე და აქსელი დიეტაზე ვიყავით. მან წინასწარ დაიჭირა თადარიგი — მოდი, ის წონა, რაც თბილისში უნდა მოვიმატოთ, გერმანიაში დავიკლოთო, მითხრა და ასეც მოვიქეცით.

*ამას კი, ანა, ანამ როგორ შეუვთინდ... დი და კვლავ ჩვენი ... აქსელი ქართული ლვინოები როგორ მოეწონა-მეთქი, ვკითხე ... მითხრა, რაც დალიო, ყველა ერთნაირად მომწონს, თეთრიც და შავიც, ოღონდ, მაინცდამაინც დიდი მსმელი არა ვარ, ამ თემაზე რალფს ესაუბრეო — თავისი მეჯვარე რალფ რაინჰოლდი გადმომიბარა. თურმე რალფი, ქართველ მასპინძელთა გასაოცრად, მაგარი მსმელი გამოდგარა, განსხვავებულ სასმისებსაც ითხოვს სუფრაზე და ისეთი ლამაზი სადღეგრძელოები უთქვამს, გეგონება, ყანწი და ფიალა ცხოვრებაში ხელიდან არ გაუგდიაო. რაკი სიტყვა ღვინოზე ჩამოვარდა, რალფი და აქსელი ამ სიტყვას მიჰყვნენ და ქართული ღვინის აქ-კარგზე გააბეს საუბარი, მე და ანამ — მის გერმანულ ცხოვრებაზე.*

**— ანა, ისევ ჰანოვერს დავუბრუნდეთ, იქაურ კლუბს თუ ჰყავდა შენი დონის ბატუტისტი?**

— არა, ტრაბახში ნუ ჩამომართმევ, ჩემნაირი ტიტულოვანი იქ ნამდვილად არ ყოფილან. ისე, ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენები როგორ არ არიან. ნიკოლ მაინცი და ორიც გოგონა — თინა ლუდვიგი და ჰილ როვე კლუბის ლიდერები არიან.

**— შენი ქართული ხასიათიდან რას ვერ შეეგუა აქსელი?**

— ჩემი ხასიათის გამო პრობლემები არა გვაქვს, ეგ არის, ვერ შევეჩვიე გერმანულ ამინდს, იქ სულ მცივა და თბილად ჩაცმული დავდივარ, ამაზე აქსელი დამცინის, მცივანა ხარო. სამაგიეროდ, ახლა ჩემი რიგი დადგა — თბილისური ზაფხული სულს უხუთავს მას და მეც მეცინება ხოლმე.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებთ გერმანიაში?**

— ჰანოვერში ძირითადად ოჯახში ვტრიალებდით, ფილმებს, კონცერტებს ვუყურებდით, ზოგჯერ რესტორანში მივდიოდით სავახშმოდ. აქსელს ცურვა და თევზაობა უყვარს ძალიან, ჰანოვერში კი ტბასთან და მდინარესთან ახლოს ვცხოვრობდით და ხშირად იქ დავდიოდით. ამასთან, მეგობრებიც გვყავდა და ერთად ვერთობოდით, მაგრამ ორი კვირაა, რაც ზალცგიტერში გადავედით, ალბათ, ახალ მეგობრებს შევიძენთ. იმედია, აქსელიც იპოვნის ერთ ტბას, თავი რომ გაირთოს.

**— აქსელი პირველად არის საქართველოში და შენს ოჯახში. როგორ მოეწონათ ერთმანეთი?**



ანა დოლონაძეს და აქსელ ლინკენდაის შეუღლების დღესაც არ დაუვიწყნიათ ბატუტი: ნეფე-პატარძალმა გვარიანად იხტუნავა

— ჩემებს ძალიან მოეწონათ აქსელი, აქსელიც მოიხიბლა საქართველოთი და დამპირდა, თავისუფალ დროს მუდამ თბილისში გავატარებთო.

*დამშვიდობებისას აქსელს ერთი წესჩვეულება გავახსენე: თუ რომელიმე მხარეში დაბრუნება გინდა, იქიდან წასვლისას მდინარეში ხურდა ფული ხელუკუღმა უნდა გადააგდო, ჩაუთქვა და იქ მეორედაც აუცილებლად მოხვდები-მეთქი. გულმოდგინედ მისმინა და კარგი, ასე მოვიქცევიო.*

*მდინარის პოვნა კი, ცურვისა და თევზაობის მოყვარულ აქსელს არ გაუჭირდება.*

**ლევან ჯავახიშვილი**



გოგი აბჟლედიანის

## სვეტი

**დაუვიწყარი თარიღი:**

# 20 ივლისი — სასწორი

რას არ ნახავ ჩვენებურ თამაშობაში?

კალათბურთი ფრედ დამთავრებულა, ფეხბურთში 25:1 მოუგიათ, მოკრივეს საკუთარი თავი ჩაუგდია ნოკაუტში, რაზან ნასვამი ყოფილა. მსაჯები დაუქრთამავთ, მწვრთნელები გაუგდიათ.

სილამაზის კონკურსი რომ სილამაზის კონკურსია, იქაც კი ვერ აურჩევიათ და სამი გოგოსთვის მიუნიჭებიათ პირველი ადგილი.

მაგრამ ასეთი მაინც არ მომხდარა.

დღეს 19 ივლისია, ხვალ კი, რა თქმა უნდა, 20.

მავანს ბევრს არაფერს ეტყვის ეს თარიღი, ჩვენ კი გვეუბნება:

გონს მოდი, გურჯისტანის ამაყო შვილო, მიზანი დიდი რომ დაგისახავს, ფიქრიც შესაბამისი გქონდესო!

შარშან ამ დროს, ზუსტად ერთი წლის წინ, ჩვენი ძიუდოს გული, ჯიგარი და წონა, ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი სასწორამდე ვერ მიიყვანეს და იმედიანი ოლიმპიური ტურნირი ამ დევივით კაცისთვის დასრულდა.

მთელი წელიწადი ისმოდა: „ოქრო, ოქრო, ოქრო!“ და საქმე ისე გამოვიდა, რომ ოქრო კი არა, ხპილენძიც არავინ მოგვაშავა — მეოთხედცენტიანი მონეტაც.

ამის შემდეგ უსაყვედურეს ხალხსა, მაგრამ არავინ იცის, სიდნეიში სად იქნება სასწორი.

არა, მე მესმის ჩვენების, ატლანტა კარგა დიდი ქალაქია. არც ოლიმპიური სოფელი აქვს პატარა.

რა დასამალია და, თურმე სასწორებიც მრავლად დგას.

ჩვენ კიდენა, ჩვენის გამოუცდელობითა, დაბნეულობითა, სოფელ-ქვეყნის ნაკლებ ცოდნითა და ქართული ჰაიჰარაობითა, სულ უცნაური რამეები გვემართება.

დაგვემართება, მაშ რა?

ატლანტა სოფელი დიდი ლილო ხომ არ არის, სადაც ერთი სასწორი დგას ურიადნიკ ხუმარაშვილის დროიდან და ზედ დასაკლავ ძროხებს სწონიან ხოლმე?

მიზეზიც ამაშია საძებნელი. ატლანტა დიდი ლილო როდია.

გადადგა ნაკრების მთავარი მწვრთნელი და გაივსო გაზეთები. ოქრო კი წავიდა თავის გზაზე, გაქრა მუჭში ჩაგროვილ ატლანტურ „კოკა-კოლასავით“.

[illegible] ამგვარი მოხალოდნელი იყო, არ[illegible]ს და იქნება.

[illegible]ნაირად ნაცხოვრებ ხალხს უარესი რომ არ დაემართა, ისიც საკვირველია.

20 ივლისი დაუვიწყარი და ნიშანდობლივი თარიღია ჩვენს სპორტში. არავინ იცის, სამი წლის შემდეგ რა მოგველის. ეგებ ჩვენი გემი ოკეანეში დაიკარგოს და ანტარქტიდას მიადგეს, ან ჩვენი ოლიმპიური თვითმფრინავი ფილიპინებზე აღმოჩნდეს.

საყვედურის გამოცხადება არავის დაეზარება, „ოქროები“ კი კვლავ სხვაგან წავა.

დაუვიწყარი თარიღი უკვე დავიწყებულია, ეს კი სახიფათო რამ არის. ჩემი ვიწრო გაგებით, ამ თარიღის სამუდამო სახსოვრად დამკვიდრება ასე შეიძლება.

საზღვარგარეთ მიმავალ ყოველი ქართული გუნდის ყოველ წევრს, მწვრთნელს, მენეჯერს, სპორტსმენს — უცხოელ მხედარ-რეინჯერთა მსგავსად ყელზე ან მაჯაზე ფირფიტიანი ძეწკვი უნდა ჰქონდეთ შებმული.

ოღონდ, ჩვენს შემთხვევაში ფირფიტაზე სისხლის ჯგუფი და რეინჯერისა თუ მწვანე ბერეტის რიგითი ნომერი კი არ უნდა ეწეროს, არამედ: „20 ივლისი — სასწორი“.

დახედავს კაცი ამ თავის ფირფიტას და უცხო მხარეში საპაექროდ წასული მობილიზებული და ფიქრიანი იქნება.

დაუვიწყარი თარიღი...

ამით ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ფირფიტა კი აუცილებელია — სხვაგვარად ჩვენ ვერაფერს დავიმახსოვრებთ.

## მძლეოსნობა

## დისიდენტები IAAF-შიც გამოჩნდნენ

ახლახან იყო, რომ გაუწყეთ: IAAF-მა მიიღო ახალი კანონი, რომელიც წინა ჩემპიონატში გამარჯვებულთ შესაძლებლობას აძლევს, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვიდნენ ეროვნული ფედერაციების შესარჩევ ტურნირებში მიღწეული შედეგების მიუხედავად. ამ წესმა ხელ-ფეხი გაუხსნა ამერიკელ მძლეოსნებს — მაიკლ ჯონსონს, გეილ დევერსს და გვენ ტორენსს, დენ ობრაიენს ათენის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსასვლელად, რაკილა მათ ეროვნულ ტესტებში მონაწილეობა არ მიუღიათ და ვერც საბერძნეთში იასპარეზებდნენ. თუმცა, ახალი კანონით ყველა კმაყოფილი როდის დარჩა.

არნე ლუნგკვისტმა — IAAF-ის ვიცე-პრეზიდენტმა, საკუთარი ორგანიზაციის საქმიანობა გააკრიტიკა. ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სრული სიგიჟეა. ამ კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს და წინასწარ სრული განხილვისა და ანალიზის ჩატარება იყო საჭირო. ხმები კი ტელეფონით მისცეს, თანაც ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე გაგვაფრთხილეს“ — განაცხადა მან. ლუნგკვისტს და მის რამდენიმე თანამოაზრეს კენჭისყრაზე თავი შეუკავებიათ — სისულელეა, როდესაც IAAF-ი თავის წესებს ამერიკელების ხელშესაწყობად ქმნის. წესით, თავად აშშ უნდა ცდილობდეს, რომ მისი კანონები IAAF-ისას შეესაბამებოდესო.

ახალი კანონი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატებზეც იმოქმედებს და კროსისა და ჭერქვეშა პირველობებზეც გავრცელდება. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონებს სხვა დისციპლინაში გამოსვლაც შეეძლებათ, თუკი ეროვნული ფედერაციები თანახმა იქნებიან. მაგრამ თითოეულ ქვეყანას ამ შემთხვევაში მაინც 3 კაცის გამოყვანის ნება ექნება და ერთი სპორტსმენი ამოვარდება. ამ ამბავს ლუნგკვისტი მთლად გაუკვირვებია, ასეთი საკითხი საერთოდ არ მდგარა კენჭისყრაზე და გადაწყვეტილება საიდან მიიღესო. ვიცე-პრეზიდენტი ოპონენტებს მრავლობითში კი მოიხსენიებს, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცი ჰყავს მხედველობაში — ყველას მოეხსენება, რომ კანონი დონ პრიმო ნებიოლოს — IAAF-ის პრეზიდენტის „მსუბუქი“ ზეწოლის ქვეშ მიიღეს.

## ამისმა ტრაბახმა ხომ...

ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონმა მაიკლ ჯონსონმა 400 მეტრზე რბენაში თავის მეტოქეებს წინასწარი გაფრთხილება გაუგზავნა: ახლა, როდესაც ათენში გამოსვლის უფლება მივიღე, ეს გარბენი ჩვეულებრივი აღარ იქნებაო. მძლეოსანმა განაცხადა, რომ იგი საშუალო შედეგის ჩვენებას არ აპირებს და 1988 წლის ამერიკელ ბუჩ რეინოლდსის რეკორდი — 43,29 წამი აქვს მიზანში.

ჯონსონს 1 ივნისს ოლიმპიურ ჩემპიონ დონოვან ბეილისთან 150 მეტრ დისტანციაზე შეჯიბრებისას მარცხენა ფეხის კუნთი დაეჭიმა და 25 ივნისს 400 მეტრზე პარიზში მხოლოდ მეხუთე შედეგი უჩვენა. „სანამ ტრავმას მივიღებდი, ვგრძნობდი, რეკორდის დამყარება შემეძლო და ახლა ვცდილობ, ისეთსავე ფორმაში ჩავდგე. მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წავიდოდი, სრულად გამოჯანმრთელებული რომ არ ვიყო. თუკი ჩემებურად გამოვალ, კაცი არაა ჩემი გამსწრები“ — თავმდაბლურად დაამატა ჯონსონმა.

მსოფლიო ჩემპიონის მორიგი მოკრძალებული განაცხადი IAAF-ის ახალ წესს შეეხებოდა — „მე ვიცი, რომ ეს კანონი ჩემი გულისთვის მიიღეს. ისინი გრძნობენ, რომ მათთვის საჭირო ვარ, მე კი ვგრძნობ, რომ იქ ჩემი გამოსვლა აუცილებელია.“ ისე, ჯონსონი ნაკლებს არც ბეილისთან შეხვედრამდე ტრაბახობდა, მაგრამ რა ჩიტიც დაიჭირა, ყველას კარგად მოეხსენება. მას NBC-სთან ათენის ჩემპიონატის კომენტატორობაზეც გაუფორმებია კონტრაქტი.

რაც შეეხება ჯონსონის იმ თანაგუნდელებს, ახალი კანონით რომ იხეირეს, შეიძლება ათენში ყველა არც წავიდეს. ათჭიდში მსოფლიო ჩემპიონმა დენ ობრაიენმა სამედიცინო გამოკვლევები გაიარა და აღმოჩნდა, რომ ნატკენი მარცხენა ფეხის გამო მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს. „ძალზე იმედგაცრუებული ვარ, რომ ათენის მიწვევაზე უარის თქმა მიწევს. მაგრამ მე შესაჯიბრებლად ვიწვევ ნებისმიერს, ვინც იქ ჩემპიონი გახდება, გაისად, კეთილი ნების თამაშებზე. 1992 წლიდან დაუმარცხებლად ვასპარეზობ და სანამ ვინმე არ მაჯობებს, თავი მსოფლიოში უძლიერესად მიმაჩნია“ — თქვა ობრაიენმა.

ათენში არ იასპარეზებენ აგრეთვე 10 ათას მეტრ დისტანციაზე აშშ-ს რეკორდის მფლობელი ლინ ჯენინგსი და სპრინტერი კარლეტ გიდრი, რომელიც 4X100 ესტაფეტაზე უნდა გამოსულიყო. ამ დანაკარგის მიუხედავად, 100 მეტრზე მსოფლიო ჩემპიონ გვენ ტორენსს 4X100 ესტაფეტაში გამოყვანას მაინც არ უპირებენ. ჭირვეული ხასიათით გამორჩეულმა ქალმა ნიცის გრან პრიც გააცდინა ოთხშაბათს და თავისი სპონსორის დიდი გულისწყრომაც დაიმსახურა, რაკილა გამოუსვლელობისთვის წესიერი მიზეზი არ მოუყვანია.

## ბლექი გააბრაზეს

ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ბრიტანელმა როჯერ ბლექმა სასტიკად გააკრიტიკა ქვეყნის მძლეოსნობის თავკაცები მას შემდეგ, რაც საათენო 400 მეტრზე გარბენის განაცხადში არ შეიყვანეს. ბლექმა ავადმყოფობის გამო წინა კვირაში გამართული ეროვნული შესარჩევი ტურნირი გამოტოვა და ამის გამო ადგილი მხოლოდ 4X400-ზე ესტაფეტაში გამოენახა.

ბლექი ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მძლეოსანია და წინა თვეში ლინფორდ ქრისტისგან ეროვნული გუნდის კაპიტნის წოდებაც გადაიბარა. მისი თქმით, ყველაფერი გაზეთებიდან შეიტყო და გაკვირვებული დარჩა, ასე ცუდად რომ მოექცნენ. გუნდის მწვრთნელებმა თავი იმით გაიმართლეს, ათენში წასასვლელად ათლეტებს ამჟამინდელი ფორმის მიხედვით ირჩევენ, ბლექი კი ამ ბოლო ხანებში ავადმყოფობსო. ვიცე-ჩემპიონის ნაცვლად ათენში 400 მეტრ დისტანციაზე ჯემი ბოლჩი გამოვა, რომელმაც შესარჩევ ტურნირში მე-3 ადგილი დაიკავა, წინა ჭერქვეშა მსოფლიო ჩემპიონატზე კი მეორე.

## ნიცა — ათენამდე

ნიცაში ოთხშაბათს ათენის მსოფლიო ჩემპიონატამდე უკანასკნელი გრან-პრი გაიმართა და მძლეოსნებმაც გენერალური რეპეტიცია მოიწყვეს წლის მთავარი მოვლენის წინ.

ნიცაში ალჟირელ ნურედინ მორსელის ორ მსოფლიო რეკორდს ელოდა საფრთხე. ჯერ მაროკოელი ჰიშამ ელ გერუჟი 1500 მეტრზე აპირებდა დროის გაუმჯობესებას, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. მან მხოლოდ 3:30,32 წამი უჩვენა, რაც ამავე სტადიონზე მორსელის მიერ ორი წლის ნაჩვენებ დროზე თითქმის სამი წამით მეტია. [illegible] მეორე რეკორდის გამძლეობამ [illegible] მილზე რბენაში 4 წლის წინანდელ თავისსავე რეკორდს — 43:44,39 წამს უმჯობესებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მისი დრო — 3:48,64 წელს ნაჩვენებ შედეგთა შორისაც კი მხოლოდ მეხუთეა. მორსელი უკმაყოფილო მაინც არ უნდა იყოს, რადგან ამ ბოლო ხანებში ტრავმები აწუხებდა, უკანასკნელი შედეგები კი მას მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ხდის.

რუს მაქსიმ ტარასოვს ოთხშაბათი საღამო კარგა ხანს ემახსოვრება. იგი მეხუთე ჭოკით მხტომელია, ვინც ექვსმეტრიანი ზღვარი გადალახა. მისი შედეგი — 6.00 წლის საუკეთესოა და მით უფრო ღირებულია, რომ ატლანტის ოლიმპიურ ჩემპიონს — ფრანგ ჟან გალფიონს აჯობა.

ნიცაში პორტუგალიელმა ქალებმა გამოიღეს ხელი. ატლანტის ოლიმპიადის გამარჯვებულმა 10 000 მეტრ დისტანციაზე ფერნანდა რიბეირომ წლის საუკეთესო დრო აჩვენა 3 კილომეტრზე რბენაში — 8 წუთი და 37,14 წამი. კარლა საკრამენტომ კი ასევე წლის საუკეთესო შედეგით 4:25,00 მოიგო ერთმილიანი გარბენი.

400 მეტრზე თარჯრბენში ქალთა შორის სამხრეთაფრიკელმა ლიუელინ ჰერბერტმა გაიმარჯვა 48,37 წამით, 100 მეტრზე კი — მელისა მორისონმა. კაცთა შორის 110 მეტრზე თარჯრბენი კუბელმა ანიერ გარსიამ მოიგო. მისი შედეგია 13,18 წამი.

დაძაბული პაექრობა გაჩაღდა 200 მეტრ დისტანციაზე კაცთა შორის. თავიდან 19 წლის ნიგერიელი სიუნ ოგონკოია ლიდერობდა, მაგრამ ბოლო 30 მეტრზე მას ევროპის ჩემპიონმა, ნორვეგიელმა გეირ მოენმა გაასწრო. გამარჯვებულის შედეგია 20,41 წამი. ნორვეგიელმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ათენამდე ალარსად გამოვა, იქ კი მოგების დიდი იმედი აქვს, რადგან მისი ყველა მთავარი მეტოქე ცუდ ფორმაშია.

ნიცაში გამოდიოდა ვეტერანი იამაიკელი მერლინ ოტიც. მან 200 მეტრზე გარბენი მოიგო 22,47 წამით და ათენში ამავე დისტანციაზე თავისი ტიტულის დაცვას შეეცდება.

**კარსმომდგარ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მსოფლიო რეკორდთა ნუსხის გადახედვა სწორედაც რომ უპრიანია. რჩეულ და სახელოვან მძლეოსნებს, უეჭველია, ამ რეკორდთა დამხობის ჟინი და იმედიც აგულიანებთ, ასე რომ, ვნახოთ, ამჟამინდელ მიღწევათაგან რომელი გაუძლებს შეტევას და რომელი ვერა.**

## მსოფლიო რეკორდები

| სახეობა | შედეგი | მძლეოსანი | ქვეყანა | სარბიელი | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| **ვაჟები** | | | | | |
| 100 | 9,84 | დონოვან ბეილი | კანადა | ატლანტა | 27.07.96 |
| 200 | 19,32 | მაიკლ ჯონსონი | აშშ | ატლანტა | 1.08.96 |
| 400 | 43,29 | ბუჩ რეინოლდსი | აშშ | ციურიხი | 17.08.88 |
| 800 | 1.41,73 | სებასტიან ქოუ | ბრიტანეთი | ფლორენცია | 10.06.81 |
| | | ვილსონ კიპკიტერი | დანია | სტოკჰოლმი | 7.07.97 |
| 1000 | 2.12,18 | სებასტიან ქოუ | ბრიტანეთი | ოსლო | 11.07.81 |
| 1500 | 3.27,37 | ნურადინ მორსელი | ალჟირი | ნიცა | 12.07.95 |
| მილი | 3.44,39 | ნურადინ მორსელი | ალჟირი | რიეტი | 5.09.93 |
| 2000 | 4.47,88 | ნურადინ მორსელი | ალჟირი | პარიზი | 3.07.95 |
| 3000 | 7.20,67 | დანიელ კომენი | კენია | რიეტი | 1.09.96 |
| 5000 | 12.44,39 | ჰაილე გაბრესილასიე | ეთიოპია | ციურიხი | 16.08.95 |
| 10000 | 26.31,32 | ჰაილე გაბრესილასიე | ეთიოპია | ოსლო | 4.07.97 |
| 20000 | 56.55,6 | არტურო ბარიოსი | მექსიკა | ლაფლეში | 30.03.91 |
| საათიანი | 21,101 | არტურო ბარიოსი | მექსიკა | ლაფლეში | 30.03.91 |
| 25000 | 1:13.55,8 | ტოშიჰიკო სეკო | იაპონია | ქრაისტჩერჩი | 22.03.81 |
| 30000 | 1:29.18,8 | ტოშიჰიკო სეკო | იაპონია | ქრაისტჩერჩი | 22.03.81 |
| 3000 წინ | 7.59,18 | მოუზეს კიპტანუი | კენია | ციურიხი | 16.08.95 |
| 110 თარჯ | 12,91 | კოლინ ჯექსონი | ბრიტანეთი | შტუტგარტი | 20.08.93 |
| 400 თარჯ | 46,78 | კევინ იანგი | აშშ | ბარსელონა | 6.08.92 |
| სიმაღლე | 2,45 | ხავიერ სოტომაიორი | კუბა | სალამანკა | 27.07.93 |
| ჭოკი | 6,14 | სერგეი ბუბკა | უკრაინა | სესტრიერი | 31.07.94 |
| სიგრძე | 8,95 | მაიკ პაუელი | აშშ | ტოკიო | 30.08.91 |
| სამხტომი | 18,29 | ჯონათან ედვარდსი | ბრიტანეთი | გიოტებორგი | 7.08.95 |
| ბირთვი | 23,12 | რენდი ბარნსი | აშშ | ლოს-ანჯელესი | 20.05.90 |
| ბადრო | 74,08 | იურგენ შულტი | გდრ | ნოიბრანდენბურგი | 6.06.86 |
| ურო | 86,74 | იური სედიხი | სსრკ | შტუტგარტი | 30.08.86 |
| შუბი | 98,48 | იან ჟელეზნი | ჩეხეთი | იენა | 25.05.96 |
| ათჭიდი | 8891 | დან ობრაიენი | აშშ | ტელენსი | 4-5.09.92 |
| 20 კმ ს | 1:17.25,6 | ბერნარდო სეგურა | მექსიკა | ბერგენი | 7.05.94 |
| 30 კმ ს | 2:01.44,1 | მაურიციო დამილანო | იტალია | კუნეო | 3.10.92 |
| 50 კმ ს | 3:40.57,9 | ტიერი ტუტენი | საფრანგეთი | ერიკური | 29.09.96 |
| ორსაათია | 29,572 | მაურიციო დამილანო | იტალია | კუნეო | 3.10.92 |
| 4X100 | 37,40 | მარში, ბარელი, მიჩელი, ლუისი | აშშ | ბარსელონა | 8.08.92 |
| | | დრამონდი, კეისონი, მიჩელი, ბარელი | აშშ | შტუტგარტი | 21.08.93 |
| 4X200 | 1.18,68 | მარში, ბარელი, ჰერდი, ლუისი | აშშ | ვოლნათი | 17.04.94 |
| 4X400 | 2.54,29 | ველმონი, ვოთსი, რენოლდსი, ჯონსონი | აშშ | შტუტგარტი | 22.08.93 |
| 4X800 | 7.03,89 | ელიოტი, ქუქი, კრემი, ქოუ | ბრიტანეთი | ლონდონი | 30.08.82 |
| 4X1500 | 14.38,8 | ვესინგაგე, ჰუდაკი, ლედერერი, ფლეშენი | გფრ | კიოლნი | 17.08.77 |
| მარათონი | 2:06.50 | ბელაინე დინსამო | ეთიოპია | როტერდამი | 17.04.88 |
| **ქალები** | | | | | |
| 100 | 10,49 | ფლორენს გრიფით-ჯოინერი | აშშ | ინდიანაპოლისი | 16.07.88 |
| 200 | 21,34 | ფლორენს გრიფით-ჯოინერი | აშშ | სეული | 29.09.88 |
| 400 | 47,60 | მარიტა კოხი | გდრ | კანბერა | 6.10.85 |
| 800 | 1.53,28 | იარმილა კრატოხვილოვა | ჩეხოსლოვაკია | მიუნხენი | 26.07.83 |
| 1000 | 2.28,98 | სვეტლანა მასტერკოვა | რუსეთი | ბრიუსელი | 23.08.96 |
| 1500 | 3.50,46 | კუ იუნშა | ჩინეთი | პეკინი | 11.09.93 |
| მილი | 4.12,56 | სვეტლანა მასტერკოვა | რუსეთი | ციურიხი | 14.08.96 |
| 2000 | 5.25,36 | სონია ოსალივანი | ირლანდია | ედინბურგი | 8.07.94 |
| 3000 | 8.06,11 | ვან ჯუნშა | ჩინეთი | პეკინი | 13.09.93 |
| 5000 | 14.36,45 | ფერნანდა რიბეირუ | პორტუგალია | ჰეხტელი | 22.07.95 |
| 10000 | 29.31,78 | ვან ჯუნშა | ჩინეთი | პეკინი | 8.09.93 |
| საათიანი | 18,084 | სილვანა კრუჩატა | იტალია | რომი | 4.05.81 |
| 20000 | 1:06.48,8 | იზუმი მაკი | იაპონია | ამაგასაკი | 19.09.93 |
| 25000 | 1:29.29,2 | კაროლინა საბო | უნგრეთი | ბუდაპეშტი | 22.04.88 |
| 30000 | 1:47.05,6 | კაროლინა საბო | უნგრეთი | ბუდაპეშტი | 22.04.88 |
| 100 თ | 12,21 | იორდანკა დონკოვა | ბულგარეთი | სტარა ზაგორა | 20.08.88 |
| 400 თ | 52,61 | კიმ ბატენი | აშშ | გიოტებორგი | 11.08.95 |
| სიმაღლე | 2,09 | სტეფკა კოსტადინოვა | ბულგარეთი | რომი | 30.08.87 |
| ჭოკი | 4,55 | ემა ჯორჯი | ავსტრალია | მელბურნი | 20.02.97 |
| სიგრძე | 7,52 | გალინა ჩისტიაკოვა | სსრკ | ლენინგრადი | 11.06.88 |
| სამხტომი | 15,50 | ინესა კრავეცი | უკრაინა | გიოტებორგი | 10.08.95 |
| ბირთვი | 22,63 | ნატალია ლისოვსკაია | სსრკ | მოსკოვი | 7.06.87 |
| ბადრო | 76,80 | გაბრიელე რაინში | გდრ | ნოიბრანდენბურგი | 9.07.88 |
| ურო | 73,10 | ოლგა კუზენკოვა | რუსეთი | მიუნხენი | 22.06.97 |
| შუბი | 80,00 | პეტრა ფელკე | გდრ | პოტსდამი | 9.09.88 |
| შვიდჭიდი | 7291 | ჯეკი ჯოინერ-კერზი | აშშ | სეული | 23-24.09.88 |
| 5000 ს | 20.13,26 | კერი საქსბი-ჯუნა | ავსტრალია | ჰობართი | 25.02.96 |
| 10000 ს | 41.56,23 | ნადეჟდა რიაშკინა | სსრკ | სიეტლი | 24.07.90 |
| 4X100 | 41,37 | გლადიში, რიოგერი, აუერსვალდი, გიორი | გდრ | კანბერა | 6.10.85 |
| 4X200 | 1.28,15 | გიორი, მიულერი, ვოკელი, კოხი | გდრ | იენა | 9.08.80 |
| 4X400 | 3.15,17 | ლედოვსკაია, ნაზაროვა, პინიგინა, ბრიზგინა | სსრკ | სეული | 1.10.88 |
| 4X800 | 7.50,17 | ოლიზარენკო, გურინა, ბორისოვა, პოდიალოვსკაია | სსრკ | მოსკოვი | 5.08.84 |
| მარათონი | 2:21.06 | ინგრიდ კრისტიანსენი | ნორვეგია | ლონდონი | 21.04.85 |

ჩოგბურთი

# ესპანური აგრესია

შტუტგარტი. „მერსედესის თასი“. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 1,04 მილიონი დოლარი.

შტუტგარტში ოთხშაბათს მეორე წრის შეხვედრები დასრულდა. აქ ორგზის გამარჯვებულ, ერთ დროს თიხნარის მეფედ წოდებულ ტომას მუსტერსა და ბრიტანელ გრეგ რუზეცკის სხვა განთესილებიც უკან მიყვნენ. ანდრეი მედვედევს (11, უკრაინა) სლოვაკმა კაროლ კუჩერამ მოუგო 6:2, 6:4, კარლოს მოიას (6, ესპანეთი) თანამემამულე გალო ბლანკომ 4:6, 7:6, 7:5, ბოგდან ულირახს



ბეკერი ტრავმებმა გატანჯეს

(15, ჩეხეთი) — არგენტინელმა ერნან გუმიმ 7:5, 6:2. განთესილთა შორის კიდევ ერთი მსხვერპლი მეთექვსმეტე შვეიცარელი მარკ როსე აღმოჩნდა. მას ესპანელ ფრანსისკო კლავეტთან ყუმბარისებურმა მოწოდებამ ვერ უშველა — 5:7, 1:6.

მასპინძელთა ფავორიტის, ბორის ბეკერისა და მაროკოელი ქარიმ ალამის შეხვედრაში უცნაური რამ მოხდა. ჩოგბურთელებს რატომღაც აგრესიულ მწვრთა ჯგრო დაესია და თამაშს არ აცლიდა. ისე, ეროვნულ თვითშეგნებას მოკლებულნი არც ისინი აღმოჩნდნენ და თუ ბეკერს უფრო შესვენებებზე აწვალებდნენ, ალამის მაინცდამაინც ბრეიქ-ფოინთებზე დასდევდნენ კბენით და არც ყურში შეძრომას თაკილობდნენ. მაროკოელმა ორივე ხელი კი მიიყვანა თაიბრეიქამდე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში თავს ვერ იოკებდა და მარტივ შეცდომებს უშვებდა. უნაკლოდ არც ბეკერი თამაშობდა, მაგრამ მან კარგა ხანია იცის, როდის უნდა მოუმატოს თამაშისას, საბოლოოდ 7:6, 7:6 გერმანელის სასარგებლოდ.

სხვა შედეგები: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი), — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 2:6, 6:3, 6:4; მარსელო რიოსი (5, ჩილე) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 6:2, 6:3; ალბერტო ბარასატეგი (12, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:2; ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:3, 7:5.

ხუთშაბათს ტურნირზე უკვე მერვედფინალების დრო დადგა. მასპინძელთა გულის გასახეთქად, ადრე გავარდნილ 6 გერმანელს ბორის ბეკერიც შეუერთდა. მას მატჩის წინ უიმბლდონზე პიტ სამპრასთან შეხვედრისას მიღებული მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და მეოთხედფინალის საგზური ალბერტ კოსტას უბრძოლველად დაუთმო. არ გაუმართლა როლან გაროსის ჩემპიონ გუსტავო კერტენსაც. ესპანელ ფელიქს მანტილასთან მატჩის პირველ სეტში მან ნეკნების ტკივილი იგრძნო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ძალზე ლამაზი გამოდგა ევგენი კაფელნიკოვისა და ესპანელ ფრანსისკო კლავეტის შეხვედრა. პირველ სეტში სოჭელი ხშირად სცოდავდა ბექჰენდის შესრულებისას და ბრეიქ-ფოინთზე ორმაგი შეცდომით ხელი მეტოქეს გადაულოცა. კაფელნიკოვი ამის შემდეგლა ათამაშდა და უკანა ხაზიდან მოკლე დარტყმებით გატანჯა ესპანელი, რომელმაც მეორე სეტი კიდევ გაძლო, მაგრამ მესამეში სამი საკუთარი მოწოდება წააგო და გავარდა კიდეც. გავარდა, მაგრამ ბოლოსწინა გეიმში ფეხებს შორის, კორტს ზურგშექცეულმა ისეთი დარტყმა შეასრულა, მაყურებელი კარგახანს უკრავდა ტაშს. საბოლოოდ 4:6, 6:3, 6:2.

ერთის გარდა, ყველა სხვა შეხვედრა ესპანელებმა მოიგეს და 8 მეოთხედფინალისტიდან 6 სწორედ ამ ქვეყნის წარმომადგენელი იქნება. ესპანეთში ჩოგბურთის აღმასვლაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მსოფლიოს საუკეთესო ასეულში მას ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს. კაფელნიკოვის გარდა, ესპანელების გზაზე მხოლოდ სლოვაკი კაროლ კუჩერა შემორჩა, რომელმაც ანდრეი მედვედევს ჩილელი რიოსიც მიაყოლა — 6:4, 6:4.

სხვა შედეგები: ბრუგერა — ვეინ ფერერა (14, სამხრეთ აფრიკა) 1:6, 6:3, 7:5; ალბერტო ბარასატეგი — გალობლანკო 7:5, 7:5; ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) — მაგნუს ლარსონი 7:6, 6:4, ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — ერნან გუმი 3:6, 6:2, 7:5,

ვაშინგტონი. „ლეგ მეისონ თენის ქლასიქი“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 675 ათასი დოლარი.

ამერიკელ ანდრე აგასის, რაც კინოს ჩამქრალი ვარსკვლავი — ბრუქ შილდსი მოიყვანა ცოლად, ტურნირი კი არა, ორი თამაშიც არ მოუგია ზედიზედ. წლის დასაწყისში ეს კაცი ათეულში იმყოფებოდა, ახლა 31-ეა და კვლავაც ეშვება კლასიფიკაციაში. მაჯის მსუბუქი ტრავმის გამო ორთვიანი შესვენების შემდეგ პირველ მატჩში ანდრე თანამემამულე დუგ ფლეშს ხვდებოდა. ფლეში ის კაცია, შარშანდელ უიმბლდონზე პირველ წრეშივე რომ გამოაგდო აგასი და მის დაღმასვლას საფუძველი ჩაუყარა. აგასიმ მეტოქეზე შური კი იძია, მაგრამ მხოლოდ პირველ სეტში, რომელიც 6:2 მოიგო. მერე შესუქებულ ანდრეს ძალა აღარ ეყო. მეგონა, ხელი 20 კილოს იწონიდა, ფეხები კი სარბენად აღარ მემორჩილებოდაო, თქვა მან ინტერვიუში. აგასის თან 15 ორმაგი შეცდომაც დაუგროვდა და საკუთარ მარცხში მეტოქეზე უფრო თავად დაიდო წილი — 6:2, 4:6, 4:6. ასე თუ გაგრძელდა, კიდევ ერთი ვარსკვლავური წყვილის განქორწინებასაც ალბათ მალე მოვესწრებით. ანდრე ხომ ის კაცი არაა, კორტზე ამდენი დამცირება აიტანოს.

სხვა შედეგები: ტომი ჰაასი (8, გერმანია) — მარქ მერქლეინი (აშშ) 6:4, 2:6, 6:3; დევიდ ვიტონი (აშშ) — მარციო მარტელი (12, იტალია) 7:6, 6:1; მაიქლ თებუთი (ავსტრალია) — ქრის ვუდრაფი (4, აშშ) 6:3, 6:3; ბრეთ სთივენი (11, ახალი ზელანდია) — ანდრეი მერინოვი (რუსეთი) 6:0, 6:1.

ხუთშაბათს მესამე წრის შეხვედრაში პირველად განთესილ მაიქლ ჩანგს კვლავ სამი სეტი დასჭირდა მოსაგებად. მსოფლიოს 163-ე ჩოგანთან — ამერიკელ მაიქლ ჯოისთან შეხვედრაში მან პირველი ხელი დათმო 4:6, მაგრამ მერე შანსი აღარ დაუტოვა მეტოქეს — 6:1, 6:2. მეორედ განთესილმა ჩეხმა პეტრ კორდამ ჰოლანდიელი ფერნონ ვიბიერი დაამარცხა 6:4, 6:4. ამ გამარჯვებით ორწელნახევრიანი შესვენების შემდეგ ჩეხი კვლავ შეეიდა საუკეთესო ოცეულში. „როცა ზედიზედ რამდენიმე ტრავმა მივიღე და ოპერაციებიც დამჭირდა, მეგონა, ველარასოდეს ავთამაშდებოდი. სპორტიდან წასვლასაც კი ვაპირებდი, მაგრამ წლევანდელმა შედეგებმა დამარწმუნა, რომ ჯერ კიდევ არ ვყოფილვარ საპენსიო“ — თქვა კორდამ. ახლა მან კლასიფიკაციის ათეულში მოხვედრაც გადაწყვიტა.



აგასი ცოლმა გადაიყოლა

სხვა შედეგები: სქოთ დრეიფერი (7, ავსტრალია) — სთივ ქემფბელი (აშშ) 6:3, 7:6; დევიდ ვიტონი — ჯეისონ სთოლთენბერგი (5, ავსტრალია) 3:6, 7:6, 7:6: ტომი ჰაასი — კენეტ კარლსენი (9, დანია) 6:7, 6:4, 6:4; რაინერ შუტლერი (გერმანია) — დუგ ფლეში 4:6, 6:2, 7:6; ბრეთ სთივენი — ლიუქ სმითი (ავსტრია) 7:6, 6:2; ჟინს სპენსა (14, აშშ) — მაიქლ თებუთი 5:7, 7:6, 6:3:

**ბაიოჩ ბერიძე**

ჩვენთვის სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ნინო ლუარსაბიშვილმა ჩეხი მეტოქეები და ჩეხეთის ღია პირველობა ერთად მოითავა. მასპინძელთა შემუსვრის მერე მერვედფინალმა ნინოს სამხრეთაფრიკელი ჯოანეტ კრიუგერი შეჰყარა. 23 წლის კრიუგერი საჩოგბურთო წრეებში უხერხულ და უსიამოვნო მეტოქედაა ცნობილი თამაშის ყაიდის გამო — რომ იტყვიან, „გადაგდებაზე“ თამაშობს, ნაკლებად ცდება, უფრო სწორად, მოწინააღმდეგის შეცდომებს ელის. ეს ყველაფერი ნინომ, ცხადია, კარგად იცოდა და კრიუგერთან შეხვერის წინ სწორედ ეს აფიქრებდა, მაგრამ...

## ნინო: მთავარი სიურპრიზი

თამაში სწორედ ისე დაიწყო და პირველი სეტიც ისე ჩათავდა, ნინო რომ შიშობდა და აკი აშკარადაც დათმო — 2:6. არც მეორე სეტის დასაწყისი უქადდა ხეირს ჩვენიანს — საქმე ისევე მარცხიანად მისდიოდა, როგორც პირველში, მაგრამ ნინომ თანდათან „გაიმართა ხელი“ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც: თამაშიც გამოასწორა და ქულებიც საკმაოდ შეიმატა. ამან, ცხადია, მისი მეტოქე აალელვა და მოქმედების ჩვეული კალაპოტიდანაც ამოაგდო. 2:2-ზე უხანგრძლივესი მეხუთე გეიმი გათამაშდა, რომელიც ნინომ თავის მოწოდებაზე დათმო, მერე ანგარიში გაათანაბრა, ისევ ჩამორჩა, კვლავ გაუტოლდა მეტოქეს, 5:5-დან კი იძალა და 7:5 მოიგო. მესამე ხელი ერთობ დაძაბული, ნინოსთვის კი დრამატულიც გამოდგა. პირველი გეიმი ნინომ მოიგო, მეორეზე — 1:1, მესამე გეიმს ნინო 40:0 იგებდა და... მაინც წააგო. აი, სწორედ აქ იყო, რომ გატყდა. მერეც იბრძოლა, ერთი ხანობა თითქოს გამოასწორა კიდეც მდგომარეობა, მაგრამ ჟინგანელებული საბოლოოდ მაინც დამარცხდა 4:6. ამ მართლაც ქანცგამცლელი ორსაათმეოთხედიანი ბრძოლის შემდეგ მეოთხედფინალში კრიუგერი გავიდა. გავიდა და ცოტა ხანში ერთხელაც იხეირა მას შემდეგ, რაც ნინოსავით საკვალიფიკაციო ტურნირიდან „ამოსულმა“ ფრანგმა დეშამ-ბალრემ პირველ ნომრად განთესილი ჰოლანდიელი ბრენდა შულც-მაკარტი დაამარცხა და მეოთხედფინალში კრიუგერს დაუწყვილდა. ამ სენსაციამ წაგებით გულდაწყვეტილი ნინო უფრო დაანაღვლიანა — მისთვის ეს ფრანგი ძნელ მეტოქედ არ ითვლება და აკი დაუმარცხებია კიდეც...

წყვილთა შეჯიბრში ნინოს პარტნიორი უნგრელი კატალინა მაროშია. მათ ერთი მატჩი უკვე მოიგეს — ჩეხ კატერინა კროუპოვასა და ალენა ვაშკოვას 7:6, 7:5 აჯობეს, გუშინ კი კლასიფიკაციაში მეზობლებს და აქაც შეამხანაგებულ რუმინელ რუქსანდრა დრაგომირს (მე-17 ჩოგანი) და სლოვაკ კარინა ჰაბშუდოვას (მე-18) შეხვდნენ...

ნინოს და კატალინას მოგების უმცირესი შანსი ჰქონდათ და აკი ვერას გახდნენ „მოსაგებად განწირულებთან“ — 6:4, 3:6, 4:6 დამარცხდნენ. ამ მარცხის მიზეზი ისიცაა, რომ მაროში აშკარად ჩამოუვარდებოდა ნინოს და საკადრის პარტნიორობას, რა დასამალია, ვერც უწევდა, თანაც ისინი პირველად თამაშობდნენ წყვილად. ლუარსაბაშვილი, ფაქტობრივად, მარტო ეომა ფავორიტებს, ტოლიც არ დაუდო ბევრში, მაგრამ რას გააწყობდა ორი თავდაჯერებული და მართლაც ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ...

პრაღიდან ამ ამბავთა თხრობა რომ დაასრულა, „სარბიელის“ კორესპონდენტმა **დავით კაკაბაძემ** სანუგეშოდ ესაც გვაცნობა: ჩეხეთის ტელევიზიამ ნინოს პრაღაში თამაშს ტურნირის მთავარი სიურპრიზი უწოდაო. ჩეხებმა კი კარგი ჩოგბურთის ყადრი, იცოცხლეთ, იციან.

დღეს ნინო პრაღიდან ვარშავას გაფრინდება და დღესვე პოლონეთის ღია პირველობაში ჩაებმება.

კალათბურთი

## მოგების მერე წაგება

ბულგარეთის ქალაქ იამბოლიში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 22 წლამდე კალათბურთელთა შორის. ტურნირში ექვსი ქვეყნის: ბულგარეთის, საბერძნეთის, საქართველოს, ისრაელის, რუმინეთის და ესტონეთის გუნდები ასპარეზობენ. ჩვენმა ნაკრებმა კარგად დაიწყო და პირველ ტურში დაამარცხა ესტონელები 75:65. მაგრამ მეორე შეხვედრა რუმინელებთან 4 ქულით დათმო.

ველორბოლა

# ლიდერი ყველაზე ჩაუქიცაა

## იან ულრიხი შორს წავიდა

16 ივლისი. მე-11 ეტაპი ანდორადან პერპინიანამდე. 186 კმ

LE TOUR

მე-11 ეტაპით ველომრბოლებმა ტურის ეკვატორი გადალახეს და შემდგომ მთიან დისტანციებამდე ცოტა ხნით მაინც მოითქვამენ სულს. ორი მძიმე სამთო ეტაპის შემდეგ ოთხშაბათს პელოტონი ბარისკენ დაეშვა. წინა დღეებისგან განსხვავებით, იგი ჯგუფებად არ დაყოფილა და დისტანციის ნახევარზე მეტი ერთად გაიარა. ბოლოსკენ 3 მრბოლი დაწინაურდა — უკრაინელი სერგეი უშაკოვი, ფრანგი ლორან დებიანი და იტალიელი კარლო ფინკო. ჯგროს მათ დასაწევად მაინცდამაინც დიდი სურვილი არ გამოუმჟღავნებია, რაკილა ლიდერთა შორის არც ერთი არ მოიხსენიება. საბოლოოდ, ამ ტრიომ პელოტონს წუთზე მეტით გაუსწრო და პირველობაზეც ერთმანეთს გაეჯიბრა. დიდი სასპრინტერო მონაცემებით ვერც ერთი დაიკვეხნიდა, მაგრამ ფინიში მაინც დაძაბული გამოდგა. დაწინაურებულ უშაკოვს დებიანი ჩაუდგა კვალში და ალბათ გადაასწრებდა კიდეც, უკრაინელს მისკენ რომ არ გაეწია და გზა არ გადაელობა. ფრანგმა მაშინვე პროტესტი გამოთქვა მეტოქის საქციელზე და რბოლის ორგანიზატორებმაც მისი აღშფოთება სამართლიანად მიიჩნიეს: უკვე მეორედ ამ ტურზე, გერმანელი ცაბელის შემდეგ, ახლა უშაკოვს ჩამოართვეს პირველობა და მესამეზე გაამწესეს. ისე, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ცაბელმა ჩამორთმეული გამარჯვების შემდეგ ზედიზედ ორი ეტაპი მოიგო, უკრაინელისგან აწი ბევრს უნდა ველოდოთ. დებიანმა კი ძალზე გაიხარა და თავისი პირველი ადგილი შვეიცარელ თანაგუნდელ ტონი რომინგერს მიუძღვნა, რბოლას დასაწყისშივე რომ გამოეთიშა ლავიწის მოტეხილობით.

მე-11 ეტაპი: 1. ლორან დებიანი; 2. კარლო ფინკო; 3. სერგეი უშაკოვი

18 ივლისი. მე-12 ეტაპი. სენტ-ეტიენში სიჩაუქის გამოცდა. 55 კმ

ველომრბოლებმა ხუთშაბათს დაისვენეს და დიდი მნიშვნელობის მქონე სიჩაუქის გამოცდისთვის ხეირიანად მოემზადნენ. მე-12 ეტაპის წინ ტურის პრეს-კონფერენციებიც მოეწყო, რომელთა ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, გამარჯვების პრეტენდენტები მოექცნენ. შარშანდელმა ჩემპიონმა ბიარნე რიისმა თქვა, რომ საერთო გამარჯვების იმედი არ დაუკარგავს, რადგან ბევრი მძიმე ეტაპია დარჩენილი და ნებისმიერი დანაკარგის ამოგებაა შესაძლებელი. რიშარ ვირანკმა, რომელიც საერთო ჩათვლაში მეორეა და იან ულრიხის მთავარ მეტოქედ ითვლება წლევანდელ ტურზე, განაცხადა, რომ თუ სიჩაუქის გამოცდაში 4 წუთზე მეტს არ წააგებდა გერმანელთან, ეს მისთვის კარგი შედეგი იქნებოდა და დარჩენილ მთიან ეტაპებზე შეეცდებოდა ყვითელი მაისურის მოპოვებას.

სიჩაუქის გამოცდაზე ლიდერები ბოლოს გამოვიდნენ დისტანციაზე. ამიტომ საუკეთესო დრო კარგა ხანი ბელგიელ ფრანკ ვანდენბრუკისა იყო — 1:21,08, მაგრამ იან ულრიხმა ისე დაიწყო, აშკარა გახდა, პირველობის დათმობას არ აპირებდა — ტრასის შუისთვის იგი უახლოეს მდევარს უკვე 2 წუთს უგებდა. მერე ვანდენბრუკის შედეგი ჯერ იტალიელმა ფრანჩესკო კასაგრანდემ გააუმჯობესა, შემდეგ მისმა თანამემამულე მარკო პანტანიმ, დანიელმა ბიარნე რიისმა და ყველა მხოლოდ ულრიხის ფინიშსღა ელოდა. ამანაც ტემპს უფრო და უფრო უმატა, 3 წუთის წინ დისტანციაზე გასულ რიშარ ვირანკსაც გადაუსწრო და ფანტასტიკური დრო 1:16,24 უჩვენა. ულრიხმა საერთო ჩათვლაში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.



უშაკოვს უწესო გამარჯვება არ შეარჩინეს

მე-12 ეტაპი: 1. იან ულრიხი 1:16,24; 2. რიშარ ვირანკი +3,04; 3. ბიარნე რიისი +3,08; 4. აბრაამ ოლანო +3,14; 5. მარკო პანტანი +3,42; 6. ფრანჩესკო კასაგრანდე +3,56.

### საერთო ჩათვლა

1. ულრიხი 61:22,41; 2. ვირანკი +5,42; 3. ოლანო +8,00; 4. რიისი +8,01; 5. პანტანი +9,11.

**ლევან ჩხეიძე**


ბავშვთა კვება

Gerber

ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

## საქართველოს პირველობა

### „ა“ ჯგუფის XII ტური

17. 07, ჭყონდიდლის დასახლება. რუსთავის **აზოტი 38 (26)** (ნლ: კბილცეცხლაშვილი 2, ზ. ბერიშვილი 2, რეხვიაშვილი, მინდორაშვილი; 4გ: ე. ძაგნიძე) — **ასკ 17 (0)** (3ლ: საკანდელიძე, ზ. მაისურაძე, სუჯაშვილი; გ: აბუსერიძე). მსაჯი ლევან მგელაძე

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტი (რ) | 10 | 8 | 1 | 1 | 216: 90 | 28- 4 | 16 |
| ყოჩები | 8 | 7 | 1 | 0 | 177: 67 | 18- 4 | 15 |
| ქორები | 9 | 6 | 0 | 3 | 184:100 | 21- 6 | 12 |
| აია-ჰეი (ქ) | 7 | 4 | 0 | 3 | 133: 89 | 15- 7 | 8 |
| ასკ | 10 | 3 | 0 | 7 | 134:283 | 17-43 | 6 |
| გუმარი | 10 | 4 | 0 | 6 | 165:169 | 20-17 | 6 |

რაკი ქუთაისის „გელათი“ შეჯიბრებიდან მოიხსნა, დარჩენილ თამაშებში წაგება მიესაჯა. ამისი წყალობით მუქთი ორ-ორი ქულა მიითვალეს „აიამ“, „ყოჩებმა“ და „გუმარმა“. ისე კი, შემორჩენილ გუნდებს პირველი ეტაპის ბოლოს თამაშთა გრაფაში 12 უნდა ენეროთ.

# სინი დღეისთვის გადმოიდო



**სინის XV** გათამაშება გუშინდლის მაგივრად დღეს გაიმართება. მფლობელ „ყოჩებისა“ და მოცილე „გუმარის“ მატჩი ვაკეში ცხელი ზაფხულისათვის უჩვეულოდ ადრე — საღამოს ექვსის ნახევარზე დაიწყება, რადგან მონაწილეებსაცა და მოსეირეებსაც მერე სამხრეთი აფრიკა — ახალი ზელანდიის დიდი შებმისთვის წყურიათ თვალის მიდევნება.

მატჩი კალენდრით 17 ივლისისთვის იყო დანიშნული. რაკი თბილისში ერთი კვირის განმავლობაში ფრანგი სპეციალისტი სტუმრობდა და ლექციებსა და საჩვენებელ ლიანგურ მეცადინეობებს მართავდა, ამის გამო ამ კვირის დასაწყისში მატჩი 18 ივლისისთვის გადაიტანეს, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ამ დღეს ვაკეში ფეხბურთის საკონტროლო მატჩი იყო დანიშნული. მაშინ რაგბი ისევ 17 ივლისისთვის გადმოიდო, მაგრამ გუშინწინ საღამოს ისეთმა წვიმამ დაუშვა, რომ მოედანი ძლიერ დასველდა.

მორაგბეები მაინც გამოეწყვნენ სპორტულად, მაგრამ არ უთამაშიათ. სტადიონის დირექტორმა, ბატონმა გივი ჭანტურიძემ ისინი მოედანზე სრულიად მართებულად არ შეუშვა, რადგან ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, და ასპარეზიც ერთობ წახდებოდა. გაიმართა მოკლე მოლაპარაკება და მხარეებიც იოლად მორიგდნენ მატჩის შაბათს გადატანაზე.

მავანმა შეიძლება იკითხოს, როდემდე შეიძლება გატანოს ამდენმა გადატან-გადმოტანამო. ამას ერთადერთი პასუხი მოუხდება — მანამ, სანამ რაგბს თავისი სტადიონი თუ არა, თუნდაც მოედანი არ ექნება.

ფეხბურთ — რაგბის ვაკურ ომში ბოლო დროს ზავი ჩამოვარდა. რაგბის კავშირი ვერ ახერხებს სტადიონის ხელში ჩაგდებას. ვერც ფეხბურთის „ლოკომოტივს“ მოუხერხებია რაგბის სრული გაძევება.

რაკი პატური სიტუაცია შეიქმნა, ორივე მხარე, ეტყობა, კომპრომისს ეძებს. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა რობიზონ ქინქლაძემ პრესას ისიც კი განუცხადა, რაგბისთვის სათადარიგო მოედანი უნდა აღვადგენინოთ. ამავე წინადადებით რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძეს ნაკრებთა ერთ-ერთი მწვრთნელი დავით კილასონიაც შეხმიანებია.

ვნახოთ, რა მოხდება. საეჭვოა, სხვამ სხვისი საქმე გააკეთოს. სათადარიგო მოედნის მოსაწყობად რაგბის კავშირმა თავადაც უნდა იაქტიუროს. მით უფრო, თუ რკინიგზა მზად ყოფილა ამ საქმეში თავისი ტექნიკის მისაშველებლად.

რაგბისა და ფეხბურთის ბოლო მორიგებაში ბატონ გივი ჭანტურიძეს დიდი წვლილი მიუძღვის. მას დაურწმუნებია რკინიგზის უფროსობა, რომ ორი ბურთაობის თანაარსებობა სავსებით შესაძლებელია. ახლა ბატონი ჩხაიძეც უაბულს ყოფილა, რომ ვაკური რაგბის სახელოვანი ტრადიცია არ მოიშალოს: საერთაშორისო შეხვედრები, შინაური პლეი-ოფები, ფინალები, თბილისის სამი მოწინავე გუნდის გამორჩეული მატჩები სტადიონის მთავარ ასპარეზზე გაიმართოს, სხვებისთვის კი სათადარიგო, ოღონდაც კეთილმოწყობილი მოედანიც ივარგებს.

ერთი ეგაა, რომ გუნდებმა თამაშის სანაცვლოდ ქირა უნდა იხადონ. თანხა გაუსაძლისი როდია — მატჩი 200 (ორასი) ლარი ღირს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ მორაგბეების გულარხეინობის ამბავი: სტადიონს ზედ თამაშის დღესლა მიაკითხავენ და მის მუშაკებს ცაიტნოტში ჩააყენებენ, ჩემპიონატის ოფიციალური განრიგი კი გივი ჭანტურიძესთან ჯერაც არ წარუდგენიათ, რათა ამ ღვთისნიერმა კაცმა მუშაობა უკეთ დაგეგმოს.

**ზაზა ფხაკაძე**

რაგბის კავშირიდან გვაცნობეს, რომ პირველობის მესამე ეტაპზე ოთხი გუნდის ასპარეზობა დებულების სულ პირველ ვერსიაში წერებულა. ამ ეტაპის პლეი-ოფად გამართვა განაპირობა იმან, რომ შარშანა და შარშანწინ ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები პაროდიად აქცია პირველად „აის“, მეორედ კი „გუმარის“ ვადამდე გაჩემპიონებამ. გარდა ამისა, კავშირს განზრახული ქონია სა-პლეი-ოფ-ოდ საფრანგეთიდან მსაჯების ჩამოყვანა. და კიდევ, პლეი-ოფის დეტალები თურმე რამდენიმე დღეში დაზუსტდება და გამოქვეყნდება.

„აზოტს“ „ყოჩებთან“ ფრედ დასრულებული მატჩის გამო შეტანილ პროტესტზე უარი ეთქვა. რუსთავის სტადიონს მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია და მიეთითა, რომ მოედანი მოიზღუდოს თოკით, რომელიც მაყურებლებს ასპარეზს სამი მეტრით დააშორებს.

მსაჯის აუგად ხსენებისათვის სასტიკი საყვედური ეთქვა და პირობითი დისკვალიფიკაცია დაენიშნა „გუმარისა“ და ეროვნული გუნდის უფროს მწვრთნელ გურამ მოდებაძეს. თუ „ბურძგლა“ წლის ბოლომდე კიდევ შეიგინებს, სამუდამო დისკვალიფიკაციას მოიმკის.


Rothmans

## მოსულა

ქართულ რაგბს ერთობ აკლია ფული. ამ კვირაში შარშანდელ ჩემპიონ „გუმარს“ მეოხად მოევლინა მეთამბაქოე „როზმანსის“ აქაური ფილიალი: 33 კვართი აჩუქა და სპონსორობასაც შეპირდა.


## ტელევიზია

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე 2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)


**დამკაბადონებლად** ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

**ოპერატორად** ვიწვევთ კომპიუტერული — [illegible] განლაგებით მბეჭდავ განათლებულ, ალღოიან, გაწაფულსა და ბეჯით ქალს. სპორტით დაინტერესება სასურველია, საზღვარგარეთის ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნა კი სავალდებულო

**მსურველები** შეგვეხმიანონ კვირას, სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
**95 26 90**


# ელის პარკული მაჯლაჯუნა



მსოფლიო თასი თუმც მსოფლიო თასია, რაგბში მასზე მაღალი დონის შეჯიბრიც არსებობს. ეგაა სამხრეთი ნახევარსფეროს სამი ბობოლა სარაგბო ქვეყნის — სამხრეთი აფრიკის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ყოველწლიური ორწრიანი ჩემპიონატი, პირველად შარშან რომ გაიმართა და სამეულის სერიალი ქვია სახელად.

შარშან ზელანდიის „ოლ ბლექსი“ გრიალ-გრიალით გაიმარჯვა. წელს უფრო ფიცხელი ბრძოლაა მოსალოდნელი, რადგან ავსტრალიელი „ვოლაბებიცა“ და აფრიკელი „ქურციკებიც“ მოღონიერდნენ.

თამაშის დონეს ხომ ნუღარ იკითხავთ. პროფესიონალიზმმა რაგბს ისეთი ბიძგი მიცა, რომ წლევანდელმა პროვინციულმა ზე-12-მა შარშანდელს ბევრით აჯობა. უეჭველია, სამეულშიც იგივე მოხდება.

სერიალი დიდებულად იწყება. პირველივე მატჩი ბოლო მსოფლიო თასის ფინალის გამეორებაა. ორი წლის წინ „ელის პარკზე“ აფრიკამ დამატებით დროში 15:12 ძლია ზელანდია და ვებ ელისის თასი ცხვირწინ აცალა გუნდს, რომელსაც მთა-კაცი ჯონა ლომუ ყავდა.

ლომუ წელს ავადაა, მაგრამ დღევანდელი შებმის წინ მარაქაში მაინც გაერია და თანაგუნდელებს მოუწოდა, მსოფლიო თასისთვის რევანში უსიკვდილოდ უნდა აიღოთ, თორემ თუ დამარცხდებით, ბრიტანელები თავს მსოფლიო ჩემპიონებად შერაცხენ, რაკი მათმა „ლომებმა“ „ქურციკებს“ ახლახანს მოუგეს ტესტ-სერიაო. ლომუს ბრიტთა მოსალოდნელი ყოყლოჩინობა თურმე ძილსაც კი უფრთხობს.

ვერც „ოლ ბლექსი“ იძინებს მშვიდად. აფრიკანერული რაგბის ტაძარი „ელის პარკი“ მას ცუდად აქვთ დაცდილი: იქ მასპინძლებს 9-ჯერ შერკინებია და მხოლოდ ორჯერ მოუგია — **1928** და **1992** წლებში. ამაში გვარიანი წვლილი იმასაც მიუძღვის, რომ იოჰანესბურგი ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა მდებარეობს, რის გამოც სტუმრებს იქ აკლიმატიზაცია უჭირთ.

თამაში თავიდან ასევე მთიან პრეტორიაში დაენიშნათ, მაგრამ მერე აფრიკული რაგბის მამებმა ეტყობა ზემორე სტატისტიკა გაიხსენეს და ავსტრალიასა და ზელანდიას მასპინძლები შეუნაცვლეს. ისე კი, მამები საკითხს უფრო რომ ჩაღრმავებოდნენ, უმალ დაადგენდნენ, რომ ზღვისკიდურ პორტ-ელიზაბეთში „ოლ ბლექსს“ ოთხიდან ოთხი მატჩი აქვს წაგებული — 1928, 1949, 1960 და 1970 წლებში.

ზელანდიელები აფრიკას ამ ერთი კვირის წინ ჩაფრინდნენ და მაინც პრეტორიაში დაბინავდნენ, მაგრამ ფათერაკი იქაც შეემთხვათ: გუნდი ვარჯიშზე რომ წასულიყო, „ქრაუნ პლასა“ ოტელის დამლაგებელს ოთახებში შეუვა ჯიბგირი, ვინაც თავი ტელეხელოსნად გაასაღა და სტუმრებს **1330** დოლარის ექვივალენტი ნაღდი ფულიააწაპნა.

მსოფლიო თასის თავგადასავალთან შედარებით ეს ამბავი მოსატანი არცაა: ზელანდიელთა მაშინდელი მწვრთნელი ლორი მეინსი დღესაც ამტკიცებს, რომ იოჰანესბურგის „სენდტონის“ მოახლე ქალმა, ვინმე სუზიმ ნახევარ გუნდს ჩაი და ყავა განგებ დაუწამლა და ზედ ფინალის წინ ფაღარათი დამართა.

აფრიკელებს უეჭველი გამარჯვება წადიათ. მათი ახალი მოძღვარი კარელ დიუპლესი „ლომებთან“ მარცხის გამო მაგრად გათათხეს. ამანაც ჭკუა ისწავლა და თუმც ვერაფერი დამცველია, გამოუცდელი იანი დებეერი მაინც დაიტოვა **10** ნომრად, რაკი ბოლოსდაბოლოს დარწმუნდა, რომ უდამრტყმელოდ თამაშს ვერ მოიგებს.

„ქურციკებს“ „ლომების“ მჯობნი უკანა ხაზი უცვლელი ყავთ. სამაგიეროდ, შერკინებაში დაიბრუნეს დერეფნის კარუზო მარკ ენდრიუზი და მარბიელი ფლანკერი რუბენ კრუგერი. გარდა ამისა, დიუპლესიმ ამჯერად კი უერთგულა რაგბის აფრიკულ გააზრებას და მობილურ-მობურთალის მაგივრად მძიმე-მძიმე წინა ხაზი შეარჩია. ამისთვის მარჯვენა ბურჯად წელს პირველად იხმო მარიუს ჰურტერი.

მასპინძლები მსაჯსაც მიდგნენ. აფრიკაცა და ავსტრალიაც ერთობ უფრთხიან „ოლ ბლექსის“ მუხთალ ტაქტიკას, მეტოქის მიძალების ჩასაშლელად ბურთის ძირს ჩამარხვასა და მცირე-მცირე ოფსაიდებს რომ ემყარება. ჰოდა, კარელი გაესაუბრა მსაჯ პიტერ მარშალს და გაარკვია, თუ როგორ აპირებს იგი „ოლ ბლექსის“ მოლაყბე და მოძველბიჭო კაპიტნის, ბებერ კვაჭ შონ ფითსპატრიქის ალაგმვას. მით უფრო, რომ სერიალში ზე-12-ისგან განსხვავებით არ იმოქმედებს სინბინი — მოედნიდან **10** წუთით გაძევება.

აფრიკელები იქადნებიან, რომ ბურთაობას გააჩაღებენ. საამისოდ იერიშის მეორე ფაზიდან სწრაფი ბურთი ჭირდებათ. მსაჯსაც ამად ეთათბირნენ. ისე კი, მარშალი ჭეშმარიტად ორ ცეცხლს შუა იქნება: ერთი, რომ თამაშის გაფუჭება არ ენდომება. მეორე, სულ ერთი თვის წინ არ იყო, რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) ქეიფთაუნში მეორე კონფერენცია რომ გამართა და უზენაესი დოკუმენტი — რაგბის ქარტია მიიღო.

ამ საბუთში, რომელიც რაგბის ოფიციალურ წესებზე უწინარეს დგას და რომელშიც წერია, თუ როგორ თამაშს უნდა ესწრაფოდნენ მოთამაშენი, მწვრთნელები და მსაჯები, ამათ პირდაპირ მიეთითათ, რომ ამჟამინდელი წესები განუხრელად დაიცვან, თორემ ზე-12-ში ისე ყოფილა, რომ მოიერიშეს ყველაფერი ეპატიება, დამცველს კი ყველაფერში ამტყუნებენ.

ჰოდა, ყალბდება თვით რაგბის არსი: შეჯგუფებებში ბურთისთვის თანასწორი ბრძოლა აღარ გამოდის, შემტევს უზომო უპირატესობა ეძლევა და თამაშიც ერთფეროვანი ხდება — ძე-ცდომილ ლიგას (13-კაცას) თანდათან ემგვანება.

**ლუკა ჯორჯიაშვილი**

## სამეულის სერიალი - 1997

| თარიღი | სარბიელი | მეტოქეები | მსაჯი |
|---|---|---|---|
| 19. 07 | იოჰანესბურგი | აფრიკა — ზელანდია | პ. მარშალი (ავსტრალია) |
| 26. 07 | მელბურნი | ავსტრალია — ზელანდია | ე. მორისონი (ინგლისი) |
| 2. 08 | ბრისბენი | ავსტრალია — აფრიკა | ქ. პოქი (ზელანდია) |
| 9. 08 | ოქლენდი | ზელანდია — აფრიკა | დ. ბევანი (უელსი) |
| 16. 08 | დანიდინი | ზელანდია — ავსტრალია | ჟ. დიუმე (საფრანგეთი) |
| 23. 08 | პრეტორია | აფრიკა — ავსტრალია | პ. ობრაიენი (ზელანდია) |

### ბალანსი (მოგებათა რიცხვი)

1921 წლიდან აფრიკა 22 — ზელანდია 22; ფრე 3. ბ 581:564; ლ 63-65
1933 წლიდან აფრიკა 24 — ავსტრალია 11. ბ 541:370; ლ 90-39
1903 წლიდან ზელანდია 71 — ავსტრალია 27; ფრე 5. ბ 1804:1161; ლ 278-145

## შარშან

6. 07. ველინგთონი. ათლეტიკ პარკი (39 ათასი მოსეირე). ზელანდია 43 (ნლ: ლომუ, ვილსონი, ქალენი, მარშალი, მ. ჯოუნზი, ზ. ბრუქი; 2გ და 3ს: მერთენსი) — ავსტრალია 6 (2ს: ბერქი). მსაჯი ე. მორისონი (ინგლისი)

13. 07. სიდნეი. ფუთბოლ სთეიდიუმი (42 ათასი). ავსტრალია 21 (2ლ: როფი, ჰორანი; გ და 3ს: ბერქი) — აფრიკა 16 (ლ: ჰენდრიქსი; გ: ჰონიბალი; 3ს: ჟუბერი, ჰონიბალი 2). მსაჯი თ. სფრედბერი (ინგლისი)

20. 07. ქრაისთჩერჩი. ლანკასტერ პარკი (39 ათასი). ზელანდია 15 (5ს: მერთენსი) — აფრიკა 11 (ლ: ჟუბერი; 2ს: სტრანსკი). მსაჯი რ. მეგსონი (შოტლანდია)



27. 07. ბრისბენი. სანკორპ სთეიდიუმი (40 ათასი). ავსტრალია 25 (2ლ: გრეგანი, ბერქი; 5ს: ბერქი) — ზელანდია 32 (2ლ: ბანსი, მარშალი; 2გ და 6ს: მერთენსი). მსაჯი ჯ. ფლემინგი (შოტლანდია)

3. 08. ბლუმფონტეინი. ფრი სთეით სთეიდიუმი (60 ათასი). აფრიკა 25 (ლ, გ და 6ს: სტრანსკი) — ავსტრალია 19 (ლ: თიუნი; გ: ილზი; 4ს: ბერქი, ილზი 3). მსაჯი ბ. სთერლინგი (ირლანდია)

10. 08. ქეიფთაუნი. ნიულენდზი (51 ათასი). აფრიკა 18 (2ლ: მულდერი, დიურანი; გ და 2ს: სტრანსკი) — ზელანდია 29 (2ლ: ოზბორნი, დაუდი; 2გ და 5ს: მერთენსი). მსაჯი დ. მაკჰიუ (ირლანდია)

| | თ | მ | წ | + | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 4 | 4 | 0 | 1 | 119: 60 | 10- 5 | 17 |
| აფრიკა | 4 | 1 | 3 | 2 | 70: 84 | 5- 5 | 6 |
| ავსტრალია | 4 | 1 | 3 | 2 | 71:116 | 5-10 | 6 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+“ გრაფა)


სთარ თი-ვი მატჩს პირდაპირ გადმოცემს ჩვენი დროით 20 საათიდან. ჩანაწერის ხილვა იმავ ღამით, სამის ნახევრიდან და სამშაბათს, დილის რვის ნახევრიდანაა შესაძლებელი.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიბრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29